პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- არაბთა პარტიზანული რაზმების შეტაკება ინგლისელებთან პალესტინაში
- რუმინეთის მუშები და გლეხები დელეგაციას გზავნიან საბჭოთა კავშირში
- მღელვარება საფრანგეთის ჯარების ნაწილებში
- წითელი დროშები გერმანიის ზოგიერთი ქალაქის თვითმართველობებზე
- კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მკვლელების წამქეზებელი სასამართლოს წინაშე
- კომუნისტური პრესის დევნა ავსტრიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 26 ნოემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 272 (2618)

ამიერ-კავ. ფედერაციის სიმტკიცის საფუძველი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ამიერ-კავკასიაში უდიდესი პერსპექტივები გადაშალა აქ მოსახლე ყველა ერების პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურული წინსვლისათვის. ოქტომბრის რევოლიუციის პირველი ნაბიჯი ამიერ-კავკასიაში იყო ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცება. ბურჟუაზიულ ბატონობის ჟეხებით დაქსაქსულ და ერთი მეორისადმი მტრულად განწყობილ ცალკე ეროვნებათა დაახლოვება, აღმოფხვრა იმ უნდობლობის და შუღლის, რომელიც მრავალი ათეული წლების განმავლობაში ვრცელდებოდა ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ერთა შორის მეფის მთავრობის მიერ და, რომელიც უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების სისხლიანი ბატონობის პერიოდში.

კომუნისტურმა პარტიამ შესძლო ამიერ-კავკასიის ერების პოლიტიკური დაკავშირების, ნაციონალური მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საუკეთესო იარაღის შექმნა ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის (საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის) ფედერაციის სახით. ამიერ-კავკასიის ფედერაცია შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ დამარცხებულ, მაგრამ, იმ დროს არა სავსებით განადგურებულ ნაციონალისტურ პარტიების და ნაციონალიზმის გავლენის ქვეშ მოყოლილ თვით ზოგიერთი კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კომუნისტურმა პარტიამ დასძლია როგორც უცხო ძალების, ისე ნაციონალიზმის გზაზე დამდგარ ასეთი კომუნისტების წინააღმდეგობა, მან შესძლო მუშებისა და გლეხების დარწმუნება ამიერ-კავკასიის ფედერაციის აუცილებლობაში, რადგან ამ ფედერაციის გარეშე შეუძლებელი იყო ამიერ-კავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობის შენარჩუნება, ეროვნებათა შორის თანასწორობის დამყარება.

ამხ. ლენინი კავკასიის კომუნისტებისადმი გაგზავნილ წერილში სწერდა, რომ „კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი შექმნის სამაგალითო ნაციონალურ მშვიდობიანობას, რომელიც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ წესწყობილებაში"-ო.

ამიერ-კავკასიის ერების პოლიტიკურმა კავშირმა უდიდესი ნაყოფი გამოიღო: სინამდვილეთ იქცა სავსებით ამხ. ლენინის იმედი და ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირმა მართლაც შექმნა სამაგალითო ნაციონალური მშვიდობიანობა, რომელიც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ბურჟუაზიის ბატონობის დროს. 8 წლის ისტორიამ მტვრათ აქცია მენშევიკების, დაშნაკელების, მუსავატელების და ჩვენს პარტიაში ერთ დროს წარმოშობილ (ეხლა ტროცკიზმის კონტრრევოლიუციონურ ბანაკში მყოფ) ნაციონალ-უკლონისტების მტკიცება იმის შესახებ, რომ ვითომდა ფედერაცია ვერ განმტკიცდებოდა ამიერ-კავკასიის ერთა შორის და ის ადრე თუ გვიან დაინგრეოდა.

დღეს უკვე განვლეთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის განვითარების პირველი პერიოდი, რომლის დროსაც ამიერ-კავკასიის ერთა გაერთიანებამ შეასრულა უდიდესი პოლიტიკური როლი, ღრმად გაიდგა ფესვები საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მუშებისა და გლეხების შეგნებაში, როგორც წინად ურთიერთ შორის მოქიშპე ერების პოლიტიკური შეკავშირების საუკეთესო იარაღმა. ამის უარყოფა დღეს საბჭოთა ხელისუფლების არც ერთ მტერს არ შეუძლია. ამ სინამდვილის წაშლა ეხლა არავის ძალუძს და ნაციონალიზმის, კაციჭამია შოვინიზმის, ეროვნული უნდობლობის ყოველგვარი იერიში, მიტანილი მეზობელ ერთა მშვიდობიან აღმშენებლობის წინააღმდეგ, დაიმსხვრევა ამიერ-კავკასიის ფედერაციაზე, როგორც ამ ერთა თანაცხოვრების სალ კლდეზე.

მაგრამ ამ მიღწევით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. დღეს თვითეული ჩვენგანი გრძნობს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია მტკიცე პოლიტიკური გაერთიანებაა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა რამ არის გაკეთებული იქ შემავალ ერთა სამეურნეო დაკავშირებისათვის, მცირეა გაკეთებული ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის სამეურნეო საფუძვლის, ეკონომიური ბაზის შესაქმნელად, და ამ გზით ამიერ-კავკასიის ფედერაციის კიდევ უფრო განსამტკიცებლად და განსავითარებლად. ჩვენი მიზანია, ამიტომ ეხლა ფედერაციის სამეურნეო გამაგრება მასში შემავალ ცალკე რესპუბლიკების მეურნეობის გარდაქმნისათვის ახალ ტეხნიკურ და სოციალურ საფუძველზე და ამიერ-კავკასიის გადასაქცევად აგრარულ სამრეწველო ქვეყნიდან სამრეწველო-აგრარულ ქვეყანად.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო გამაგრება აუცილებელია ეხლა, ძლევამოსილ სოციალისტურ აღმშენებლობის პერიოდში და ფრიად საჭიროა ცალკე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პირობებში. სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა გამოწვეული იყო მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, რომ ვითომდა არ ყოფილიყოს თავიდანვე მიღებული მხედველობაში ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების მეურნეობა, რომელიც მოითხოვს ურთიერთის დახმარებას და ერთიან სამეურნეო ხელმძღვანელობას. ამიტომ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება თუ დღემდე უმთავრესად ამიერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკურ გამაგრების და ნაციონალურ მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული, ეხლა უკვე დროა, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რესპუბლიკების სოციალისტურ ზრდას, ფედერაციის სამეურნეო განვითარებას და მის რეალურ გეგმიან ხელმძღვანელობას.

ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში სწარმოებს უდიდესი მუშაობა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, ფართო საფუძველი ეყრება მსხვილ ინდუსტრიას და ხდება სოფლის მეურნეობიდან პრიმიტიულ სამუშაო იარაღების გამოდევნა, მანქანების მასიური გავრცელებით და სასოფლო-სამეურნეო დარგების ფართო კოლექტივიზაციით. საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით კერძოთ საქართველოში მთელი ტეხნიკური რევოლიუციის მოწმენი ვართ; იზრდება ქალაქები, შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, მუშავდება ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები, აიგო და იგება უდიდესი ელექტრო სადგურები, ვითარდება სასოფლო მეურნეობის სრულიად ახალი დარგები — ერთი სიტყვით სწრაფი ტემპით იქმნება ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სოციალისტური მატერიალური კულტურა. ასეთივე სურათი გვაქვს ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებში, ყველგან მიმდინარეობს ღრმა პროცესი ძველ საწარმოო ურთიერთობათა რადიკალური გარდაქმნისათვის ახალ, სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობებათ. ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში სწარმოებს უდიდესი მუშაობა ქალაქისა და სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის.

მაგრამ მთელი ეს მუშაობა მიმდინარეობს ცალკე რესპუბლიკებში არა საკმაო გეგმიანი ხელმძღვანელობით ფედერაციის მხრივ მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასია მთელ რიგ სპეციფიური პირობების გამო ერთიანი სამეურნეო ორგანიზმია, რომელიც მოითხოვს ეკონომიკის ძირითად დარგებში, გაერთიანებულ ხელმძღვანელობას.

ყოველივე ამის გამო დღის წესრიგში უნდა დაისვას საკითხი ამიერ-კავკასიის ფედერაციისთვის ეკონომიური საფუძვლის გაფართოების და გამაგრების შესახებ. ეს კი მოითხოვს ზოგიერთ ცვლილებების შეტანას ფედერაციის საგეგმო ორგანოების სისტემაში, რათა შესაძლებელი იქნეს ცალკე რესპუბლიკებში წარმოებულ სოციალისტურ აღმშენებლობის წარმატებით განვითარება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ ამიტომ ეხლა, გაშლილ სოციალისტურ აღმშენებლობის პერიოდში, რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ცალკე რესპუბლიკების სამეურნეო ხელმძღვანელობას. მან უნდა შექმნას, როგორც უკვე ვსწერდით ამას წინად, ამიერ-კავკასიის მიწათმოქმედების კომისარიატი მეზობელ რესპუბლიკების სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებით გასატარებლად. სახალხო მეურნეობის განვითარების დღევანდელი ჩქარი ტემპის პირობებში, როდესაც მთელი საკითხი იმაშია, თუ რამდენათ ადრე შევსძლებთ ხუთწლიანი გეგმის შესრულებას, — ამ კომისარიატის შექმნის დაყოვნება შეუძლებელია.

უეჭველად საჭიროა სათანადო ცვლილებების შეტანა ამიერ-კავკასიის ფედერაციის თითქმის ყველა სამეურნეო ხელმძღვანელ ორგანოებში, როგორიცაა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, საგეგმო კომისია და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, რათა ისინი ნამდვილად ხელმძღვანელობდნენ რესპუბლიკათა მთელ სამეურნეო მშენებლობას.

მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამიერ-კავკასიის მიწათმოქმედების კომისარიატის დაარსება, მთელ რიგ საოლქო ეკონომიურ ცენტრების შექმნა და სამეურნეო დამგეგმავ ორგანოების ფუნქციათა გაფართოება, ცალკე რესპუბლიკებში წარმოებულ სოციალისტურ აღმშენებლობაზე ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად. ნიშნავდეს ნაციონალურ რესპუბლიკათა სამეურნეო ინიციატივის და თვითმოქმედების შეზღუდვას პირიქით, როგორც ლაპარაკობს საკავშირო კომპარტიის ცეკას ნოემბრის პლენუმი (რეზოლიუციაში საკავშირო მიწსახკომის დაარსების შესახებ) მაქსიმალურად უზრუნველყოფილ უნდა იქნას ამ ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარება.

საქართველოს კომპარტიის ამოცანა, როგორც წინად, მომავალშიც იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემდგომ პოლიტიკურ და სამეურნეო გამაგრებას, მტკიცე ეკონომიური საფუძვლის შექმნას ფედერაციისათვის, ფედერაციის სამეურნეო და დამგეგმავ ორგანოების ხელმძღვანელობის გაძლიერებას ცალკე რესპუბლიკებში წარმოებულ სოციალისტურ აღმშენებლობაზე. და ის შეასრულებს კიდევაც ამ ამოცანას.

მრისხანე გაფრთხილება ჩინელ მილიტარისტებს

დღიდან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ავაზაკურად დაპყრობისა, ჩინელი მილიტარისტები, როგორც ვიცით, სისტემატიურად განაგრძობდნენ საბჭოთა ტერიტორიაზე პროვოკაციულ თავდასხმებს და მშვიდობიან მოსახლეობის აწიოკებას. ჩვენი ჯარების მიერ მათი ბანდების უკუგდებასთან ერთად, საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ გაუფრთხილებია ჩინელი გენერლები. რომ მათ ცეცხლთან თამაში შეეწყვიტათ და რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იძულებული შეიქნებოდა უფრო გადამჭრელი ზომები მიეღო თავის საზღვრების დასაცავად.

მაგრამ ამ გაფრთხილებებმა არ გასჭრა. ჩინელი მილიტარისტები ბოლო დროს უფრო გათავხედდნენ. ნუ თუ მათ ისე „თავისებურად" გაიგეს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობა, რომ ეგონათ — ჩვენი თავგასულობა დაუსჯელი დარჩებაო! ან შეიძლება ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენი აღმოსავლეთის საზღვრების სადარაჯოზე მდგომი საჯარისო ნაწილები სერიოზულ ძალას არ წარმოადგენენ, თუ მათ მრავალრიცხოვან ჯარს და თეთრგვარდიელ ბანდებს დაუპირდაპირებენ? აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საბჭოთა საზღვრებთან თავმოყრილ ჩინელ ჯარებში დაიწყო გახრწნის პროცესი, და, მოსალოდნელია, რომ ჩინეთის სარდლობამ მოინდომა მათი საომარი უნარის აწევა თავდასხმების განახლებით. ბოლოს უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩინეთის გენერლების უკანასკნელი გამოლაშქრება მიზანს ისახავს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში მათ [illegible] იმპერიალისტურ სახელმწიფოების ჩარევას, რასაც ისინი დიდი ხანია ცდილობენ; აქ ავრცელებენ ისინი უცხოეთში ჭორებს, თითქო საბჭოთა მთავრობა პირველი გადასულიყოს შეტევაზე.

ასეა თუ ისე, ჩინეთის ჯარებს ნოემბრის პირველ რიცხვებიდან განსაკუთრებული აქტიობა დაეტყოთ. მათ აძლიერებდენ ახალი ძალებით. ბოლოს მათ, აგრეთვე თეთრგვარდიელთა ბრბოებმა, სხვადასხვა ადგილას იწყეს საბჭოთა საზღვრების გადმოლახვა და ჩვენს სანაპირო რაზმებზე შემოტევა.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ გამანადგურებელი პასუხი მიიღეს. შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმია, ქვეყნის თავდაცვისა და მოსახლეობის მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფის მიზნით, იძულებული გახდა გადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგა. მან მოიგერია ჩინეთის ჯარის შემოტევა, დაედევნა მას ჩინეთის ტერიტორიაზე და ჩვენი საზღვრებიდან შორს გარეკა, განიარაღებულ იქნა 8.000-ზე მეტი ჩინელი ჯარის კაცი და 300 ოფიცერი. მათ ჩამოერთვათ 10.000 თოფი და სხვადასხვა საომარი მასალა საგრძნობი რაოდენობით. ასეთია გუშინ გამოქვეყნებული ცნობა.

ამგვარი მრისხანე გაკვეთილის მიღების შემდეგ მუკდენელები და ნანკინელები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საზღვარ-გარედ ავრცელებენ ხმას, ვითომ საბჭოთა მთავრობა დასხმოდეს თავს ჩინეთს. მაგრამ იმდენად გახუნებულია და ფეხმოკლე ასეთი სიცრუე, რომ სინამდვილეს დამახინჯება მისი საშუალებით, ცხადია, შეუძლებელი იქნება. აი, მაგალითად, რას სწერს ამის გამო ბურჟუაზიული, „ფრანკფურტერ ცაიტუნგ": „ჩინური ოფიციალური ცნობები ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე მომხდარ ამბების შესახებ დამახასიათებელია თავისი ტლანქი უაზრობით. ჩვეულებრივ ლაპარაკია დამსჯელ ექსპედიციებზე, რომელთაც აწყობენ საბჭოთა ჯარები იმ შემთხვევაში, როცა ჩინეთის ჯარები, რომლებშიც, როგორც ცნობილია, ბევრი თეთრგვარდიელიც ურევიათ, მეტის მეტ თავხედობას იჩენენ. თავის ამოცანის შესრულების შემდეგ, საბჭოთა ჯარები ჩვეულებრივ უკან ბრუნდებიან. ამგვარი შეტაკებების დროს, შეშინებული მუკდენის მთავარი შტაბი იუწყება საბჭოთა ჯარების შეჭრის შესახებ მანჯურიაში. როგორც კი საბჭოთა ჯარები უკან წავლენ, ჩინეთის ჯარი მამაცად იკავებს განთავისუფლებულ ადგილს". ამგვარად, ბურჟუაზიული გაზეთიც კი აღიარებს მუკდენიდან გავრცელებულ ხმების სიცრუეს.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა, კერძოდ მისი ცდები ჩვენზე ჩინელ მილიტარისტების მიერ მოხვეულ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა იმდენად ცნობილია, რომ ჩინეთზე საბჭოთა კავშირის ჯარების თავდასხმის მტკიცებით ნანკინ-მუკდენი ფონს ვერ გავა. შეიძლება იმპერიალისტებმა მოინდომონ ამ ჭორის გამოყენება ანტი-საბჭოთა კამპანიის გასაძლიერებლად, მაგრამ, მომხდარი ამბების ხასიათი ამით ხომ არ შეიცვლება.

რა გზას დაადგებიან ნანკინი და მუკდენი მათი მორიგი ანტი-საბჭოთა „წარმოწყების" სასტიკად დამარცხების შემდეგ? არის ცნობები, რომ მუკდენი აპირობს ჩვენთან მოლაპარაკების დაწყებას კონფლიქტის მოსაგვარებლად. დღემდეც არა ერთხელ დაუგდიათ ასეთი ხმები, მაგრამ ამას მოყვა ჩინელ იმპერიალისტების ზევით აღნიშნული თავდასხმა; ამ ხმების გავრცელებას, აშკარაა, მიზნად ჰქონდა მუკდენელთა სამხედრო მზადების დაფარვა. და ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ეჭვით შევხედოთ ჩინელ მილიტარისტების ამგვარ მანევრებს.

საერთო მდგომარეობა ჩინეთში ისეთია, რომ იგი თითქო უნდა უკარნახებდეს ნანკინისა და მუკდენის მესვეურებს სასწრაფო ნაბიჯები გადადგან კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის 1924 წლის ხელშეკრულებათა საფუძვლებზე. ჩან-კაი-შის ბატონობის აღსასრული დგება; ფინ-იუი-სიანი უტევს მას და ამარცხებს მის ჯარებს; ამასთან, ჩან-კაი-შის თანდათან სტოვებენ მისი გუშინდელი მომხრენი და მოწინააღმდეგის მხარეზე გადადიან. უაღრესად რთულია მუკდენელ დიქტატორის მდგომარეობაც: ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტის შედეგად ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი მანჯურიაში იქამდე მივიდა, რომ, მაგ., სახელმწიფო მოსამსახურეებს ჯამაგირს თვეობით არ აძლევენ, ჯარებს უმოკლებენ ულუფას და ამასთან მათ არ გააჩნიათ საზამთრო ჩაცმულობა და სხვ. გენერლების გააფთრებული ბრძოლა და ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების მოშლა, აგრეთვე მშრომელთა მოძრაობის ზრდა — ასეთია ჩინეთის შინაური მდგომარეობა; ასეთ პირობებში, ვიმეორებთ, თითქო საფიქრებელი უნდა იყოს, რომ ჩინელი მილიტარისტები გონს მოვლენ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში, მით უმეტეს იმ გაკვეთილის შემდეგ, რომელიც მათ შორეულ აღმოსავლეთის არმიამ მისცა.

მაგრამ ამ უპასუხისმგებლო და თავზე ხელაღებულ ხალხისგან კიდევ ყოველგვარი პროვოკაციაა მოსალოდნელი. ჩვენი სიფხიზლე ოდნავადაც არ უნდა შენელდეს. შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულმა არმიამ მჭერმეტყველურად დაამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმე საიმედო ხელშია. ამ არმიისადმი მისალმებაში, ოქტომბრის რევოლიუციის მეთორმეტე წლისთავზე, ამხ. სტალინი, სხვათა შორის, ამბობდა: „ფხიზლად ადევნეთ თვალყური ჩინელ კონტრ-რევოლიუციონერების ყოველ მოძრაობას, დარტყმას უპასუხეთ გამანადგურებელი დარტყმითვე"-ო; არმიამ ეს დავალება პირნათლად შეასრულა, და შემდეგშიაც, თუ საჭიროება მოითხოვს, გამოიჩენს ის თავის მაღალ შეგნებას და სიძლიერეს ოქტომბრის რევოლიუციის ქვეყნისა და ჩინეთის მშრომელ მასების მტრებთან ბრძოლაში.

ნურავინ მოიტყუილებს თავს იმ შემცდარი აზრით, რომ, რაკი საბჭოთა კავშირი უაღრესად დაინტერესებულია მშვიდობიანობით, მის შესანარჩუნებლად ის მოითმენს თავის ინტერესების შელახვას. საბჭოთა მთავრობა ყოველთვის მტკიცედ ატარებდა და გაატარებს სამშვიდობო პოლიტიკას, მაგრამ როცა ეს არ გასჭრის, ის მზადაა იარაღით ხელში უზრუნველყოს საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრები და სოციალისტური მშენებლობა, ის მზადაა გამანადგურებელი პასუხი გასცეს ყველა იმათ, ვინც მოინდომებს ჩვენზე თავდასხმას. შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის მოქმედება ამ მხრივ მრისხანე გაფრთხილებაა არა მარტო ჩინელი კონტრ-რევოლიუციონერებისა, არამედ მათ ზურგს უკან მდგომი იმპერიალისტებისათვისაც.

ბრძოლა კანტონის გარშემო

ნანკინი შეშფოთებულია

შანხაი, 23 ნოემბერი. ლი-ჩუან-იენმა, რომელმაც დიდი თანხა მიიღო ნანკინისაგან, ჩან-ფა-გუსთან და სხვა გუანსიელებთან ერთად განაცხადა თავისი სოლიდარობა გომინძიუნის ჯართან და განზრახვა—დაიპყროს კანტონი. ნანკინის ჯარმა გუანსის პროვინციაში დასტოვა უჟოუ, შუჩი და სხვა პუნქტები და გამაგრდა სანშუეში, სადაც განზრახვა აქვს შებრძოლოს მოწინააღმდეგეს. ამ ბრძოლის შედეგზე იქნება დამოკიდებული კანტონის ბედი.

ნანკინის საწინააღმდეგო ძალები წინ მიიწევენ დასავლეთისა და ჩრდილოეთის მდინარეების მხრიდან. კანტონის მიდამოებს უკვე აბაგრებენ. ვამპუს სამხედრო აკადემიის მსმენელები ფრონტზე გაიგზავნენ „არმიის მორალურად განმტკიცებისათვის".

უკანასკნელ დღეებში ხანკოუში დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს ფინ-იუი-სიანის ბევრი მომხრე, აგრეთვე ადგილობრივი „საზოგადოებრივი მშვიდობიანობის ბიუროს" მეთაური. მოელიან სხვების დაპატიმრებასაც.

ნანკინის შეშფოთებას მოწმობს აგრეთვე მთავრობის სააგენტოს გომინის ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ ჩან-კაი-ში ამზადებს მანიფესტს მთავრობისადმი, რომელშიაც აღნიშნული იქნება მთელი რიგი რეფორმების სასწრაფოდ განხორციელების საჭიროება. (ადს).

მუკდენის მთავრობა ფინანსიურ კრიზისს განიცდის

ტოკიო, 23 ნოემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, მუკდენის მთავრობა მწვავე ფინანსიურ კრიზისს განიცდის. სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეებს ოქტომბრიდან ჯამაგირი არ მიუღიათ. ამავე დროს მათ ოფიციალურად განუცხადეს, რომ ნოემბრიდან მათი ხელფასი შემცირებული იქნება ან ერთი მესამედით, ან ნახევრად. ამასთან ერთად ძალიან გაუარესდა მუკდენის იმ ჯარის მდგომარეობა, რომელიც მანჯურიის საზღვარზე სდგას, ჯარის-კაცთა შორის თავი იჩინა უკმაყოფილებამ იმის გამო, რომ მათ შეუმცირეს ულუფა და არ აძლევენ საზამთრო ტანისამოსს. ჯარის ზოგიერთმა ნაწილმა თავისი თავი დემობილიზაციაქმნილად გამოაცხადა და ფრონტიდან წავიდა. ფინანსიური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის 24 მილ. დოლარის დახარჯვა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მოსამზადებლად და, ამასთან დაკავშირებით, ბანკნოტების განუწყვეტელი გამოშვება, რამაც დასცა მუკდენის ვალიუტა. (ადს).

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი

ჩინელ თეთრგვარდიელებთან შეტაკების დროს დაღუპულთა დაკრძალვა

ვლადივოსტოკი, 24 ნოემბერი. 23 ნოემბერს ვლადივოსტოკში დაკრძალეს 4 მებრძოლი, რომელნიც დაიღუპნენ თეთრგვარდიელებთან და ჩინელებთან უკანასკნელი შეტაკებების დროს. 14 საათზე ყველა დაწესებულებამ და საწარმომ შეწყვიტა მუშაობა და მუშა-მოსამსახურენი დროშებით გაემართნენ იმ შენობისაკენ, სადაც ესვენა მებრძოლთა ცხედრები, იქიდან კი—სასაფლაოსაკენ. დაკრძალვა გადაიქცა უდიდეს დემონსტრაციად, რომელმაც ცხადჰყო ზურგის კავშირი ფრონტიდან და მშრომელთა მზად ყოფნა —ყოველ წუთს დაიჭირონ დაღუპულთა ადგილები. დიდი ხანია ქალაქს ასეთი დემონსტრაციები აღარ უნახავს. მიუხედავად სიცივისა, ქუჩაში 50.000 კაცი გამოვიდა. ქალაქი მორთული იყო შავი და წითელი დროშებით. ცხედრების საფლავში ჩაშვების დროს გაისმოდა გემების და ფაბრიკა-ქარხნების საყვირების ხმა და ზარბაზნების სროლა. საფლავი შემკულ იქნა ასზე მეტი გვირგვინით". (ადს).

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ის წერილი

ბერლინი, 23 ნოემბერი. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ" სწერს: „ჩინური ცნობები ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე მომხდარი ამბების შესახებ დამახასიათებელია თავისი ტლანქი უაზრობით. ჩვეულებრივ ლაპარაკია დამსჯელ ექსპედიციაზე, რომელთაც აწყობენ საბჭოთა ჯარები იმ შემთხვევაში, როცა ჩინეთის ჯარები, რომელშიც, როგორც ცნობებია, ბევრი თეთრგვარდიელია, მეტის მეტ თავხედობას იჩენენ. თავისი ამოცანის შესრულების შემდეგ საბჭოთა ჯარები ,ჩვეულებრივ, უკან ბრუნდებიან. ამგვარი შეტაკებების დროს შეშინებული მუკდენის მთავარი შტაბი იუწყება საბჭოთა ჯარების შეჭრის შესახებ მანჯურიაში, როგორც კი საბჭოთა ჯარები უკან წავლენ, ჩინეთის ჯარი მამაცად იკავებს განთავისუფლებულ ადგილს".

აღნიშნავენ წითელი არმიის მიღწევებს

პეკინი, 23 ნოემბერი. „ჟურნალ დე პეკინ" სწერს:

„საბჭოთა არმიის უკანასკნელი ოპერაციები წარმოადგენენ სამხედრო ხელოვნების ძვირფას გაკვეთილს.

„ჩვენ ვართ მოწმე,— სწერს გაზეთი,— საჰაერო ოპერაციების ბრწყინვალე შესრულებისა მეტად დაბალი ტემპერატურის პირობებში. საჰაერო ოპერაციების ინტენსივობა სადგ. მანჯურიაში, ჩჟაილაინორში, მულინში და სხვ., რომლის შედეგათ ეს სადგურები ნანგრევებად იქცა, გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ავიაცია სათანადო სიმაღლეზე დგას".

შემდეგ გაზეთი მიუთითებს, რომ ხარბინს უნდა ეშინოდეს ახლო ხანში საბჭოთა ჯარების შემოსევის და იმ დასკვნამდე მიდის, რომ წითელმა არმიამ გამოაშკარავა მაღალი ბრძოლის უნარიანობა, დისციპლინა და პირველ ყოვლისა, სრულქმნილი ორგანიზაცია, რაც არ შეიძლება ითქვას ჩინეთის არმიაზე. (ადს).

მუკდენის მთავრობის გადაწყვეტილება

ტოკიო, 23 ნოემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, მუკდენის მთავრობამ გადაწყვიტა ნანკინისგან დამოუკიდებლად გამართოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან კონფლიქტის მოგვარების შესახებ და მოლაპარაკება დაავალოს ველიგტონ კუს. (ადს).

ლვოვის საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმის გამო

ზალესსკის განცხადება

ვარშავა, 23 ნოემბერი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, „პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ზალესსკიმ,** ლვოვის საბჭოთა საკონსულოს წინ უკრაინის ნაციონალისტური ახალგაზრდობის მიერ მოწყობილ დემონსტრაციასთან დაკავშირებით, მიიღო საბჭოთა კავშირის ელჩი **ბოგომოლოვი. ზალესსკიმ მწუხარება გამოსთქვა მომხდარ ინციდენტების გამო,** რომელიც სასწრაფოდ ვერ შეწყვიტა პოლიციამ, რადგან ისინი ერთდროულად მოხდა სხვადასხვა ადგილებში. ზალესსკიმ განუცხადა ბოგომოლოვს, რომ **მთავრობამ მიიღო ზომები, რომელთა მიზანია მომავალში ამგვარი ინციდენტების განმეორების შესაძლებლობის აღკვეთა**

ლვოვში მომხდარ ამბების გამო სწარმოებს გამოძიება და დამნაშავენი დაისჯებიან".

აღშფოთებულნი არიან პოლონელი სტუდენტების თავდასხმის გამო

ხარკოვი, 25 ნოემბერი. პოლონელ სტუდენტ ფაშისტების თავხედურმა თავდასხმამ საბჭოთა საკონსულოზე ლვოვში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ხარკოვის მშრომელთა შორის.

მთელი პროლეტარული სტუდენტობა შაბათს გამოვიდა ქუჩაში და გამართა დემონსტრაცია გათავხედებული პოლონელი ფაშისტების აღმაშფოთებელი საქციელის წინააღმდეგ. იმ შენობისაკენ, სადაც მოთავსებულია პოლონეთის გენერალური საკონსულო, დაიძრნენ დემონსტრანტების კოლონები პროფესორებისა და მასწავლებლების მეთაურობით.

დემონსტრაცია გაემართა სრულიად უკრაინის ცაკისაკენ, სადაც დემონსტრანტებს მიესალმა ამხ. პეტროვსკი, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობა მუშებისა, გლეხებისა, სამეცნიერო მუშაკებისა და მშრომელი ინტელიგენციისაგან ათასობით ღებულობს რეზოლიუციებს, რომლებშიაც გამოთქმულია აღშფოთება მოღალატე და კონტრრევოლიუციონერ ეფრემოვების, ჩეხოვსკების და სხვების წინააღმდეგ.

მუშურ-გლეხური მთავრობის სახელით ამხ. პეტროვსკიმ აღუთქვა დემონსტრანტებს, რომ მთავრობა მიიღებს გადამჭრელ ზომებს იმისათვის, რომ ყველას, ვინც შეეცდება ზიანი მიაყენოს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას, დაუკარგოს ამის ხალისი.

მთავრობამ მიიღო აგრეთვე დიდ ძალი საპროტესტო დეპეშები საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმის წინააღმდეგ ლვოვში. ამხ. პეტროვსკიმ განუცხადა დემონსტრანტებს, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი გამოსძებნის ზომებს, რათა სათანადო პასუხი გასცეს ამ თავდასხმას. (ადს).

კლემანსოს გარდაცვალება

პარიზი, 23 ნოემბერი. გარდაიცვალა ჟორჟ კლემანსო — საფრანგეთის იმპერიალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი (ადს).

—:—

კლემანსო დაიბადა 1841 წელს, პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო 1870 წლიდან, როდესაც იგი აირჩიეს მონმარტრის (პარიზი) მერად. 1876 წელს კლემანსო პირველად აირჩიეს პარლამენტში, სადაც იგი მეთაურობდა მემარცხენე რადიკალებს. რადგან იგი მკაცრად ილაშქრებდა თავის მოწინააღმდეგეების მიმართ, მას მეტ სახელად „ვეფხვი" უწოდეს. თანდათან კლემანსო უკიდურეს მემარჯვენეთა ბანაკში გადავიდა.

1914—1918 წლების ომის დროს კლემანსო აწარმოებდა მკაცრს კამპანიას ყოველგვარი [illegible] წინააღმდეგ გერმანიის მიმართ, ილაშქრებდა მალვის, კაიოს და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ზავის მომხრე იყო. პრემიერობის დროს კლემანსო განაგრძობდა ომის გაგრძელების პოლიტიკას სრულ გამარჯვებამდე და მკაცრ რეაქციას ქვეყნის შიგნით. როგორც უზენაეს საბჭოს თავმჯდომარე, იგი, ლოიდ ჯორჯთან და ვილსონთან ერთად, ვერსალის ხელშეკრულების ერთ-ერთი ავტორთაგანი იყო. 1920 წელს კლემანსო გადადგა და თავი დაანება პოლიტიკურ მოღვაწეობას.



ჟორჟ კლემანსო.

—:—

მუშების და გლეხების დელეგაცია საბჭ. კავშირში

ვენა, 23 ნოემბერი. როგორც რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირთა ორგანო „ვიაცია მუნჩიოტოარე" იუწყება, უნიტარული პროფკავშირები საბჭოთა კავშირში გასაგზავნად აწყობენ მუშურ-გლეხურ დელეგაციას. დელეგატების არჩევა მოხდება ქარხნებში, მაღაროებში, აგრეთვე სოფლებში. (ადს).

(დეპეშების გაგრძ. იხ. მე-2 გვერდზე)

მემარჯვენეთა ბელადების კაპიტულიაცია

ამხ. ტომსკის, ბუხარინისა და რიკოვის განცხადება

მოსკოვი, 25 ნოემბერი. უკანასკნელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში ჩვენსა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას უმრავლესობას შორის იყო უთანხმოებანი მთელ რიგ პოლიტიკურ და ტაქტიკურ საკითხებში.

ჩვენი შეხედულებანი ჩვენ გამოვსთქვით მთელ რიგ დოკუმენტებში და გამოსვლებში საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე და სხვა სხდომებზე.

ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ამ დავაში მართალი გამოდგა პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი. ცნობილ დოკუმენტებში გამოთქმული ჩვენი შეხედულებანი გამოდგა **შემცდარი.**

ვაღიარებთ რა ამ ჩვენს შეცდომებს, ჩვენი მხრით ყოველივე ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ მთელ პარტიასთან ერთად ვაწარმოოთ გადამჭრელი ბრძოლა ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ პარტიის გენერალურ ხაზიდან და, პირველ ყოვლისა, მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, რომ დავსძლიოთ ყოველგვარი დაბრკოლებანი და უზრუნველვყოთ სოციალისტური მშენებლობის სრული და სწრაფი გამარჯვება.

ტომსკი.
ბუხარინი.
რიკოვი.

ზემოთ მკითხველები გაეცნენ ამხ. ტომსკის, ბუხარინის და რიკოვის განცხადებას, რომელშიაც ისინი გადაჭრით აღიარებენ, რომ პარტიისა და მისი ცეკას ხაზი სწორია. ისინი ამასთანავე ჰგმობენ თავიანთ შეცდომებს და დაპირებას იძლევიან, რომ ყოველნაირად შეუწყობენ ხელს პარტიას ყველა სახის გადახრებთან და პირველ ყოვლისა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობასთან ბრძოლაში.

ეს უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი პარტიის ლენინური ხაზის გამარჯვების მეტად თვალსაჩინო და მრავალმეტყველ ფაქტს წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, რომ მემარჯვენე გადახრის ლიდერების სრული კაპიტულიაცია არ არის შემთხვევითი გარემოების შედეგი. დღეს უკვე ყველა თვალხილულისათვის აშკარაა, რომ პარტიის გენერალური ხაზი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ცხოვრებამ სავსებით და მთლიანად გაამართლა. სინამდვილემ ულმობლად დაამსხვრია უიმედობით და კაპიტულიანტური სულისკვეთებით გამსჭვალული მემარჯვენეთა ყველა წინასწარმეტყველებანი. ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის გადაჭარბებით განხორციელებამ სახალხო მეურნეობის მთელ რიგ ძირითად დარგებში, პურის დამზადების წარმატებით მიმდინარეობამ, კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის გიგანტურმა გაშლამ და აქედან მიღებულ უკვე რეალურ შედეგებმა სავსებით ცხადჰყო, რომ სოციალისტური მშენებლობის სწრაფი გზით განვითარებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა— ეს არის გზა ლენინის, გზა ბოლშევიკური პარტიის, რომელსაც მისთვის ჩვეული სიმტკიცით ატარებს ცენტრალური კომიტეტი. მხოლოდ ფრაქციული ჯიუტობით დაბრმავებულთ შეუძლიათ ამის შემდეგ განაგრძონ ბრძოლა თავიანთი ყალბი, ცხოვრებისაგან უკვე თავდაყირად დაყენებულ შეხედულებათა დასაცავად. მემარჯვენე გადახრის ლიდერებმა, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც აირჩიეს დაბოლოს სხვა გზა: მათ აღიარეს თავიანთი შეცდომები პარტიის წინაშე.

სხვანაირად შეუძლებელიც იყო. პარტიამ დაუზოგავად ამხილა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის ოპორტუნისტული ბუნება. მემარჯვენე გადახრა, რომელიც პრაქტიკულ უთანხმოებიდან პროგრამულ უთანხმოების სახეს ღებულობს, შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან. ან პარტიასთან, ან მის გარეთ — ასე დასვა საკითხი ცეკას ნოემბრის პლენუმმა და ამან მძლავრი, ერთსულოვანი გამოხმაურება ჰპოვა მთელ პარტიულ მასაში. აშკარა ფრაქციულ ბრძოლის გზაზე შემდგარი, იდეურად და პრაქტიკულად გაკოტრებული მემარჯვენე გადახრა, რომელსაც ცხოვრების განვითარება ტროცკიზმის ხვედრს უმზადებს, გარიყული აღმოჩნდა. პარტიის ერთსულოვანი და მედგარი შეტევის შემდეგ, მისი ბელადები იძულებული შეიქნენ დაეგმოთ თავიანთი აშკარად ყალბი, აშკარად ანტილენინური და ანტიპარტიული შეხედულებანი. მემარჯვენე გადახრის სამი ბელადის განცხადება, ამხ. უგლანოვის, მიხაილოვის და კოტოვის ასეთივე განცხადება ცეკას ნოემბრის პლენუმზე და მრავალი სხვა ამგვარივე ნაბიჯი, რომელნიც უკანასკნელ ხანებში გადასდგეს მემარჯვენე გადახრის წარმომადგენლებმა, ბოლშევიკურ პარტიულობის მორიგი და დიდი გამარჯვებაა.

რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ აქედან? შეიძლება თუ არა ბუხარინის, ტომსკის, რიკოვის და სხვათა კაპიტულიაციის შემდეგ ოდნავ მაინც შევანელოთ ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემთანხმებლობის წინააღმდეგ? რასაკვირველია, არა—და ათასჯერ არა.

პარტიას ნათლად აქვს წარმოდგენილი ის ობიექტიური პირობები, რომელნიც ჰქმნიდნენ და ჰქმნიან მემარჯვენე გადახრის საშიშროებას.

სოციალისტური მშენებლობის გენერალურ ხაზს, რომელიც გულისხმობს გაძლიერებულ შეტევას კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, თან ახლავს სიძნელეებს. აშკარაა, რომ ამ ენერგიული შეტევით შევიწროებული წვრილბურჟუაზიული ელემენტები კვლავ განაგრძობენ ბრძოლას თავიანთ არსებობის შესანარჩუნებლად. მემარჯვენე გადახრის მასაზრდოებელი ფესვები ცოცხლობენ. ამრიგად მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებლობა იყო და არის განვითარების მიმდინარე პერიოდის მთავარი საფრთხე. ჩვენი მორიგი ამოცანები ამ მხრივ ოდნავადაც არ იცვლება.

პარტიის ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მემარჯვენე გადახრაზე მეტი სიცხადით გვიკარნახებს—კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ რიგები ლენინურ ცეკას გარშემო და გაათკეცებული ენერგიით განვავითაროთ ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემთანხმებლობის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ. ასეთი და მხოლოდ ასეთია ის დასკვნა, რომელიც უნდა გამოიტანოს მთელმა პარტიამ ისტორიულ დოკუმენტიდან ბუხარინის, რიკოვის და ტომსკის კაპიტულიაციის შესახებ. პარტიამ თავისი ერთსულოვანებით, თავისი ფოლადისებური სიმტკიცით მიაღწია ამ მორიგ გამარჯვებას, ეს ერთსულოვანება და სიმტკიცე ლენინის დროშით ხელში არის საწინდარი ჩვენი მედგარი შეტევისა და საბოლოო გამარჯვების.

ამხ. ზინოვიევის წერილი

მოსკოვი, 24 ნოემბერი. 24 ნოემბერს „პრავდა"-ში გამოქვეყნებულია ამხ. ზინოვიევის წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„მე უკვე დიდი ხანია მიმაჩნია, რომ პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი სავსებით მართალნი იყვნენ ყველა იმ საკითხებში, რომელთა შესახებ ოპოზიცია ილაშქრებდა ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. მართალნი იყვნენ, კერძოდ, საკითხში—სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, გლეხთა საკითხში, ტროცკიზმის საკითხში, საკითხში პარტიის შიგნით ფრაქციული ბრძოლის შესახებ და სხვ. იგივე უნდა ითქვას ინდუსტრიალიზაციის საკითხზედაც, რომელიც სწორად დასვა ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენს პარტიაში, წინააღმდეგ ტროცკისტული ზეინდუსტრიალიზაციისა, რომელიც ცხოვრებამ დაამარცხა. ამხ. ბუხარინის შეცდომების გათანაბრება ცენტრალური კომიტეტის ხაზთან 1925-27 წლებში სწორი არ იყო მაშინ და სწორი არ არის ახლაც. მე არ მიმაჩნია, რომ ამხ. ბუხარინის რაიმე შეცდომები ამართლებდნენ ჩემს აშკარა შემცდარ ბრძოლას ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ 1925-27 წლებში, და ძალიან ვნანობ, რომ პარტშემოწმების დროს ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვის ბუნდოვანი გამოთქმებით შევქმენი იმის საბაბი, რომ ასე გაეგოთ ჩემი აზრი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ჩემი ბრძოლის მავნე მნიშვნელობას ვხედავ და ვაღიარებ მთლიანად, ვინაიდან ცენტრალური კომიტეტის ხაზი იყო და რჩება ლენინურ ხაზად. ყველა ჩვენი ეჭვები ცენტრალური კომიტეტის „გადაგვარებასა", „დაგვიანებასა", „ცენტრიზმსა" და მემარჯვენეების შეხედულებათათვის კვერის დაკვრაში — ძირფესვიანად შემცდარი იყო. ცენტრალური კომიტეტის ბრძოლა ორ ფრონტზე იყო და რჩება სწორი. მე ახლა ვხედავ და აშკარად ვაღიარებ, რომ იმ საკითხში, რომელიც შეეხებოდა კამენევის საუბარს, ბუხარინთან 1928 წლის ივლისში, სწორი იყო ის მითითება, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა მოგვცა. მით უფრო უდავოა ჩემთვის, რომ ამჟამად სოციალისტური მშენებლობის უდიდეს წარმატებებისა, კლასობრივი ბრძოლის მძაფრად გამწვავებისა, მომავალი დიდი ბრძოლებისა და დიდი სიძნელეების პირობებში ყოველი ბოლშევიკის ელემენტარულ მოვალეობას წარმოადგენს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის აბსოლუტურად და სიტყვის შეუბრუნებლად გატარება. ჩემის მხრივ მსურს მხოლოდ ერთი რამ: ყველა ამხანაგი დარწმუნდეს იმაში, რომ მე ისევ შევედულე პარტიას და მთლიანად და აბსოლუტურად სოლიდარული ვარ მასთან ყველაფერში". (ადს).

ამხ. კამენევის განმარტება

მოსკოვი, 25 ნოემბერი. „პრავდა"-ში გამოქვეყნებულია ამხ. კამენევის მიერ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის სახელზე გამოგზავნილი შემდეგი წერილი:

„რადგანაც პარტიის ფართო წრეებში ცნობილია, რომ პარტიისა და მისი ც. კ.-ის წინააღმდეგ წარსულში წარმოებულ ბრძოლაში ჩემი სახელი მჭიდროდ დაკავშირებული იყო ამხ. ზინოვიევის სახელთან, ხოლო „პრავდა"-ში დაბეჭდილ მის განცხადებას შეუძლია გამოიწვიოს შემცდარი შეხედულება ჩემს პოზიციაზე, ამიტომ საჭიროდ ვსთვლი განვაცხადო, რომ ამხ. ზინოვიევის განცხადება დაწერილია ჩვენ მიერ ერთად, და რომ მე მთლიანად და სავსებით ვიზიარებ ყველაფერ იმას, რაც ამ განცხადებაშია ნათქვამი ჩვენი შეცდომებისა და პარტიისა და ც. კ.-ის ლენინური ხაზის შესახებ, იმის შესახებ, რომ თვითეული წევრი ვალდებულია უყოყმანოდ მხარი დაუჭიროს ც. კ.-ს და არ დაუშვას, ხელმძღვანელობის ავტორიტეტის რყევა".

ამხ. კოსტროვის განცხადება

მოსკოვი, 25 ნოემბერი. „პრავდა"-ში დაბეჭდილია ამხ. კოსტროვის წერილი საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიმართ.

„წერილში გარდაქმნის ტემპების შესახებ" რომელიც ეხება სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპებსა და ჩვენი ორგანიზაციების გარდაქმნისა და მასების მობილიზაციის ტემპებს შორის არსებულ მჭიდრო კავშირს,—ამბობს ამხ. კოსტროვი, — მე ვწერდი: „აქ ლაპარაკია გენერალურ სამობილიზაციო გეგმაზე. აქედან გამომდინარეობს უდიდესი, თამამად შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ისეთი საკითხებისა, როგორიცაა პროფკავშირების გარდაქმნა და ღარიბი გლეხობის ფართო მასიური ორგანიზაციების შექმნა სოფლად".

ამას რომ ვამბობდი, მე მხედველობაში მქონდა ღარიბი გლეხობის ახალი მასიური ორგანიზაციების შექმნა სოფლად. საკითხის ასე დაყენების ძირითადი პოლიტიკური შეცდომა ის იყო, რომ მე საკმაოდ ვერ შევაფასე ის საფრთხე, რომელსაც შეიცავდა ღარიბი გლეხობის ახალი ორგანიზაციების დაპირისპირება სოფლის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან. როდესაც ღარიბი გლეხობის ახალი ორგანიზაციების შექმნას მოვითხოვდი თანამედროვე სოფლის კლასობრივ ურთიერთობათა რთულ პირობებში, მე ვერ გავითვალისწინე იმ „გლეხთა კავშირის" იდეის პოპულიარიზაციის საფრთხე, რომელიც მეორე (კულაკური) პარტიის ჩანასახს წარმოადგენს.

განვლილი დროის გამოცდილებამ დამანახვა, რომ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის ახლანდელი ფორმები უზრუნველჰყოფენ ფართო მასების მობილიზაციას და ჩვენი შეტევის გაშლა-განვითარებას სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ და რომ მე აქ სერიოზული პოლიტიკური შეცდომა ჩავიდინე.

ამის გამო მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ შეცდომად ვაღიარებ საკითხის ისე დაყენებას, როგორც ჩემს წერილშია და სრულიად ვეთანხმები ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელშიაც სწორედ არის გამორკვეული ჩემს წერილში დაშვებული შეცდომები.

ჩემი წერილი ობიექტიურად გამოხატავდა იმ განსაზღვრულ პოლიტიკურ განკერძოებას, რომელიც, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, ჰქმნიდა ჯგუფობრიობის წარმოშობის საფრთხეს პარტიაში. ყოველგვარი განკერძოება და ჯგუფობრიობა, რომლებიც, საერთოდ, შეუწყნარებელია ბოლშევიკური პარტიის რიგებში, განსაკუთრებით სახიფათოა დიდი გარდატეხის დღევანდელ პერიოდში, როდესაც პარტია თავისი ძალების უდიდესი დაჭიმვით სწყვეტს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის უძნელეს ამოცანებს, სძლევს კლასობრივი მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას, იბრძვის ორ ფრონტზე, როგორც მემარჯვენე ლიკვიდატორობასთან, რაც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, ისე კონტრ-რევოლიუციონურ ტროცკიზმთან და ნახევრად ტროცკისტულ სულიერ განწყობილებასთან" (ადს).

ამხ. უგაროვის განცხადება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სახელზე

მოსკოვი, 25 ნოემბერი. „ძვირფასო ამხანაგებო, ცეკას ორ უკანასკნელ პლენუმზე მე მხარს უჭერდი ამხ. ბუხარინს, რიკოვს და ტომსკის. ამჟამად მე დავრწმუნდი, რომ მათი შეხედულება შემცდარი იყო და ამიტომ შეცდომა იყო ჩემ მიერ ამ ამხანაგების მხარის დაჭერა. მე სრულიად და სავსებით ვიზიარებ ცეკას ხაზს და პოლიტიკას და აქტიურად ვიბრძოლებ მისთვის და მის გასატარებლად ცხოვრებაში.

უგაროვი.

რკინის-გზა თელავიდან ახმეტამდე

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს შორის მოხდა შეთანხმება სად. **თელავიდან** სოფ. **ახმეტამდე** (30 კილომეტრი) ფართო ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანის შესახებ. შეთანხმება მიღწეულ იქნა სპეციალურ თათბირზე, რომელიც გაიმართა 22 ნოემბერს რკინის გზის სამმართველოში ამხ. **პოზდეევის** თავმჯდომარეობით. ს. მ. უ. ს: მხრივ თათბირს დაესწრო ამხ: **გ. ყურულაშვილი** და საქ. სატყეო ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. **ნ. ბრეგაძე.**

შეთანხმების ძალით მუშაობა უნდა დაიწყოს რკინის გზის უწყების მიმდინარე წლის განმავლობაშივე და რკინის გზის გაყვანა უნდა აწარმოოს სწრაფი ტემპით.

ს. მ. უ. საბჭომ კი უნდა მოაგვაროს საკითხი ახმეტის ტყეების ექსპლოატაციის შესახებ და შეუდგეს რკინის გზის უწყებისათვის საჭირო შპალების დამზადებას. დამზადებული შპალებით ს. მ. უ. საბჭომ პირველ რიგში უნდა დააკმაყოფილოს ა.-კ. რკინის გზების მოთხოვნილება. ახმეტის ტყეების ექსპლოატაციის საქმე მინდობილი აქვს ს. მ. უ. ს. სატყეო ტრესტს, რომელმაც ახმეტაში უნდა მოაწყოს სატყეო კომბინატი.

რკინის გზის უწყებასთან აღნიშნული შეთანხმების მიღწევის გამო, ს. მ. უ. საბჭომ გადასწყვიტა მიიღოს ზომები ახმეტის სატყეო კომბინატის საჩქაროდ მოსაწყობათ. ამ მიზნით სატყეო მრეწველობის ტრესტს წინადადება აქვს მიცემული სასწრაფოდ შეუკვეთოს შესაფერის ორგანიზაციებს კომბინატის სააღმშენებლო პროექტი.

პროექტის შეკვეთა განზრახულია „დრევსტროი"-სა და „ორგლეს"-ისათვის. აღნიშნული ორგანიზაციები საერთო ძალით დაამუშავებენ კომბინატის სააღმშენებლო პროექტს. ამ ორგანიზაციებთან მოსალაპარაკებლათ ამ დღეებში მოსკოვში მიემგზავრება სატყეო ტრესტის წარმომადგენელი.

ვისაც
სურს
გაზეთის
წესიერათ
მიღება, მან
„კომუნისტი"
უნდა
გამოიწეროს
28 ნოემბრამდე
დეკემბრისათვის

მეცნიერთა განცხადება

აკადემიკოს სემკოვსკის გამოსვლა უკრაინის ცაკის სესიაზე

ხარკოვი, 24 ნოემბერი. სრულიად უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე აკადემიკოსს კორჩაკ—ჩეპურკოვსკის შემდეგ გამოვიდა აკადემიკოსი სემკოვსკი, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა:

„ამ მოკლე ხანში ყველა ჩვენგანმა წაიკითხა ცნობა იმის შესახებ, რომ პოლონეთში ზოგიერთი პარტიები და ჯგუფები, რომლებიც პოლონეთის ფაშიზმს ემსახურებიან და პოლონეთს ხელს უწყობენ იმაში, რომ მან უკრაინის ახალი რაიონები შეიერთოს, ახმაურდნენ იმის გამო, ვითომ საბჭოთა უკრაინაში ინტელიგენცია იდევნებოდეს.

ეს ურცხვი სიყალბეა. თქვენ იცით, რომ ჩვენში, საბჭოთა უკრაინაში, მეცნიერებისა და ტეხნიკის წინაშე გადაშლილია ისეთი შესაძლებლობა, როგორისაც კაცობრიობის ისტორიამ ჯერ არ იცნობს. ეს კონტრ-რევოლუციონერები, რომელთა შესახებაც აქ გვაუწყეს, წარმოადგენენ ინტელიგენციის განსაზღვრულ ფრთას, რომელიც უფრო და უფრო გამარტოებული რჩება. მათ ამოცანას, რა თქმა უნდა, არ შეადგენს „უკრაინის განთავისუფლება", ხელსაყრელი „პირობების" შექმნა უკრაინის კულტურისა და მეცნიერებისათვის. მათი ამოცანაა კაპიტალისტური რესტავრაცია. მეტიც: ისინი წარმოადგენენ პოლონეთის ექსპანსიის თარაღს. „უკრაინის განთავისუფლების კავშირი", თუ ფრჩხილებს გავხსნით, ნიშნავს უკრაინის მართლაც „განთავისუფლებას" პურისა და შაქრისაგან, განთავისუფლებას უკრაინის გლეხობისა მიწებისაგან, ხოლო უკრაინის პროლეტარიატისა—იმ ფაბრიკებისა და ქარხნებისაგან, რომლებიც მათ რევოლუციამ გადასცა.

მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა შორის დიდი მღელვარება და ღრმა აღშფოთება გამოიწვია გაზეთებში მოთავსებულმა ცნობამ კონტრ-რევოლუციონური შეთქმულების აღმოჩენის შესახებ. ჩვენი სტუდენტობა აუდიტორიებში ღელავს, არჩევს საკითხს; მას სურს გამართოს დემონსტრაცია, რომ გამოსთქვას თავისი დამოკიდებულება სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული ამ გაუგონარი მავნებლური და კონტრ-რევოლუციონური აქტისადმი. მე მგონია, მეცნიერების მუშაკთა მასა ზიზღით და აღშფოთებით დაჰგმობს ამ სამარცხვინო ბოროტ-მოქმედებას და გაორკეცებული და გასამკეცებული ენერგიით შეამჭიდროებს თავის ძალებს პარტიის იმ გენერალური ხაზის განსახორციელებლად, რომელიც ნაცადია მთელი ჩვენი რევოლუციის მიმდინარეობით, რომელმაც უკვე თვალსაჩინო გახადა თავის ძლევამოსილება და რომელმაც სოციალიზმს უნდა მოუპოვოს გამარჯვება ჩვენში და მთელ მსოფლიოში". (მქუხარე ტაში).

სამეცნიერო მუშაკთა დელეგაცია უკრაინის ცაკის სესიაზე

ხარკოვი, 24 ნოემბერი. სრულიად უკრაინის ცაკის სესიაზე გამოცხადდა სამეცნიერო მუშაკთა დელეგაცია, რათა გამოეთქვა აღშფოთება უკრაინაში კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის აღმოჩენის გამო.

აკადემიკოსმა სოკოლოვსკიმ უკრაინის სამეცნიერო მუშაკთა სექციის (რომელიც 4.000 კაცს აერთიანებს) ცენტრალური ბიუროს და სამეცნიერო მუშაკთა ხარკოვის სახელით განაცხადა:

„უკრაინელი ხალხის ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ეროვნული კულტურის ისეთი განვითარება, როგორიც საბჭოთა ხელისუფლების დროს. საზღვარს გადაღმა კი ჩვენ ვხედავთ უკრაინელი ეროვნების ჩაგვრას. უკრაინა საბჭოთა ქვეყანა უნდა იყოს, ან უკრაინა საერთოდ არ იქნება.

გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინას, როგორც საბჭოთა კავშირის განუყრელ ნაწილს!" (ადს).

სამეცნიერო მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიუროს რეზოლიუცია

მოსკოვი, 25 ნოემბერი. უკრაინაში კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის აღმოჩენის გამო სამეცნიერო მუშაკთა სექციის ცენტრალურმა ბიურომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„სამეცნიერო მუშაკთა სექციის ცენტრალურმა ბიურომ უღრმესი აღშფოთებით გაიგო, რომ საზიზღარ მოღალატეთა ჯგუფში მოიპოვება უკრაინის თვალსაჩინო სამეცნიერო მუშაკთა სახელებიც. ბიურო მოუწოდებს ყველა საბჭოთა მეცნიერებს—კონტრ-რევოლიუციონერთა თავხედური გამოსვლის საპასუხოდ გააძლიერონ სიფხიზლე და ბრძოლა რეაქციონურ ელემენტებთან თავიანთ საკუთარ წრეში და გაათკეცონ ენერგია სოციალისტურ მშენებლობაში. (ადს).

საბჭოთა კავშირის ტრაქტორიზაცია

მოსკოვი, 24 ნოემბერი. ტრაქტორმშენებლობის ახალი გეგმით, ხუთი ქარხანა ხუთწლედის დამლევს გამოუშვებს წლიურად 210.000 ტრაქტორს. მეორე ხუთწლედის დამლევს იმუშავებს 1.000.000—1.500.000 ტრაქტორი 25—30 მილ. ცხ. ძალის გამწევი ძალით. ტრაქტორებით დამუშავებული მიწის საერთო რაოდენობა მიაღწევს 2.500.000 ჰექტარს.

ტრაქტორცენტრის მიერ დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, მარცვლეული კულტურების საქონლის პროდუქცია 1932—33 წელს გაიზრდება 505,27 პროც.-ით, კარტოფილის და ჭარხლის ნათესი სივრცე გასამდება. მსხვილფეხა საქონლის რიცხვი გაიზრდება 58,9 პროც.-ით.

ტრაქტორების მშენებლობა ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 25 ნოემბერი. სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ცენტრმა დაამტკიცა სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. 1930 წელს ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში მოეწყობა 3 სადგური, 1931 წ. — 5, 1932 წ. — 5 და 1933 წელს — 7 სადგური.

უცხოეთის დელეგაციების გამგზავრება

მოსკოვი, 25 ნოემბერი. მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრენ ინგლისის, გერმანიისა, ავსტრალიისა, ირლანდიისა და ამერიკის მუშათა დელეგაციები. სადგურზე გამართა გამოსათხოვარი მიტინგი. დელეგაციების სახელით გამოსულებმა განაცხადეს:

„სამი კვირაა, რაც ჩვენ ვიმყოფებით იმ ქვეყანაში, რომელიც სოციალისტური მშენებლობის ენტუზიაზმით სცოცხლობს, ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირის მუშები აშენებენ ახალ სოციალისტურ საზოგადოებას. შორს არ არის ის დღე, როდესაც გერმანიის მუშები დაამხობენ თავის ბურჟუაზიას და ძმურ ხელს გაუწვდიან საბჭოთა კავშირის მუშებს, რომ მათთან ერთად მსოფლიო კაპიტალი დაამხონ". (ადს)

ამხ. სერებროვსკის დანიშვნა

მოსკოვი, 24 ნოემბერი. საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბრძანებაში გამოქვეყნებულია საკ. სახკომსაბჭოს დადგენილება ამხ. სერებროვსკის საკ. ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის წევრად დანიშვნის შესახებ. (ადს).

უმაღლესი ჯილდო

მოსკოვი, 24 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა საფრანგეთში ტელეგრაფით ატყობინებს საკ. ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმს, რომ კოლონიალურ სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა გამოფენაზე სტრასბურგში (საფრანგეთში), ს.მ.უ. საბჭოს კინდირის ექსპონატებმა უმაღლესი ჯილდო მიიღეს. (ადს).

ამხ. სტარკი გაემგზავრა კაბულში

მოსკოვი, 25 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავღანისტანში ამხ. სტარკი მოსკოვიდან ქაბულში გაემგზავრა (ადს).

დაშნაკ-ბანდიტების პროცესი

სტეფანაკერტი, 24 ნოემბერი. 23 ნოემბერს სტეფანაკერტში დაიწყო დაშნაკ-ტერორისტის მოსეს ხალაფიანის გასამართლება. წინასწარი გამოძიების მიხედვით, საქმის ვითარება ასეთია:

მთიან ყარაბაღის ავტონომიის გამოცხადებასთან (1923 წ.) დაკავშირებით, დაშნაკთა ორგანიზაციამ გადასწყვიტა, ხელი შეეშალა სომეხ-თათართა ეროვნული სოლიდარობის განმტკიცების ამ აქტისათვის. ამ მიზნით, დაშნაკთა ფარულმა ორგანიზაციამ ბაქოიდან ყარაბაღში გაგზავნა სამი ტერორისტი: არუთიუნ დანელიანი, ოვანეს კაჩარიანი და მოსეს ხალაფიანი. ჯგუფს დავალებული ჰქონდა მოეკლა მთიან ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კარაკოზოვი, მ. არზანიანი და ბევრი სხვა ხელმძღვანელი.

გარდა ამისა, მათ უნდა მოეხდინათ რამდენიმე პროვოკაციული მკვლელობა, რომელსაც უნდა გამოეწვია ეროვნული შეტაკება თათრებსა და სომხებს შორის. შეიარაღებული ბანდა, რომელსაც დიდი თანხა მიეცა, ჩავიდა ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში და დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას. მოკლე ხანის განმავლობაში დაშნაკ-ბანდიტებმა მოჰკლეს რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები, მეტწილად თურქები. ჭრაბერთის რაიონში ბანდიტებმა არ შეიბრალეს ექვსი წლის თურქი ბავშვიც კი.

აღშფოთებულმა გლეხობამ ალღო აუღო მკვლელობათა პროვოკაციულ ხასიათს და ხელისუფლებასთან ერთად ენერგიული ზომები მიიღო ბანდიტების დასაჭერად. გლეხთა მასიური ამოძრავების გამო, ბანდიტები იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ პასუხისმგებელ მუშაკთა მოკვლის განზრახვაზე. თავის გადასარჩენად მათ მიაშურეს განჯის მთებს. ჭრაბერთის რაიონში ბანდიტები მოემწყვდენ ჩასაფრებული გლეხების რკალში. სროლის დროს კაჩარიანი ხელთ ჩაუვარდა გლეხებს, ხოლო დანარჩენებმა მიმალვა მოახერხეს. მალე კასპიის იქით ოლქში დააპატიმრეს დანიელიანიც. ორივე დახვრეტილ იქნა მთიან ყარაბაღში. ჯგუფის მთავარი მონაწილე და ხელმძღვანელი ხალაფიანი კი იმალებოდა და მხოლოდ ამას წინად შეიპყრეს სამარყანდში და ჩამოიყვანეს ყარაბაღში.

ფართო საჩვენებელი გასამართლება დიდ ინტერესს იწვევს მთიან ყარაბაღის გლეხობაში. (ადს)

საქ. ა. ლ. კ. ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 24 ნოემბერი. 1 დეკემბერს იხსნება საკ. ა. ლ. კ. კ. ც. კ-ის მეექვსე პლენუმი. (ადს).

ამხ. რუბენი

დამტკიცებულია მოსკოვის საოლქო საკონტრ. კომისიის თავმჯდომარეს მოადგილეთ

მოსკოვი, 24 ნოემბერი. მოსკოვის საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმმა ამხ. რუბენი კოოპტაციის წესით შეიყვანა თავის შემადგენლობაში და დაამტკიცა მოსკოვის საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

პროფკავშირების მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში

საქ. პროფკავშირებმა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის კამპანია დაიწყეს პირველ აგვისტოდან. ახსნა-განმარტებითი კამპანია სწარმოებდა როგორც ქალაქში, ისე სოფლად. ამის შედეგად ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი საქ. მუშა-მოსამსახურეთა შორის გავრცელებულია 10.709.130 მანეთის რაოდენობით, რაც საკონტროლო ციფრის 117,1 პროც. შეადგენს. რაც შეეხება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელებას, იგი გასაღებული იქნა 7.913.588 მანეთის რაოდენობით.

თბილისში სულ ითვლება 63.427 მუშა-მოსამსახურე, აქედან სესხზე ხელი მოაწერა 57.385 კაცმა, ე. ი. 90,5 პროც.; ხელისმოწერის თანხა გამოიხატება 5.857,640 მანეთში, რაც საკონტროლო ციფრის (4 მილ. მანეთი) 146,5 პროც. შეადგენს.

ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე თბილისში გამოიხატებოდა 4.690.015 მანეთში

სესხის გავრცელება ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქებსა და მაზრებში შემდეგ სურათს იძლევა: აჭარისტანში გასაღებულია 922,670 მანეთის ობლიგაციები, აფხაზეთში—596.640 მან., სამხრეთ-ოსეთში—65.190 თბილისის ოლქში—5.676,900, კახეთის ოლქში—350.365, გორის ოლქში—655.185, ქუთაისის ოლქში—1.573,200, სენაკის მაზრაში—198.910, ზუგდიდის მაზრაში—134.520, ოზურგეთის მაზრაში—204,905, ფოთში—199,780, ახალციხის მაზრაში—54.470, ახალქალაქის მაზრაში—55.395 და ზემო-სვანეთში—21.000 მანეთის ობლიგაციები.

ცალკე კავშირების მიხედვით სესხი გავრცელებულია: მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში — 230.214 მან., ხეზე მომუშავეთა კავშირი — 76.485, სახალხო კვების მუშაკთა კავშირში—52.089, მეტყავეთა კავშირში—103,268, სამთამადნო მუშათა კავშირში—486,755, მშენებელთა კავშირში—170.075, მტვირთავეთა შორის—196.530, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირში—172.894, კომუნალურ მუშაკთა კავშირში—358.075, საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირში—1.069,550, განათლების მუშაკთა კავშირში—482.000, კვებ-კვების—250.617, მკერავთა—77.731, ხელოვნების მუშაკთა—109.398, მბეჭდავთა—232.220, ფეიქართა—60.680, მედნასშრომის—320.009, ქიმიკოსთა—82,835, მელითონეთა—287.360, რკინის გზელთა—1.067.048 და წყალზე მომუშავეთა კავშირში—93.375 მანეთის ობლიგაციები.

აღსანიშნავია, რომ მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებების დადგენილებით სესხის რეალიზაცია 1 დეკემბრის ნაცვლად დაიწყო 15 აგვისტოდან. ეს ნათლად ამტკიცებს, რომ საქართველოს პროლეტარიატმა ერთხმად მხარი დაუჭირა და მოიწონა მთავრობის მიერ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დასაჩქარებლად მიღებული ღონისძიება.

ინდუსტრიალიზაციის ფონდში

კვირას, 24 ნოემბერს, თბილისის კომკავშირელებმა ჩაატარეს შაბათობა ინდუსტრიალიზაციის ფონდის სასარგებლოდ.

შაბათობაში მონაწილეობა მიიღო ექვსასზე მეტმა კომკავშირელმა ქალაქის და 26 კომუნარის რაიონებიდან.

რადგან დასაცლელი ტვირთი არ იყო თავის დროზე მზად, ამიტომ ლენინის რაიონის კომკავშირელებს არ მიუღიათ მონაწილეობა შაბათობაში და ამ კვირის დამლევს ისინი ცალკე გამოვლენ სამუშაოდ.

კომკავშირელები შაბათობაზე

ახალგაზრდობა უფრო მეტი რაოდენობით გამოვიდა სამუშაოდ 26 კომუნარის რაიონში.

აქ კომკავშირელებმა ნავთლუღის სამხედრო საწყობში გადმოტვირთეს თვითონ დატვირთული შემადგენლობა, გადაზიდეს მაკარონის ფაბრიკის დამზადებული პროდუქცია, ავლაბრის საბაზისო საწყობში დასცალეს რამდენიმე ვაგონი ხორბალი და ჩაატარეს დიდი მუშაობა „სოიუზხლებ"-ის მარცვლეული პროდუქციის გადატვირთვისა და დახარისხების ირგვლივ. ამ უკანასკნელ მუშაობაში მონაწილეობდა 150 კაცი და კომკავშირელებთან და პიონერებთან ერთად მუშაობდენ წითელარმიელებიც.

დიდი მუშაობა ჩატარდა ქალაქის რაიონის მთელ რიგ საწარმოებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ დაინტერესებულ სამეურნეო საწარმოთა უმრავლესობამ არ აღმოუჩინა კომკავშირელებს ჯეროვანი დახმარება და ზოგჯერ ხელიც კი შეუშალა მუშაობას მით, რომ არ ჰქონდა წინასწარ მომარაგებული გადასატან-გადმოსატანი ტვირთის საკმაო რაოდენობა და საჭირო გადასაზიდი საშუალებანი.

ამჟამად ირკვევა, თუ რას უდრის კომკავშირელთა მიერ გაწეული მუშაობის ღირებულება, რომელიც ინდუსტრიალიზაციის ფონდში უნდა გადაირიცხოს.

ვულკანის ამოხეთქა

ბაქო, 24 ნოემბერი. 24 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ბაქოს ოლქის სოფელ მარაზის რაიონში მიწის ქვეშიდან მოისმა გუგუნი, რის შემდეგაც მახლობელი მთის მწვერვალიდან ამოხეთქა უდიდესი ძალის ვულკანმა. ვულკანის ხმაურობა ისმის რამდენიმე ვერსის მანძილზე. პირველად ვულკანმა ამოისროლა ლავა, რომელსაც მალე ცეცხლი გაუჩნდა. ამჟამად ვულკანი განაგრძობს მოქმედებას. ცეცხლის სვეტი 100 მეტრს აღწევს. როგორც გამოირკვა, ვულკანი ბაქოზე დაცილებულია 90 ვერსით და მდებარეობს ბაქო—ბათომის ნავთსაჭაჩავი სადგურის ჯეირან-ჩაზმახის მახლობლად.

ვულკანის შესასწავლად ბაქოდან გაემგზავრა აზნავთის გეოლოგიური კომისია პროფესორ აბრამოვიჩის მეთაურობით. ვულკანი თავისი სიდიდით არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს; ასეთი ვულკანი არ ახსოვთ ღრმა მოხუცებსაც კი. დღემდე აზერბეიჯანში ცნობილი იყო მხოლოდ ტალახის ჩამქვრალი პატარა ვულკანები, როგორიც არის შახ-ზაგორილი, ყურბახი და სხვა. (ადს)

მისალმება

შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიას

ლენინგრადი, 24 ნოემბერი. ცნობამ შორეულ-აღმოსავლეთის არმიის მიერ ჩინელთა და თეთრგვარდიელთა ბანდების მოგერიების შესახებ ლენინგრადის მუშათა მასებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, ფაბრიკებსა და ქარხნებში შესდგა სახელდახელო მიტინგები; გამოიტანეს რეზოლიუციები, რომლებშიაც ესალმებიან შორეულ-აღმოსავლეთის არმიის მებრძოლთ.

ლენინგრადის გარნიზონის წითელ-არმიელები ესალმებიან შორეულ-აღმოსავლეთში საბჭოთა საზღვრების აქტიურ დამცველებს და აცხადებენ, რომ მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ყველანი წავლენ გათავხედებულ ჩინელ თავდამსხმელების წინააღმდეგ საბრძოლველად. თავიანთ მზად ყოფნას, ისინი დაამტკიცებენ სწავლების გაძლიერებით და დისციპლინით (ადს)

ატლანტიის ოკეანეში

ლენინგრადი, 24 ნოემბერი. ჯავშნოსანი „პარიზის კომუნა" და კრეისერი „პროფინტერნი" გავიდნენ ატლანტიის ოკეანეში, პრაქტიკული მუშაობისათვის. არავითარი პოლიტიკური ამოცანები ამ მოგზაურობას არა აქვს.

ხუთწლედის მეორე წლის პირველი თვის შედეგები

მოსკოვი, 25 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ.ს. ცნობების მიხედვით, სამრეწველო წარმოება ოქტომბერში, ხუთ წლედის მეორე წლის პირველ თვეში, საერთოდ მე-8 პროცენტით გაიზარდა, სექტემბერთან შედარებით. საერთო პროდუქცია, წარსული წლის ოქტომბერთან შედარებით, 1,5 პროცენტით გადიდდა. მიმდინარე სამეურნეო წლის ოქტომბერი იძლევა სამრეწველო პროდუქციის 24,3 პროც. ზრდას. ყველაზე უფრო გაიზარდა — მძიმე ინდუსტრიის პროდუქცია—28,4 პროცენტით (ადს).

საბინაო მშენებლობის ფონდის გაძლიერება

მოსკოვი, 24 ნოემბერი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო გააძლიეროს მუშა-მოსამსახურეთა საბინაო მშენებლობის ფონდი. ამ მიზნით, კომერციული ანგარიშებით მომქმედმა სახელმწიფო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებმა მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი თანხებიდან საამშენებლო ფონდში უნდა გადარიცხონ 75 პროცენტი (ადს).

ერთსულოვნად და გადაჭრით მემარჯვენეების წინააღმდეგ

პარტიული ორგანიზაციები უერთდებიან ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებს

მოსკოვი, 24 ნოემბერი. ხამოვნიკის და ზამოსკვორეჩიეს რაიონების პარტაქტივთა კრებებმა მიიღეს რეზოლიუციები, რომლითაც მთლიანად იწონებენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს. (ადს).

მოსკოვი, 24 ნოემბერი. ასტრახანის, სიმფეროპოლის, ტამბოვის და იაროსლავსკის პარტაქტივი და ტომსკის, რიაზანსკის და ტვერის პარტუჯრედები მთლიანად და სავსებით იწონებენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს. (ადს).

მოსკოვი, 25 ნოემბერი. მოსკოვის ორგანიზაციის კომკავშირის აქტივის კრება სავსებით შეუერთდა ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებებს. აქტივის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ც. კ.-ის გადაწყვეტილება პოლიტბიუროდან ამხ. ბუხარინის გამოყვანის შესახებ და ამხ. რიკოვისა და ტომსკის გაფრთხილების შესახებ წარმოადგენს ბოლშევიკურ-ლენინურ პასუხს იმ ორმაგ პოლიტიკაზე, რომელსაც აწარმოებენ მემარჯვენეები. ისინი, იმის ნაცვლად, რომ აღიარონ თავიანთი შეცდომები, სცდილობენ პარტიასთან ბრძოლაში აწარმოონ მანევრები და თავიანთ თავს უპირისპირებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ს: (ადს):

ხარკოვი, 24 ნოემბერი. ხარკოვის პარტორგანიზაციის საქალაქო კონფერენციამ მოისმინა უკრაინის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და უკრაინის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმების შედეგების შესახებ და ერთხმად მოიწონა ამ პლენუმების დადგენილებანი.

ასეთივე რეზოლიუციები მიიღეს ხარკოვის მთელ რიგ პარტკოლექტივებს და აგრეთვე ჟიტომირის პარტორგანიზაციის აქტივის კრებაზე. (ადს).

სმოლენსკი, 25 ნოემბერი. დასავლეთის ოლქის პარტორგანიზაციის პარტაქტივის რამდენიმე ათეული კრება იწონებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. საკავშირო კომპარტიის (ბ) დასავლეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი და როსლავის, კლინცოვსკის და ბრიანსკის პარტაქტივები და სმოლენსკის ჯგუფური კრებები, რომლებსაც პარტიის 5.000 წევრი დაესწრო, იწონებენ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, კერძოდ, ამხ. ბუხარინის პოლიტბიუროდან გამოყვანისა და ამხ. რიკოვისა და ტომსკისათვის უკანასკნელი გაფრთხილების გამოცხადების შესახებ. (ადს).

ლენინგრადი, 23 ნოემბერი. მოისმინა რა ამხ. კუიბიშევის მოხსენება ც. კ.-ის პლენუმის შედეგების შესახებ, ლენინგრადის ორგანიზაციის პარტაქტივი სავსებით იწონებს პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, კრება სცნობს, რომ პლენუმის გადაწყვეტილებები მემარჯვენეებისათვის გადაიქცნენ სერიოზულ გაფრთხილებად, რომლებიც განამტკიცებენ ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ (ადს).

ლენინგრადი, 24 ნოემბერი. „სკოროხოდი"-ს პარტკონფერენცია ესალმება ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია პარტიის ხაზის შემდგომ მტკიცე გატარებისაკენ და იწონებს ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას ამხ. ბუხარინის პოლიტბიუროდან გამოყვანის შესახებ. ასეთივე რეზოლიუციები მიიღეს ხალტურინის სახელობის ფაბრიკამ, „კრასნი გაზოდილნიკ"-მა, „სვეტლანა"-მ, „ელექტროაპარატ"-მა და სხვ. (ადს).

ოდესა, 23 ნოემბერი. ქალაქის მსხვილი წარმოების პარტიული კრებები ერთხმად აცხადებენ, რომ ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის დადგენილებები სავსებით შეეფერება მთელი პარტიული მასის ნებისყოფას; კრებები ერთხმად იწონებენ დადგენილებებს პოლიტბიუროდან ბუხარინის გამოყვანისა და ამხ. რიკოვისა და ტომსკის გაფრთხილების შესახებ (ადს).

სტალინო, 23 ნოემბერი. პარტკოლექტივების კრებას მაღაროებსა და საწარმოებში გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებიც სავსებით იწონებენ საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმის დადგენილებას პოლიტბიუროს შემადგენლობიდან ამხ. ბუხარინის გამოყვანისა და ამხ. რიკოვისა და ტომსკის გაფრთხილების შესახებ. „ხუთწლედის პირველი წლის შედეგებმა,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—ყველაზე უკეთესად დაარღვიეს ბუხარინის სკოლის მემარჯვენე თეორეტიკოსების „წინასწარმეტყველებანი" (ადს).

სტალინაბადი, 24 ნოემბერი. ტაჯიკის საოლქო კომიტეტის ბიურო სალამს უძღვნის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლენინურ ხელმძღვანელობას, რომელიც გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებს პარტიის ლენინური ხაზის რევიზიის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, კერძოდ, ბიურო იწონებს პლენუმის დადგენილებას პოლიტბიუროდან ბუხარინის გამოყვანის და რიკოვისა და ტომსკისათვის გაფრთხილების გამოცხადების შესახებ. (ადს).

ერევანი, 23 ნოემბერი. სომხეთის კ. პ. (ბ) ერევნის კომიტეტი იწონებს საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებას მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების შესახებ და იმის გამოცხადებას, რომ მემარჯვენე იდეოლოგიის დაცვა შეუთავსებელია პარტიის წევრობასთან. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს მემარჯვენე თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გაგრძელების საჭიროებას, მათი ორმაგი პოლიტიკის მხილების გზით. იბრძვის რა ორ ფრონტზე, როგორც მემარჯვენეთა, ისე „მემარცხენეთა" წინააღმდეგ, პარტია ხუთწლედის მეორე წელს კიდევ უფრო შემჭიდროვებული რიგებით ხვდება.

ერევნის პარტორგანიზაციის ცალკე უჯრედებიც სავსებით იწონებენ ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და თხოვენ ც. კ.-ს— მიიღოს მეტი გადამჭრელი ღონისძიებები მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ფრაქციული ბრძოლა კვლავ განაგრძეს (ადს).

ლევინას ანტიპარტიული გამოსვლა

სამარა, 24 ნოემბერი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წმენდის დროს გამოვიდა სლეპკოვის მიმდევარი ლევინა. პოლიტიკური ორპირობა, ფრაქციული ცილისწამება, გენერალური ხაზის თვალთმაქცურად მიღება და ამავე დროს ბუხარინის მემარჯვენე-ოპორტუნისტული ჯგუფის შეხედულებათა მხურვალე დაცვა,—აი მისი გამოსვლის ნამდვილი შინაარსი. ლევინამ განაცხადა, რომ ის არ ეთანხმება მე-16 პარტკონფერენციის და კომინტერნის მეათე პლენუმის დადგენილებების იმ ნაწილს, რომელიც ბუხარინს ეხება. (ადს).

ამხ. გოლდენბერგის გამოსვლა საკ. სახელმწ. კომისიის უჯრედის სხდომაზე

მოსკოვი, 25 ნოემბერი. რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის უჯრედის სხდომაზე, ც. კ.-ის პლენუმის შედეგების გარჩევის დროს, გამოვიდა ამხ. ბუხარინის ერთ-ერთი თანამებრძოლი ამხ. გოლდენბერგი, რომელმაც განაცხადა, რომ ის იზიარებდა ამხ. ბუხარინის შეხედულებებს და დარწმუნდა, რომ ამხ. ბუხარინთან ერთად დაუშვა „მთელი რიგი პოლიტიკური შეცდომები". ამხ. ბუხარინის უდიდეს შეცდომად ამხ. გოლდენბერგი სთვლის მინიმალისტურ შეხედულებას კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხებზე. ამხ. ბუხარინის მეორე უდიდეს შეცდომას წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის არასწორი შეფასება. ამხ. გოლდენბერგს ეჭვი არ შეუძლია იმაში, რომ ბუხარინის ჯგუფს აქვს სხვა ხაზი, რომელიც განირჩევა პარტიის ხაზისაგან. ამხ. გოლდენბერგი ჰგმობს ამხ. სლეპკოვის გამოსვლას, რომელიც იცავდა ბუხარინის შეხედულებებს, თუმცა ამხ. გოლდენბერგმა არ უარჰყო მემარჯვენეთა ფრაქციული მუშაობა, მაგრამ ის სცნობს, რომ „ბუხარინელებს ახასიათებს „ჯგუფობრივი განკერძოების ელემენტები".

უჯრედის კრებამ გამოტანილ რეზოლიუციაში აღნიშნა ამხ. გოლდენბერგის განცხადების ორაზროვნობა; ამხ. გოლდენბერგმა უარჰყო მემარჯვენეთა ფრაქციულობა. (ადს).

თვითკრიტიკა და პრესა

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ბაქოს კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა სხდომამ, აქტივთან ერთად, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისას მთავარი ყურადღება მიაქცია იმას, თუ როგორ ვითარდებოდა თვითკრიტიკა, როგორც ცენტრალური კომიტეტის დირექტივების განხორციელების ძირითადი მეთოდი. თვითკრიტიკა ფართოდ გაიშალა და მისი განვითარება საერთოდ ჯანსაღია. ცალკე გამრუდებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, უმთავრესად, თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის პირველ პერიოდში, საკმაოდ და თავის დროზე სწორდებოდნენ ცენტრალური კომიტეტის, ბაქოს კომიტეტის და რაიონული კომიტეტების ჩარევით. შეცდომების გამოსწორება ახლაც ხდება. მთავარი ამოცანაა — „გადაუხრელად განვაგრძოთ მუშათა დაწინაურებისა და შემოქმედებითი თვითკრიტიკის გაშლის ხაზი" („ბაკინსკი რაბოჩი", 25 ოქტომბერი).

პარტიის ხაზი ნათელია. იგი სწორად უნდა განვახორციელოთ. არ უნდა დავივიწყოთ ერთი საფრთხე. ბიუროკრატიული ელემენტების წინააღმდეგობამ და თვითკრიტიკის ჩახშობამ შეიძლება გამოხატულება ჰპოვოს იმაშიაც, რომ გადაჭარბება აღმოაჩინონ იქ, სადაც იგი არ არის, თვითკრიტიკის დამახინჯებად გამოაცხადონ ის, რაც დამახინჯებას არ წარმოადგენს. მაშასადამე, საჭიროა სიფხიზლე, ყურადღება და სიფრთხილე, როდესაც ლაპარაკია თვითკრიტიკის გამრუდებაზე ორივე მხრივ (ჩახშობა, დამახინჯება). გაზეთებმა თავგამოდება და გამბედაობა უნდა გამოიჩინონ პარტიის სწორი ხაზის დაცვის დროს. არ შეიძლება შეგნებულად თუ შეუგნებლად დავუშვათ, რომ გამრუდებასთან ბრძოლის საბაბით შევასუსტოთ და შევავიწროვოთ თვითკრიტიკა.

სწორად განაცხადა „ბაკინსკი რაბოჩი"-მ 6 ოქტომბერს: „ზოგიერთი განწყობილია ისე, რომ ჩვენი ბრძოლა თვითკრიტიკის გამრუდებასთან შეაფასოს როგორც საერთოდ თვითკრიტიკის გაუქმება... არასოდეს და არსად პარტია არ დაუშვებს თვითკრიტიკის „გაუქმებას".

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თვით „ბაკინსკი რაბოჩი" მთლიანად ვერ მისდევს მის მიერ განმარტებულ ხაზს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას, რომ ამ გაზეთის ფურცლებზე „თვითკრიტიკა გაუქმებულია". გაზეთმა უკანასკნელ თვენახევარში (ოქტომბერი - ნოემბერი) გამოააშკარავა სხვადასხვა დეფექტი პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური მუშაობის სხვადასხვა დარგში. საქმიანი კრიტიკის ქარცეცხლში ტარდება პარტსწავლებისათვის მოსამზადებელი მუშაობა. პარტიაში წევრების მიღების არასაკმაო ტემპი, პროფკავშირების მუშაობის ნელი ტემპით გარდაქმნა, — განუწყვეტელ კვირისათვის სუსტი მომზადება, დაწინაურების დეფექტები და სხვ. გაზეთი ეხება პარტიული ხაზის გამრუდებასაც ცალკე ორგანიზაციებში (ტაუზის რაიონი, განჯის აღმასკომი და სხვ.). თვითკრიტიკა უთუოდ არის. მაგრამ 1) გაზეთის ფურცლებზე თითქმის ვერავითარ გამოხატულებას ვერ პოულობს მასების ის თვითკრიტიკა, რომელიც, როგორც პარტაქტივის კრებამ აღნიშნა, ამჟამად საფუძვლად უძევს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესრულებას. საგაზეთო მასალის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ან სხდომებისა და თათბირების ანგარიშებს, ან რედაქციის თანამშრომელთა წერილებსა და მიმოხილვებს. მასების ხმა და მუშკორთა მასალა თითქმის არა სჩანს. პრაქტიკული დეფექტებისა და შეცდომების (არა მაინცადამაინც „იარების", არამედ სწორედ პრაქტიკული დეფექტების) გამოაშკარავება, გამოაშკარავება ქვედა ფენებიდან, ფუძეებით, თითქმის არ სჩანს, გარდა საზეიმოდ გატარებული თვითკრიტიკისა „ზემოდან ქვევით" — შრომის დისციპლინის შესუსტების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით (მაგრამ აქაც საჭირო იყო ბევრად უფრო ძლიერი გალაშქრება მასების ჩამორჩენილი წვრილ-ბურჟუაზიული განწყობილების წინააღმდეგ, რასაც გადგმული აქვს ფესვი მუშების ფართო ფენებში).

2) გაზეთი აღნიშნავს მრავალ დეფექტს (პურის დამზადებაში, თესვის კამპანიაში, მუშათა მომარაგების საქმეში, განუწყვეტელი კვირაზე გადასვლაში და სხვ.), მაგრამ ჯეროვან სიმტკიცეს და საკმაო ყურადღებას ვერ იჩენს. მაგალითად, პურის დამზადების საკითხი ყოველ ნომერში არ შუქდება, დეფექტების აღნიშვნა ხდება დროგამოშვებით — შემთხვევის მიხედვით, გაზეთი სათანადო გამბედაობას ვერ იჩენს აღძრული საქმის ბოლომდე მიყვანაში.

გაზეთი საკმაოდ ვერ რაზმავს მასებს ზოგიერთი ორგანიზაციის მიერ პარტიული ხაზის გამრუდების ცალკე შემთხვევების ირგვლივ. სწორედ იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევა მრავალი არ არის, რომ ასეთი შემთხვევები, როგორც სჩანს, წარსულის ნაშთებს წარმოადგენენ (ტაუზის რაიონის და განჯის აღმასკომის შეცდომები), — სწორედ ამიტომ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ერთი-ორი წერილით. აქ, უნდა გაშლილიყო ახსნა-განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობა, რაც მთელმა ჩვენმა პრესამ, კერძოდ, „ბაკინსკი რაბოჩი"-მაც საკმაოდ ისწავლოს.

მუშკორებიცა და მკითხველებიც უთუოდ ერთგვარი განვითარებით უყურებდენ „ბაკინსკი რაბოჩი"-ს, რომლის პრაქტიკაც რამდენად მე არ ეთანხმება მის წერილებში გამოთქმულ თვითკრიტიკის ხაზს და თვითკრიტიკის ნამდვილ მდგომარეობას აზერბეიჯანში. ჩვენ მივიღეთ ამხ. ბატალოვის, — დაწინაურებულ მუშა-კომუნისტის—წერილი. ამხ. ბატალოვი გვწერს, რომ სექტემბერსა და ოქტომბერში „ბაკინსკი რაბოჩი"-ში არც ერთი საქმიანი თვითკრიტიკის შესახებ არ დაბეჭდილა. კონკრეტულად იგი ბრალს სდებს გაზეთს იმაში, რომ გაზეთი „ახშობს" მასალას, რომელიც ამხ. ბატალოვს ჯერ კიდევ სექტემბრის დასაწყისში გაუგზავნია. საქმე ეხება უწესოებას შრომის სახალხო კომისარიატში, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის გახრწნას, თვითკრიტიკის ჩახშობას, „ძმა-ბიჭობასა" და ბიუროკრატიზმს შრომის სახალხო კომისარიატში. ჩვენ არ ვიცით, რამდენად სწორია ამხ. ბატალოვის ბრალდებები. საჭიროა ამ ბრალდებების ადგილობრივ შემოწმება. მაგრამ, როგორც სჩანს, გაზეთი სწორად არ მოქცეულა იმით, რომ ორი თვის განმავლობაში ავტორისათვის არავითარი პასუხი არ გაუცია და „დღეს - ხვალობით" ისტუმრებდა მას,—როგორც გვწერს ამხ. ბატალოვი. თუ „ბაკინსკი რაბოჩი"-ს ახსოვს თავისი შეცდომა მუშათა ცენტრალური კოოპერატივის საქმეში, — ეს კარგია. მაგრამ სრულებითაც არ არის საჭირო მე-2 უკიდურესობაში გადავარდნა. ხოლო თუ ამხ. ბატალოვის მასალა შემოწმებულ იქნა და არ დადასტურდა, გაზეთი მოვალეა აუხსნას მუშკორს — დაწინაურებულ მუშას, თუ რაში და რატომ არ არის იგი მართალი.

ყოველ შემთხვევაში დუმილი ყველაზე ცუდ ტაქტიკას წარმოადგენს სწორედ დაწინაურებული მუშების მიმართ. აზერბეიჯანის ორგანიზაციას სერიოზული წარმატებები აქვს ორ თვეში. უკვე გაიგზავნა ხელმძღვანელ სამუშაოზე 216 მუშა. მაგრამ, როგორც დარწმუნდა თვით რედაქცია მის მიერ მოწვეულ თათბირზე (ანგარიში 30 ოქტომბრის ნომერში), საჭიროა „არა მარტო დაწინაურება, არამედ დაწინაურებულთათვის დახმარების გაწევაც". დაწინაურებულებს მუშაობა უჭირთ, ქვედა საფეხურის ორგანოები მათ თითქმის არაფერს არ ასწავლიან, ხელმძღვანელობას არ უწევენ, დაძლეული არ არის ბიუროკრატიული ელემენტების წინააღმდეგობა. გაზეთმა კი ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ დასწერა ამის შესახებ, მან ვერ მოაგვარა დაწინაურებული ამხანაგების მუშაობის რეგულიარულად გაშუქება, არ დარაზმა საზოგადოებრივი ყურადღება მათ ირგვლივ, არ მოაგვარა აგრეთვე კრიტიკა ყოველივე იმ უარყოფითი მოვლენის, რაც თვით დაწინაურებულთა მუშაობაში იჩენს თავს.

და რა თქმა უნდა, შეუწყნარებელია ისეთი დამოკიდებულება, როგორიც გამოიჩინა გაზეთმა ამხ. ბატალოვის მიმართ. არ შეიძლება ასე განვმარტოთ და გამოვიყენოთ სწორი დებულებანი თვითკრიტიკის შეცდომათა წინააღმდეგ ბრძოლაში. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით — სცდება ამხ. ბატალოვი თუ არა.

„პრავდა", 24 ნოემბერი. გადმოცემულია ტელეგრაფით.

პარტიული მშენებლობა

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი

მებამბეობის განვითარება თბილისის ოლქში

(ამხ. გიგინეიშვილის მოხსენება)

დღემდე მებამბეობის განვითარებას, ამბობს ამხ. გიგინეიშვილი,—თბილისის ოლქის ტერიტორიაზე, პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. სწორედ ეს ყო იმის მიზეზი, რომ მებამბეობის განვითარება თბილისის ოლქში არ სწარმოებდა იმ ტემპით, როგორც ეს საჭირო იყო.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე ამ საკითხის დასმა იმას ნიშნავს, რომ კომიტეტი და საერთოდ პარტიული ორგანიზაციები მებამბეობის განვითარებას საკმაო ყურადღებას აქცევენ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ბამბის კულტურის განვითარებას თბილისის ოლქში, კერძოდ ბორჩალოს და ყარაიაზის რაიონებში, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ რამოდენიმე ხნის წინად თბილისის საოლქო კომიტეტის მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ადგილობრივ დაეკვლია მებამბეობის რაიონები და შეემუშავებია სათანადო გეგმა.

მებამბეობის განვითარების საქმეში ჩვენ საკმაო მიღწევები გვაქვს. ყოველ წლობით იზრდება ბამბის ნათესების სივრცე და ომამდე არსებულ დონეს უკვე გადავაჭარბეთ. ქვემოთ მოყვანილი ციფრები ამის საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს. მაგ. ომამდე ბამბით ნათესი მოედანი, საქართველოში შეადგენდა—7,5 ათას ჰექტარს; 1925 წელში—4.200 ჰექტარს, 1926 წელს—5.200, 1927 წელს—2.800, 1928 წელს—6.100 და 1929 წელს—8.381 ჰექტარს. როგორც ვხედავთ, 1927 წ. ნათესების სივრცე დაკლებულ იქნა საგრძნობლად, მაგრამ კარგი მოსავლის გამო 1927 წელში მიღებული ბამბა გაცილებით მეტია, ვინემ 1926 წელს.

საქართველოში ომამდე ბამბის მოსავალი იყო ჰექტარზე—799 კილოგრამი, 1925 წელს—472, 1926 წელს—371, 1927 წელს—720, 1928 წელს—390 და 1929 წელს იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ გვაქვს არის—470 კილოგრამი. ჩვენ შევძელით მოგვეწყო 52 კოლექტიური მეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებულია 840 მეურნეობა, მათ განკარგულებაშია 550 ჰექტარი მიწა, რომელზედაც ბამბა მოჰყავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო ამხანაგობები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ კოლექტივებს და არ აწოდებდნენ გრძელვადიან სესხებს ბამბის კულტურის განვითარებისათვის.

კერძოდ თბილისის ოლქში მებამბეობის განვითარებას საკმაო პერსპექტივა აქვს.

ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია, რომ 1930 წელში ბორჩალოს რაიონში ბამბის ნათესების სივრცე 8 ათასი ჰექტარი იქნება. ყარაიაზში—3.500 ჰექტარი. 1931 წელს ბორჩალოში—9.800 ჰექტარი, ყარაიაზში კი—6.440 ჰექტარი, სულ ხუთი წლის ბოლოს ჩვენ გვექნება თბილისის ოლქში 30 ათასი ჰექტარი ბამბით დათესილი მოედანი.

ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ახალი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობის მოწყობა,

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი კადრების მომზადებას. მიმდინარე სამეურნეო წელს მიწსახკომთან ეხსნით მემანქანეთა კურსებს 70 კაცისათვის. ეს კურსები დაგვიჯდება 35 ათასი მანეთი. უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთათვის ეხსნით სამანქანო კურსებს, სადაც ისწავლის 30 კაცი; გარდა ამისა შულავერში და სხვა ადგილებში გახსნილ იქნება სათანადო კურსები, რომლებშიაც მიღებულ იქნება მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები.

ხუთწლედის დასასრულ თბილისის ოლქში ბამბის ნათესების სივრცე გაიზრდება სამჯერ, პროდუქცია კი 6 ჯერ.

ხუთწლიანი გეგმის შესრულება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანოები აქტიურად ჩაებმებიან ამ მუშაობაში.

პურის დამზადება თბილისის ოლქში

(ამხ. ვ. ბოლქვაძის მოხსენება)

პურის დამზადების საქმეს,—სთქვა მომხსენებელმა,—უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. პურის დამზადების მიზანს შეადგენს უზრუნველჰყოს პურის მარაგით საწარმოო ცენტრები და რაიონები და შექმნას პურის საზღვარ-გარეთ გაზიდვის ფონდი. ჩვენი ამოცანაა—პურის საკმაო რაოდენობით დამზადებით დავძლიოთ ის კრიზისი, რომელიც ჩვენ ამჟამად ნაწილობრივ გვაქვს.

პურის დამზადების კამპანია საერთოდ საქართველოში და კერძოდ თბილისის ოლქში მიმდინარე წელს პირველად ჩატარდა. ჩვენ ჯერ კიდევ ივლისის თვეში სათანადო დირექტივები მივეცით ადგილებს. მხოლოდ ა. წ. 16 აგვისტოს ადგილებს დაეგზავნა დაწვრილებითი დირექტივა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო პურის დამზადების კამპანია, როგორ უნდა ებრძოლათ კერძო პირების წინააღმდეგ და სხვა.

პირველად (ივლისი-აგვისტო) პურის დამზადების კამპანია ოლქში სუსტად მიმდინარეობდა, განსაკუთრებით „სოფლის კავშირის" ხაზით. „სოფლ. კავშირმა" პურის დამზადების გეგმა პირველ ხანებში მხოლოდ 5 პროცენტით შეასრულა. ეს იმ დროს, როდესაც ცეკავშირმა გეგმა 68,8 პროცენტით გადააჭარბა. საერთოდ აგვისტოში გათვალისწინებული გეგმა მთლიანად არ იქნა შესრულებული (შესრულებულ იქნა 61,5 პროც.). ამის გამო პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ზომები მიიღეს პურის დამზადების ტემპის გასაძლიერებლად. რაიონებზე მიმაგრებულ იქნენ პასუხისმგებელი მუშაკები, ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რის შემდეგ პურის დამზადების ტემპი გაძლიერდა.

პურის დამზადების კამპანია მიმდინარეობდა სოფლად კლასიური ბრძოლის გამწვავების პირობებში. კულაკები არ კმაყოფილდებოდნენ მით, რომ სახელმწიფოს არ აბარებდნენ ზედმეტ პურს, არამედ ღარიბ და საშუალო გლეხებს მოუწოდებდნენ პური სახელმწიფოსათვის არ ჩაებარებინათ. ზოგიერთ რაიონში (სართიჭალა) მათ მიზანს მიაღწიეს. კულაკები მალავდნენ თავიანთ პურს, აფუჭებდნენ სილითა და მიწით. ზოგიერთ ადგილებში კულაკებმა მოაწყვეს პურის დამზადების კამპანიის ჩაშლა. ისინი ცდილობდნენ ფასები აეწიათ პურისათვის.

კულაკების ასეთ გამოსვლებს დაუპირდაპირდა ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო მასების აქტივობა და ორგანიზაციული დარაზმულობა. რაიონების მასშტაბით ჩატარებულ იქნა ახსნა-განმარტებითი მუშაობა პურის დამზადების მნიშვნელობაზე; ადგილებზე იწვევდა ღარიბების კრებები საშუალო გლეხებთან ერთად, სადაც ადგენდნენ კულაკების სიებს და გამოჰქონდათ სათანადო დადგენილებები.

პროფკავშირების, საშეფო საზოგადოების, კომკავშირის და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობა პურის დამზადების კამპანიაში პირველ ხანებში საგრძნობლად მოისუსტებდა, მაგრამ შემდეგ მათი მონაწილეობა ამ კამპანიაში გაუმჯობესდა. პროფკავშირებმა დირექტივა მისცეს ადგილებს, რომ თავიანთი წარმომადგენლები მიემაგრებიათ ცალკე სოფლებზე. საშეფო ორგანიზაციებმა სოფლად გაგზავნეს მუშათა ბრიგადები და აგიტ-კოლონები.

მთელი რიგი ორგანიზაციების მიერ მიღებულ ენერგიული ზომებით შესაძლებელი შეიქნა კულაკებისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების ცდების ალკვეთა. პურის დამზადების გეგმა თბილისის ოლქში შესრულებულ იქნა 65,8 პროცენტის გადამეტებით. მაგ. „სოფლის კავშირ"-ს უნდა დაემზადებია 32 ათასი ფუთი პური. 1929 წლის პირველ ნოემბრისათვის დამზადებულ იქნა 64.051 ფუთი (200,2 პროც.). ცეკავშირს უნდა დაემზადებია 43 ათასი ფუთი პური, დაამზადა—60.360 ფუთი (140,3 პროც.). ამნაირად, 75 ათასი ფუთი პურის დამზადების მაგივრად—დამზადებულ იქნა 124.411 ფ. პური (165,8 პროც.).

პურის დამზადებაში ჩვენ მთელი რიგი შეცდომები გვქონდა. საჭიროა ამ შეცდომების შესწავლა, რათა მომავალში არ იქნეს განმეორებული. პურის დამზადების კამპანიის ჩატარებაში შემჩნეული იქნა შემდეგი დეფექტები:

ადგილებზე მოსამზადებელი მუშაობა არ იყო ჩატარებული ისე, როგორც ეს საჭირო იყო, სუსტად იყო დაყენებული ბრძოლა კერძო პირების წინააღმდეგ, სუსტად მიმდინარეობდა მასიური მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხობას შორის და სხვა.

იყო ცალკე შემთხვევები, როდესაც პარტიის და კომკავშირის წევრები ხელს უშლიდნენ პურის დამზადებას. მაგ. შაუმიანში, ბაზარზე გამოვიდა კომკავშირელი და დაიწყო აგიტაცია, რომ გლეხებს უკან დაებრუნებიათ პურით დატვირთული ურმები და არ ჩაებარებიათ სახელმწიფო ორგანოებისათვის. ასეთივე გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ლიუქსემბურგის და სხვა რაიონებში. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც კომკავშირელებმა პური კერძო პირებს მიჰყიდეს.

კოლმეურნეობებმა მთლიანად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა. ხოლო კოლმეურნეობათა ზოგიერთ წევრმა (საგარეჯოში, მარტყოფში) პური კერძო პირებს მიჰყიდეს.

მომავალში ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის. ამასთან ერთად ადგილებზე უნდა გაძლიერდეს მასიურ-კულტურული და პოლიტიკური მუშაობა.

ამხ. ბოლქვაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ქუთათელაძემ, კოსტოვმა, ქომიაშვილმა, აბთიძემ, მეზვრიშვილმა, სტეპანოვმა, შოგირაძემ, ქურდაშვილმა, პივცენკომ და ასრიევმა.

კამათისა და ამხ. ბოლქვაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

ამის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

პარტიული თათბირი ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის საკითხებზე

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სხდომა

კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა

ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება

სახალხო განათლების 5-წლიანი გეგმის პირველი ვარიანტი—სთქვა მომხსენებელმა—საკმაოდ არ ითვალისწინებდა მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, ამიტომ შედგენილ იქნა გეგმის მეორე ვარიანტი, რომელშიაც მნიშვნელოვნად გამოსწორებულ იქნა გეგმის ნაკლოვანებანი. გეგმის პირველი ვარიანტი ითვალისწინებდა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას 5 წლის განმავლობაში; ახალი გეგმით კი წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში. წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის საქმის წარმატების შესრულებისათვის საჭიროა პირველი საფეხურის სკოლების ქსელის გაფართოება, რადგანაც წერა-კითხვის უცოდინართა კადრი მცირე წლოვანთა სახით გვემატება. ეს ხდება პირველდაწყებითი სკოლების სიმცირის გამო, რომლებიც ვერ იტევენ ყველა ბავშვებს. აქედან გამომდინარეობს საყოველთაო-სავალდებულო სწავლის შემოღების აუცილებლობაც. ხუთი წლის დამლევს საყოველთაო-სავალდებულო სწავლა უნდა შეიცავს ბავშვთა 83 პროცენტს.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა კულტურული მშენებლობის ხუთ-წლიანი გეგმის იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობას. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სწავლა-განათლების საქმის ეროვნულ ენებზე წარმოებას, რაც განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე აყენებს ამოცანას პედაგოგიური კადრის შექმნის შესახებ ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვის. სახელგამის მიერ მოეწყობა ეროვნულ უმცირესობათა საგამომცემლო სექტორი. ეს ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობათა ენებზე ლიტერატურის გამოცემას. 5-წლიან გეგმაში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე კლუბების, სამკითხველოების, წიგნთსაცავების მშენებლობას და რადიოფიკაციას ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში.

კამათი ამხ. დ. კანდელაკის მოხსენების გარშემო

ამხ. დ. კანდელაკის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 13-მდე კაცმა.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ეროვნულ უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში სასკოლო ქსელი უმნიშვნელოა, ამიტომ ამ რაიონებში სასკოლო ქსელის გაფართოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამავე დროს განათლების კომისარიატმა უნდა მიიღოს ზომები ამ სკოლების მომზადებული პედაგოგიური ძალებით უზრუნველსაყოფად, რადგან არის ისეთი სკოლები, სადაც ერთი მასწავლებელი ასწავლის რამოდენიმე ჯგუფს. იმის დასამტკიცებლათ თუ როგორი „მასწავლებლები" არიან ზოგიერთ სკოლებში, ამხ. ზეგანალ-ზადემ მოიყვანა შემდეგი ფაქტები: კახეთის ოლქის სოფ. იორ-მუღანლოში (თურქებითაა დასახლებული) მასწავლებლად დანიშნეს დალაქი, რომელიც თვითონ საჭიროებს სწავლას. ქოხ-სამკითხველოს გამგედ დანიშნეს ქართველი ქალი, რომელსაც თურქული ლაპარაკი არ ესმის. ჭრა-კერვის სკოლაშიაც მასწავლებლად ადგილობრივი ენის უცოდინარი მასწავლებელია, რის გამო მასთან არავის სწავლობს, ხოლო მასწავლებელი კი უსაქმობის გამო სჭრის-ჰკერავს და ჰყიდის თავის ნაწარმოებს. ასეთ მდგომარეობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ განათლების განყოფილება არ ათვალიერებს სკოლებს. ამხ. ცლავერმა აღნიშნა, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ბერძნების სკოლებში მასწავლებლების დიდი უმრავლესობა ვაჭრების და სხვა ჩვენთვის მიუღებელ—ანტისაბჭოთა ელემენტების შვილებისაგან შესდგება; განათლების კომისარიატმა უნდა გაზარდოს პარტ-კომკავშირელთა ბირთვი პედაგოგიურ სასწავლებლებში, ორატორები აღნიშნავდენ სახელმძღვანელო წიგნების ნაკლებობას ეროვნულ უმცირესობათა ენებზე და განათლების კომისარიატს მიუთითებდენ სახელმძღვანელოების სტანდარტიზაციის საჭიროებაზე.

მეშვიდე სხდომა

თათბირის მე-7 სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. დ. კანდელაკის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდნენ: ამხ. პანაიოტი, სეფიაშვილი, კარგარეთელი, ხერუმოვი, კანზაველი, კენიშევი, ხოშ-ზაბიევი, ჯანაშვილი, ბესხიშვილი, ვართანოვი და პიტოევი.

კამათში გამოსულ ამხ. პანაიოტი შეეხო ბერძენთა შორის მუშაობას და აღნიშნა, რომ ალბულაღის რაიონში ბერძენთა შვიდი და ოსების 17 სოფელი არის. ამ სოფლების ნაცუმცირესობათა შორის მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა. სკოლა ძალიან ცუდ პირობებშია. წინად აქ ჩვენ გვქონდა ერთი ჯგუფი— ერთი ოთახით, ამჟამად კი არის 7 წლედი, რომელსაც მუშაობა კვლავ ერთ ოთახში უხდება. ასეთ პირობებში მუშაობა შეუძლებელი ხდება. ბერძნულ ენაზე ლიტერატურა არ გვაქვს, რის გამო მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ოსებში ჯერ კიდევ არის დარჩენილი ძველი ჩვეულება— ქალის შერთვის დროს უსათუოდ უნდა დაკლან 2—3 ხარი. ვისაც არა ჰყავს, იძულებულია მოიპაროს და ქორწილი გადიხადოს. აღნიშნულ ჩვეულების აღმოფხვრისათვის ყურადღება არავის არ მოუქცევია. ანტირელიგიური კამპანიაც მოისუსტებს, რის გამო მღვდელი სარგებლობს ძველი ავტორიტეტით და გლეხებს ტყავს აძრობს. რელიგიის წინააღმდეგ კულტურული მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს.

სხვა ამხანაგები ვრცლად ჩერდებოდნენ ადგილებზე განათლების მტკივნეულ საკითხებზე და შემოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებები შემჩნეული ნაკლთა გამოსასწორებლად. მაგ., ადგილებზე ქოხ-სამკითხველოები არ არის უზრუნველყოფილი გლეხური ლიტერატურით; გაზეთებსაც იშვიათად შეხვდებით. სკოლებში მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლის უბინაობა; მომავალში განსახკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ნაცუმცირესობათა ენებზე ლიტერატურის გამოცემას და მასწავლებელთა ახალი კადრების მომზადებას.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო! პირველ ყოვლისა მივესალმები თქვენს თათბირს და იმ ამხანაგებს, რომლებიც შეკრებილი ხართ დღეს და ტრიალ საყურადღებო საკითხებზე გაქვთ თათბირი. სამწუხაროთ მე დრო არ მქონდა, რომ მონაწილეობა მიმეღო თქვენ თათბირზე, ეს მით უმეტეს, რომ საკმაოდ ახლო ვდგევარ იმ საქმესთან, რომელსაც ეწოდება ნაცუმცირესობათა შორის მუშაობა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება.

როგორც გავიგე, თქვენ მოგისმენიათ რამოდენიმე მოხსენება. ამ მოხსენებიდან თქვენ გაიგებდით, თუ რა გაკეთებულა ამ ხნის განმავლობაში და რა არის გასაკეთებელი.

უპირველესად რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, საიდან დავიწყოთ ჩვენი მუშაობა?

თქვენ იცით, რომ უკვე ცხრა წელიწადი სრულდება, რაც საბჭოთა ხელისუფლება მეფობს საქართველოში. თქვენ იცით, რომ ნაცუმცირესობათა შორის მუშაობა ამ უკანასკნელ წლებში გამოცოცხლდა. პირველ წლებში ეს მუშაობა არ იყო ჩამდგარი კალაპოტში, ეს იმიტომ, რომ ხელისუფლებისათვის ამ საქმისადმი ხელმძღვანელობა სრულიად ახალი და უცნობი საქმე იყო. ჩვენ პირველ წლებში ვსინჯავდით ნიადაგს თუ როგორ უნდა დაგვეწყო მუშაობა, როგორ უნდა მივდგომოდით ამ საქმეს. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილია. თქვენ იცით, რომ კულტურა, სწავლა- განათლება, ეკონომიური კეთილდღეობა,— ყველაფერი ეს ისეთი რამ არის, რაც საუკუნოების განმავლობაში ვითარდება და კეთდება.— ერთბაშად მდგომარეობის შეცვლა შეუძლებელია.

რა გვქონდა ჩვენ?

შეიძლება ითქვას, რომ გარდა გაჭირვებისა, გარდა სიბნელისა, გარდა ჩამორჩენილობისა— არაფერი იყო,— თანდათან მდგომარეობა ძნელდებოდა ყველა ნაცუმცირესობათა შორის. ამათ შორის ჩამოვარდნილი იყო ცუდი ურთიერთობა. ამავე დროს სწავლა-განათლება სუსტად მიმდინარეობდა. ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებები გვაქვს ამ დარგში. ადგილებზე ხშირად უშვებდნენ შეცდომებს. პარტიაც თავის მხრივ ეცნობოდა მდგომარეობას და ღებულობდა სათანადო ზომებს.

ნაცუმცირესობათა შორის მუშაობის გაძლიერებას ბევრი დაბრკოლებები ელობება წინ. შევეხოთ სწავლა- განათლებას. მთავარი ნაცუმცირესობებში, როგორიც არიან სომხები და თურქები, საქმეს არა უშავს, განსაკუთრებით სომხებს შორის, იმიტომ, რომ მათ ჰყავთ მასწავლებელთა კადრი, არის ლიტერატურა. შეიძლება ეს ლიტერატურა არ არის დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ცოტად მაინც კმაყოფილდებიან სახელმძღვანელოებით. თუ ავიღებთ სხვა ნაცუმცირესობათა ერებს, მათ ზოგჯერ არც კი მოეპოვებათ ლიტერატურა.

აქ არის აისორების სკოლა. აისორები საზოგადოთ ჩამორჩენილი ხალხი არიან, მათი განვითარება დაბალ დონეზე დგას. მე იქ მივედი ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავზე. მე პირადათ იქ ნახულით ძალიან გაოცებული ვიყავი; არ მოველოდი ასეთ ნაბიჯების გადადგმას. ამ მხრივ აშკარად სჩანს ჩვენი მიღწევები.

რომ ავიღოთ აჭარისტანი და ზოგიერთი სხვა ჩამორჩენილი კუთხეები დავინახავთ, რომ მდგომარეობა განათლების მხრივ ვერ არის კარგად დაყენებული. ჩვენ ბევრი შეცდომები გვაქვს. მაგრამ ერთ რამეს უნდა გაუსვათ ხაზი და ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ: ნაცუმცირესობათა შორის დაუშვებელი და გასაოცარი სიბნელეა და ამავე დროს ურთიერთშორის სხვა ეროვნებათა დამოკიდებულება ცუდია. ეს ახალი მოვლენა არ არის. ამ ხალხს საუკუნოების ძვალ-რბილში გამჯდარი აქვთ ძველი ჩვეულება. ამიტომ თქვენ ყურადღება უნდა მიაქციოთ სკოლებს და ჟურნალ-გაზეთების მასიურად გავრცელებას. ჯერ-ჯერობით ჩვენ უნდა დავისახოთ ის, რის გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია, რისი კულტურული ძალებიც გვაქვს და ფინანსიური სახსრები. ჩვენი სამუშაო პროგრამა საფუძვლიანად არის შედგენილი. მუშაობას ვაწარმოებთ სხვადასხვა ხაზით—პარტიული, საბჭოთა, კოოპერატიული, პროფკავშირი და კომკავშირის ხაზით. აი ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან ერთ და იმავე საქმეს.

ჩვენ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ნაცუმცირესობათა შორის მუშაობაში გვხვდება დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებენ ჩვენს მუშაობას, მაგრამ ჩვენ შევსძლებთ მის დაძლევას. მხოლოდ საჭიროა დიდი მუშაობა.

დღეს ჩვენი მდგომარეობა სულ სხვაა. გადავხედოთ წარსულს, ორი წლის წინ, განა ამდენი კადრები გვყავდა ნაცუმცირესობათა შორის? რა თქმა უნდა არ გვყავდა. მე არ ვამბობ, რომ ყოველივე ეს სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე, ასეთი პარტიული თათბირის მოწვევა ნაცუმცირესობათა შორის იმას მოწმობს, რომ ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯები გვაქვს გადადგმული. ჩვენი პარტია დაუღალავად ლოდა იმ მასებს, რომლებიც საუკუნოების განმავლობაში სულ მივიწყებული იყო. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენ აღორძინების და გამოფხიზლების გზაზე დავდგევართ.

ჩვენ უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 8—9 წლის მუშაობას ფუჭად არ ჩაუვლია, არამედ ნაყოფი გამოუღია. მე ღრმად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენი ახლო მომავალში საქმე ბევრად გაუმჯობესდება. ეს იმისთვის, რომ ჩვენ ახალ ხანაში ვართ, ეს არის გარდატეხის ხანა. ჩვენ უკვე დავადექით სოციალიზმის მშენებლობის საქმეს, რომელშიაც ნაცუმცირესობათა ერები აქტიურად არიან ჩაბმული.

ამხანაგებო. მე კიდევ ერთხელ მოგესალმებით და გისურვებთ სრულიად წარმატებით მუშაობას და გამარჯვებას.

მერვე სხდომა

მერვე სხდომაზე თათბირმა მოისმინა სამი მოხსენება: მიწადმოწყობის, საქართველოს დარაიონების და კოლექტიურ-მეურნეობათა შესახებ. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მიწსახკომის წარმომადგენელი ამხ. ვაშინსკი.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ქუჩულორიამ. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა საქართველოს დარაიონებაზე და აღნიშნა ახალი დარაიონების უპირატესობანი.

„სოფლის კავშირიდან" კოლექტიურ მეურნეობათა მნიშვნელობაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. გვარამია.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ზუჯაშვილმა, რადოვმა, ბაბაიამა, ლევაშვილმა, ვამ, აბაშიძემ, ტოტოევმა, კარაპეტიანმა, შტოზროვმა და სხვ.

მეცხრე სხდომა

მეცხრე სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ვაშინსკის, გვარამიას და ქუჩულორიას მოხსენებების გარშემო.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა მომხსენებლების საბოლოო სიტყვები, რის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუციები.

ამის შემდეგ თათბირმა მოისმინა:

სამანდატო კომისიის მოხსენება

თათბირს სულ დაესწრო 145 დელეგატი: თბილისის ოლქიდან—90 კაცი, აჭარისტანიდან—8, აფხაზეთიდან—9, ახალქალაქიდან—7, გორიდან—5, ახალციხიდან 8, კახეთიდან, ფოთიდან—3, სენაკიდან—3, ოზურგეთიდან—2, ქუთაისიდან—1, და სხვ. თათბირში მონაწილეობა მიიღო 19 ნაცუმცირესობათა წარმომადგენელმა. დელეგატების ნაციონალური შემადგენლობა ასეთია: ქართველები—18, სომხები—26, თურქები—20, ქართველი ებრაელი—19, ბერძენი—10, ოსი—13, აჭარელი—5, აისორელი—6, რუსი-ებრაელი—1, კი—2, აფხაზი—4, „ლეზგინი"—9, ნგერი—1. სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ და ამხანაგ ზედგის მოკლე სიტყვის შემდეგ თათბირი დაიხურა.

საბჭოთა აპარატის შემოწმება და წმენდა

წმენდა თბილისის დაწესებულებებში გაცხოველებით მიმდინარეობს

მშრომელი მასები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ წმენდაში

ხვალ იწყება მიწსახკომის აპარატის წმენდა

წმენდა ამიერ-კავკასიის ფინსახკომში

ა.-კ. ფინსახკომის აპარატის გამწმენდი კომისიის მორიგ სხდომაზე მოსმენილი იქნა სავალიუტო სამმართველოს უფროსის ამხ. საფარიანის მოხსენება სავალიუტო სამმართველოს მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან და მოხსენების გარშემო გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ ამჟამად სამუშაო დროის მეტი ნაწილი იხარჯება სახელმწიფო სესხების გავრცელების საქმეზე. ამ მუშაობით იმდენად დატვირთულია სამმართველო, რომ მას დრო აღარ რჩება ისეთი საჭირო საქმეების შესასრულებლად, როგორიც არის რესპუბლიკანური სავალიუტო სამმართველოების, საკრედიტო დაწესებულებების და სხვ. სისტემატიური გამოკვლევა.

თავისი მდგომარეობის მიხედვით ა.-კ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართველო უნდა ეწეოდეს მხოლოდ სადირექტივო და საგეგმო საქმიანობას. ფაქტიურად კი მას უხდება უშუალო ოპერატიული მუშაობა (მოხსენებების გაკეთება წარმოება-დაწესებულებებში და სოფლებში, სესხის რეალიზაციისთვის ხელმძღვანელობა და სხვ.) ეს გამოწვეულია იმით, რომ სავალიუტო სამმართველოების შტატი რესპუბლიკებში მეტად მცირეა, და იგი ტეხნიკურად ვერ შესძლებს (დაუხმარებლად) სესხების გავრცელების საქმის ჯეროვანად წარმართვას. შტატების სიმცირის შედეგია ის გარემოებაც, რომ რეალიზაციამ სოფლად აქამდე ვერ მიიღო საჭირო ტემპი.

კამათის დამთავრების შემდეგ დაიწყო სავალიუტო სამმართველოს თანამშრომლების პერსონალური წმენდა. პირველად გამოძახებული იქნა სავალიუტო სამმართველოს საკრედიტო განყოფილების გამგე შრუკინი. მან საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კიევის საკრედიტო დაწესებულებებში. იქიდან გადმოვიდა ამიერ-კავკასიაში აქვე მოიხადა სამხედრო ბეგარა, რის შემდეგაც განაგრძო მუშაობა სხვადასხვა დაწესებულებებში.

შრუკინს ახასიათებენ როგორც გამოცდილ მუშაკს. სამუშაოს მეტ და რთულ ნაწილს ასრულებს თვითონ შრუკინი, რის გამო ახალგაზრდა მუშაკებს საშუალება არ აქვთ გაწაფონ ამ რთულ საქმეებში.

შემდეგ გამოძახებული იქნა სახელმწიფო სესხების განყ. გამგე გ. ირიცფუხოვი. მას დამთავრებულ აქვს უმაღლესი სასწავლებელი.

რამოდენიმეჯერ ეკითხებიან— იყო თუ არა იგი დაშნაკელების პარტიის წევრი. იგი გადაჭრით აცხადებს, რომ მისი სიმპატია არას დროს არ გადახრილა დაშნაკელების პარტიისაკენ. ირიცფუხოვს ბრალად სდებენ, რომ მუშაობის დროს ზოგჯერ კითხულობს კერძო წიგნებს.

მას ეკითხებიან—თქვენ დადიხართ მივლინებებში სოფლად სესხის რეალიზ. გასაძლიერებლად და რით ხსნით იმ გარემოებას, რომ რეალიზაცია სოფლად ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. იგი უპასუხებს, რომ ცენტრიდან მივლინებულ მუშაკების ადგილზე მისვლას უსათუოდ მოაქვს დადებითი შედეგი, მაგრამ სოფლად რეალიზაციის საქმე სათანადო სიმაღლეზე ვერ დადგება, სანამ ადგილობრივი მუშაკები მთლიანად არ ჩაებმიან სესხის გავრცელების საქმეში. სოფლის აქტივის მუშაობას სესხების რეალიზაციის გარშემო იგი სათანადოდ ვერ აფასებს.

—

ა.-კ. ფინსახკომის აპარატის გამწმენდ კომისიის სხდომაზე, 23 ნოემბერს საღამოს, მოსმენილი იქნა კომისარიატის ადმინისტრატიულ სამმართველოს უფროსის ამხ. ხლღინოვის მოხსენება სამმართველოს მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ხსენებულ სამმართველოს მოვალეობას, კომისარიატის საქმეთა მმართველობასთან ერთად, რაციონალიზატორული მუშაობა შეადგენს.

მართალია სამმართველოს თეორეტიულად თითქოს ბევრი რამ გაუკეთებია, მაგრამ პრაქციალ ურად გაჯანსაღება. უკანასკნელი ლად ვერ ჩაითვლება. ამის მთავარი მიზეზი (როგორც მომხსენებელმა აღნიშნა) არის სამმართველოს ხელმძღვანელთა ხშირი ცვალებადობა.

სამმართველოს დადებით საქმიანობად უნდა ჩაითვალოს შტატების შემჭიდროება და სოციალისტურად გაჯანსაღება. უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში შტატები შემცირებულია 122 კაცით. შედარებით დამაკმაყოფილებლად უწარმოებია სამმართველოს კომუნისტების და კომკავშირელების წინ წაწევა. სამაგიეროდ სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი დაწინაურების საქმის მდგომარეობა. წინა წლებში ამ საქმეს კომისარიატი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ამჟამად კომისარიატის მთელ აპარატში მუშაობს მხოლოდ 6 დაწინაურებული მუშა. რასაკვირველია, ეს რაოდენობა ისეთი დიდი აპარატისათვის, როგორიც ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატია— მეტად მცირეა და ამ გარემოებას უსათუოდ უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი დეფექტები: კომისარიატის თანხები იხარჯება არა მიზნობრივად. არის შემთხვევები, როცა საგზაო ხარჯებს ფარავენ ხელფასის ფონდიდან. გაცდენილ სამუშაოსათვის სას.-სამ. გადასახადის მუშაკებს მიეცათ 2.600 მანეთი და სხვ.

სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას კანცელარიაც. იყო შემთხვევა, როცა სახ. ბანკის თბილისის კანტორისათვის გადასაგზავნი წერილი გადაიგზავნა ტაშკენტში, ხოლო თვით კომისარიატის ერთი სამმართველოდან მეორეში გადაგზავნილი მიმართვა ორი-სამი თვის განმავლობაში მოგზაურობდა თბილისის სხვადასხვა დაწესებულებებში და შემდეგ მოხვდა ისევ ა.-კ. ფინსახკომის კანცელარიაში.

კომისარიატში დაუსრულებლად სწარმოებს სამმართველოების ბინების გამოცვლა. ვერ მოასწრებს სამმართველო ახალ სადგომში მოწყობას, რომ იგი ისევ გადაყავთ სხვა სადგომში. ეს გადასვლა-გადმოსვლა სხვა უხერხულობასთან ერთად დაკავშირებულია ხარჯებთანაც.

უნდა ითქვას, რომ ბინის საკითხში ა.-კ. ფინსახკომი საკმაოდ ხელგაშლილია და ხარჯებს მაინცა და მაინც არ ერიდება. აი მაგალითი:—ა.-კ. ფინსახკომის შენობაში უკანასკნელ ხანამდე ცხოვრობდა მოქ. აკირტავა. კომისარიატმა განიზრახა აკირტავას ბინის შემოერთება და მისი ერთ-ერთი სამმართველოსთვის გადაცემა. ასეც მოიქცა. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს საქმე კომისარიატს ხარჯებს გარეშე მოეგვარებინოს. კომისარიატმა აკირტავას ბინის დაცლაში მიართვა 1.500 მანეთი. ამ ოპერაციით უკმაყოფილო მუშათა ბრიგადის წევრს უპასუხეს— „რა არის აქ გასაკვირი, ბინა დავაცლევინეთ და კომპენსაცია მივეცით. ამას მარტო ჩვენ კი არა, ყველა ჩადისო“-ო.

კამათი შემდეგ სხდომაზე გაგრძელდება.

როგორ მუშაობს მიწსახკომის აპარატი

ავანსები და სამივლინებო ხარჯები

მიწსახკომის განყოფილებების გამოკვლევასთან ერთად, აპარატის წმენდასთან დაკავშირებით, მიწსახკომში მიმაგრებულ მუშათა ბრიგადის ერთი ჯგუფი იკვლევს აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მუშაობას. ამ გამოკვლევებში მონაწილეობას ღებულობს გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორების მიერ გამოყოფილი ბრიგადა.

უნდა აღინიშნოს მიწსახკომის აპარატის წმენდის დამხმარე კომისიის ზოგიერთი ნაკლოვანებანი, სახელდობრ: მუშათა ბრიგადა, რომელიც იკვლევს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის განყოფილებებს, ამ სამუშაოს სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. ბრიგადის წევრებმა არ იცოდნენ საიდან დაეწყოთ საქმე და უმთავრესად რისთვის მიექციათ ყურადღება. მუშათა ბრიგადისათვის წინასწარ, სანამ ისინი შეუდგებოდნენ გამოკვლევას, უნდა აეხსნათ განყოფილებების მუშაობის ცალკე პროცესები და საერთოდ ტრესტის მუშაობის სტრუქტურა.

შემდეგ, დამხმარე კომისიას არ დაურიგებია ანკეტები თანამშრომლებისათვის, რომ მუშათა ბრიგადას საშუალება მისცემოდა გამოერკვია ამა თუ იმ მოსამსახურის ვინაობა.

მიუხედავად ამისა, მუშათა ბრიგადამ ბოლოს მაინც გამონახა თავისი გზა; საჭირო აღარ შეიქნა გამეთა ვრცელი და დამაშინებელი ლექციები. მუშათა ბრიგადამ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ბუხჰალტერიაში მიიღო ტრესტის თანამშრომლების დავალიანების სია, რომელმაც დაგვიხატა შემდეგი სურათი: ტრესტის 49 თანამშრომელზე 1-ლ ნოემბრისათვის ირიცხება დავალიანება—4.106 მანეთი.

რაც შეეხება ხელფასს, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სპეციალისტების ჯამაგირი 500 მანეთს აღწევს. 200—300 მანეთი ხომ ჩვეულებრივ ჯამაგირათ ითვლება.

გადავხედოთ მივლინების ხარჯებს. 1928 საოპერაციო წელში მივლინებაზე დახარჯულია —25.634 მან. და 71 კაპ., ხოლო 1929 წლის 1-ლ ნოემბრამდე—23.692 მანეთი.

იმ დროს, როდესაც ვლაპარაკობთ სოციალისტურ შეჯიბრებაზე, შრომის ნაყოფიერების აწევაზე, პროდუქციის თვითღირებულების დაკლებაზე და ზედნადები ხარჯების შემცირებაზე, საბჭოთა მეურნეობების ტრესტში ასე გულუხვად იხარჯება ფული მივლინებებზე. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა ბრიგადის წევრი **მ. მთვრალაშვილი.**

მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილების გამოკვლევა

მიწსახკომის მეღვინეობა-მევენახეობის განყოფილების მუშაობის შესწავლა-გამოკვლევის დროის აღმოჩნდა, რომ აღნიშნული განყოფილება აერთიანებს როგორც საბჭ. მეურნეობების ტრესტს, ისე „სოფლის კავშირს“. კომისარიატს აღებული აქვს საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს მასშტაბით.

მევენახეობის დარგში სადედეების გაშენება დაიწყეს 1924 წელში. 1925 წლიდან ყოველ წლობით საზღვარგარეთიდან იწერენ სანერგე ვაზებს, რაზედაც ტრესტის ინსპექტორის მეგრელიშვილის განცხადებით, დახარჯულია 500.000 მანეთი ოქროთი. ამავე სპეცის განცხადებით, ჩვენში რომ დაეწყოთ სანერგეების მოშენება, ამ თანხით ეხლა სრულიად უზრუნველყოფილი ვიქნებოდით. 1925-26—27—28 და 28-29 წლების გეგმით გათვალისწინებული იყო 5.225.000 ცალი სანერგე ვაზის დამზადება; დამზადებულია მხოლოდ 4.127.000 ცალი. 1928-29 წლის გეგმით განზრახულია 9.234.000 ცალის დამზადება, შესრულება კი არც ერთ საბუთებიდან არ ჩანს.

საბჭ. მეურნეობების ტრესტს აპარატში ჰყავს სულ 62 კაცი, ამათში 14 ბუხჰალტერია. 62 კაცში 18 „ყოფილი ადამიანია“, ყოფ. თავადიშვილები და სასულიერო წოდების პირები.

ტრესტს ჰყავს 4 მემანქანე. ჩვენი აზრით, ტრესტს თავისუფლად შეუძლია 8 ბუხჰალტერით არსებობა, დანარჩენი ბუხჰალტრები კი არაა საჭირო, რაც სახელმწიფოს მისცემს ყოველ წლიურად 10.500 მანეთის ეკონომიას. აგრეთვე არც 4 მემანქანეა საჭირო, 2 თავისუფლად შეასრულებს ტრესტის საქმეს.

გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა ბრიგადის წევრი **ს. ახალაძე.**

წმენდა ააშკარავებს აპარატის დეფექტებს

(ქ. გორი)

საფინანსო და მიწადმოქმედების აპარატის წმენდამ ქ. გორში ბევრი დეფექტები გამოაშკარავა აპარატის მუშაობაში. გამწმენდი კომისიის სხდომაზე მოხსენებელმა აპარატის მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ აპარატში ბიუროკრატები არ მოიპოვებიან, მაგრამ ასეთი აღმოჩნდა, მაგ. სავალიუტო ქვ. განყოფ. გამგე დ. წერეთელი მეტად ბნელი წარსულის პატრონია, მას არ აინტერესებს სახ. სესხების განაღდება, რადგანაც პოლიტიკურად არა სწამს სესხების მნიშვნელობა. მისი ბიუროკრატობა იმაში გამოიხატება, რომ არაფერს არ აკეთებს ისე, როგორც ამას მოითხოვს აპარატის ინტერესი.

მეტად საინტერესო ტიპია ი. მელიქიშვილი, რომელსაც ამ ქვეყანაზე არაფერი გაეგება თავისი დებეტისა და კრედიტის გარდა. მან არ იცის რა განსხვავდება ახლანდელ მოსამსახურესა და ძველ ჩინოვნიკს შორის. მან სთქვა: „განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მაშინ სიმაძღრე (!) იყო და ახლა აღარ არისო“. შეკითხვაზე—რა არის პროფკავშირები და რატომ იხდის იგი საწევრო გადასახადს, მან ასეთი პასუხი მისცა: „საწევრო გადასახადს ვიხდი იმიტომ, რომ ამ შეტანილ ფულს გვინახავს პროფკავშირი და, როგორც გავიგე, მერე დაგვიბრუნებსო; პროფკავშირები იმისათვის არსებობენ, რომ ის საწევრო გადასახადი აკრიფონო“. (

გამოირკვა, რომ ზოგიერთი თანამშრომლებს კავშირი აქვთ კერძო ვაჭრებთან. მაგ. ხუციშვილმა თავის შეხედულებისამებრ დაურიგა ვაჭარს სურავი, მისცა სხვა ვადები, იგი ფართოდ სარგებლობს კერძო ვაჭრების კრედიტით და სხვა.

ეს მოვლენა ერთხელ კიდევ ააშკარავებს ჩვენი პროფკავშირების სუსტ მუშაობას მუშა-მოსამსახურეთა კულტურული დონის ამაღლების დარგში.

არა ნაკლებ დამახინჯებას აქვს ადგილი მიწადმოქმედების განყოფილებაშიც იმის გამო, რომ ამ აპარატში მომუშავენი მხოლოდ ჯამაგირების აღებით არიან დაინტერესებული და არა საქმით. მაგ. საძოვრების გამგეს რაზიკაშვილს სრულიად არ აინტერესებს ვის ხელში იქნება საძოვრები—კულაკებისა თუ ღარიბ გლეხების ხელში.

ვეტ. ექიმი ხ. ედილაშვილი ყველაზე სასტიკი ბიუროკრატი აღმოჩნდა. სახლში მისულ გლეხებს ყვირილით და ლანძღვით ისტუმრებს, აინტერესებს მივლინებები იმიტომ კი არა, რომ საქმე გააკეთოს, არამედ ფული აიღოს და ორ სართულიანი სახლი დაამთავროს. მას საქმეში „ძმა-ძმის“ ანდაზაც სწამს. მის თანასოფლელს და მოყვარეს მოუკვდა დედა. ქელეხში 2 ძროხა დაკლეს და ამაზე კი ვეტექიმმა ედილაშვილმა აქტი შეადგინა თითქოს საქონელი ჭირისაგან დაიხოცა და სახაზინოს კანტორიდან ფული მიიღებია „დახოცილ“ საქონლის პატრონს.

ედილაშვილის ოდესღაც საზოგადო საქმიანობაც აინტერესებდა, მაგრამ ახლა ყველაფერს თავი მიანება და გამდიდრებას შეუდგა.

ძველი მუშკორი.

აპარატის წმენდა ოზურგეთში

ოზურგეთი, 24 ნოემბერი. საბჭოთა აპარატის წმენდის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად ჩამოვიდა ამხ. ნარჩემაშვილი. სამაზრო კომისიასთან მოწვეული იქნა სათემო კომისიების თათბირი, რომელსაც დაესწრნენ „მსუბუქი კავალერიის“ და პროფკავშირების წარმომადგენლები.

დღევანდლამდე შემოსულია 120 განცხადება სხვადასხვა თანამშრომლებზე. (ადს)

ოზურგეთი, 24 ნოემბერი. დაიწყო საბჭოთა აპარატის სანიმუშო წმენდა. წმენდაში გატარებული იქნება საფინანსო და მიწათმოქმედების განყოფილებები. წმენდის დროს პროფკავშირების კლუბი სავსე იყო ხალხით. გასაწმენდ დაწესებულებების თანამშრომლები პასიობას იჩენენ. 115 თანამშრომლიდან წმენდაზე გამოცხადდა მხოლოდ 55 კაცი. აქტიურობას იჩენდნენ „მსუბუქი კავალერიის“ წევრები, მუშები და სოფლებიდან ჩამოსული გლეხები.

კამათში გამოსულები აღნიშნავდნენ არა მარტო ცალკე თანამშრომლების უარყოფით მხარეებს, არამედ ეხებოდნენ დაწესებულებების მუშაობის დეფექტებსაც. წმენდის შედეგი ასეთია: მოხსნილია თანამდებობიდან მოსამსახურეთა 4 პროც., გადაყვანილია სხვა დაწესებულებებში 6 პროც. (ადს)

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის აპარატის წმენდა

22 ნოემბერს დაიწყო ამ.-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის აპარატის წმენდა. წმენდისადმი არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენენ და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ.-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ამ.-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საჰქციო საზ-ბისა და ამ.-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს თანამშრომლები.

სახალხო კომისარიატის მუშაობისა და ფუნქციების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამ.-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ბუკრეევმა, მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელმაც გასტანა 2 საღამოს (22 და 23 ნოემბერს).

როგორია ამ.-კ. ვაჭრობის სახკომის აპარატი კამათის შედეგების მიხედვით? სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ზრდის დინამიკა მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ვაჭრობას და მის მოწესრიგებას მთელი მეურნეობის რეკონსტრუქციისა და ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში. მიუხედავად ამისა არაფერი გაკეთებულა ამ.-კავ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის აპარატის ისეთნაირად გარდაქმნისთვის, რომ მას შესძლოს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასმული ამოცანების მთლიანად და სავსებით განხორციელება. სასურსათო საქონლის დამზადება, 1924 წელთან შედარებით, 7-ჯერ გადიდდა. ეს აუცილებელს ხდის, ურთიერთობა როგორც ვაჭრობის სახ. კომისარიატის ორგანოებს შორის, ისე ამ კომისარიატის და სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის მოწესრიგდეს ისე, რომ მუშაობა მკაფიოდ სწარმოებდეს და ერთი დაწესებულების მუშაობა ავსებდეს მეორის მუშაობას. ამ მიმართულებით ამ.-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს არაფერი გაუკეთებია.

ის ზომები, რომლებსაც ღებულობს ამ.-კავ. ვაჭრ. სახ. კომისარიატის კოლეგია ამ თუ იმ საკითხის გადასაჭრელად, ხსენებული კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) აზრით, განისაზღვრება მხოლოდ კომისიების შექმნით... რათა კომისარიატმა თავი დააღწიოს საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრას. ამ.-კავ. სახელმწიფო ვაჭრობის საჰქციო საზ-ბის აპარატი, რომელიც ადგილებზე მუშაობს, უმთავრესად უცხო ელემენტებისაგან შესდგება.

მთავარ ამოცანას, რომელიც ამ.-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე სდგას, წარმოადგენს მტკიცე და გარკვეული დებულების შემუშავება, ხსენებული კომისარიატის მუშაობის შესახებ და ამ მუშაობის ფუნქციების განსაზღვრა.

ის დებულებები, რომლებიც კამათის დროს იქნა წამოყენებული, საკმაო სიცხადით ამტკიცებენ, რომ ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში ყველაფერი რიგზე ვერ არის.

საქ. სახკომსაბჭოში

ნაციონალიზაციაქმნილი სახლების ტეხნიკური გამოკვლევა

სახკომსაბჭომ დაავალა საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს მოახდინოს თბილისში ყველა ნაციონალიზაციაქმნილი სახლების ტეხნიკური მდგომარეობის გამოკვლევა.

ყველ-კარაქის დამამზადებელთა სკოლის გახსნა

სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო საქართველოსა და სომხეთის სახკომსაბჭოებსათვის ყველ-კარაქის დამამზადებელთა მოსამზადებელი გაერთიანებული სკოლის გახსნა თბილისში.

თათბირის მოწვევა ტეხნიკური კულტურის თესვის დარაიონებაზე

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო თათბირის მოწვევა ტეხნიკური კულტურების თესვის დარაიონების თაობაზე.

თათბირის მოწვევის გეგმის დამუშავება დაევალა სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

კოლმეურნეობათათვის ხელმძღვანელი პერსონალის მოსამზადებელი კურსების მოწყობა

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მსხვილ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი პერსონალის და მონაგარიშეების მოსამზადებელი კურსების მოწყობა.

ნიადაგთ-მეცნიერთა მეორე საერთაშორისო კონგრესის შემწვევი კომიტეტი

ნიადაგთ-მეცნიერთა მეორე საერთაშორისო კონგრესის შემწვევი კომიტეტი დამტკიცებულ იქნა შემდეგი სახით; ამხ. ს. ჯულელი (თავმჯდომარე), რ. გედევანიშვილი, ხ. ლომინტი, გ. კანდელაკი, ი. ლომაური, პროფ. ტიმოფეევი, გ. ფურცელაძე, ინჟ. მჭედლიშვილი, დ. გედევანიშვილი, კ. გაბუნია, ა. კაკაბაძე და პროფ. ი. ჯანდიერი.

კენაფის საბჭოთა მეურნეობის მოწყობა

ამხ. ჯულელის მოხსენების თანახმად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო გამოყოფილ იქნეს საზოგადოება „კენაფისათვის“ 16.000 ჰექტარი მიწა საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად.

საზოგადოება „კენაფს“ დაევალა დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობის დაწყებას 1.000 ჰექტარზე, რომელზედაც შეიძლება წინასწარი სამელიორაციო სამუშაოების ჩაუტარებლად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელება. დანარჩენ 15.000 ჰექტარის გამოყენების საკითხის გამორკვევა მიენდო საზოგადოება „კენაფს“ მიწსახკომთან ერთად.

მასთან წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სასწრაფო წესით მიავლინოს მიწისმზომელი საზ-ბა „კენაფის“-ათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების შემოფარგვლისათვის და დასდოს მასთან სათანადო ხელშეკრულება.

ხე-ტყის დამზადება

ხე-ტყის ძვირფასი ჯიშების დამზადებას საქართველოში უკანასკნელ ხანამდე აწარმოებდენ მრავალი ორგანიზაციები, ძვირფასი ჯიშების ხე-ტყე იჩეხებოდა ყოველგვარი წესის გარეშე. ეს საკითხი განხილული იქნა საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე სრულიად აკრძალა ძელქვის მერქანის დამზადება. კაკლის და ჯადვის დამზადების უფლება ეძლევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას—„სოფლის კავშირს“. სხვა ჯიშების მერქანის დამზადება უნდა აწარმოოს სატყეო მეურნეობის ტრესტმა.

როგორც საექსპორტო, აგრეთვე შინაურ ბაზრისთვის საჭირო ძვირფასი ხე-ტყის რაოდენობის გამოკვლევა ევალება ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულს.

ამასთანავე მიწადმოქმედების სახ. კომისარიატსა და „სოფლის კავშირს“ წინადადება მიეცათ შეიმუშაონ კაკლის ხეების ახლად გაშენების წესები.

თათბირი მეცხვარეობის შესახებ

გუშინ ხახალის წითელ დარბაზში გაიხსნა საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს ინიციატივით მოწვეული თათბირი მეცხვარეობის შესახებ. თათბირი გახსნა სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

— საქართველოს მეცხვარეობის შესახებ მოწვეულ ამ რესპუბლიკანური თათბირის გახსნისას,—ამბობს თავის შესავალ სიტყვაში ამხ. მახარაძე,—მე მინდა მოკლედ დავახასიათო ყველა ის ამოცანები, რომლებიც ამჟამად სდგას ჩვენი მეცხვარეობის წინაშე. თქვენ იცით, რომ საქართველოში მეცხვარეობა დიდი ხნიდან არსებობს. მეცხვარეობა განსაკუთრებით იყო და არის განვითარებული აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამ დარგს სამრეწველო ხასიათი აქვს მიცემული. დასავლეთ საქართველოში კი მეცხვარეობას აქვს მხოლოდ სამომხმარებლო ხასიათი. უწინ საქართველოდან უცხო ქვეყნებში გაჰქონდათ დიდძალი მატყლი, მაგრამ ეხლა, როდესაც ჩვენში ფართო ნიადაგი ეძლევა მრეწველობის განვითარებას—საფუძველი ეყრება მატყლის სამრეწველო მიზნებისათვის მოხმარების საქმესაც. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში მეცხვარეობის განვითარება ჩამორჩა მრეწველობის განვითარებას და იგი ერთ დონეზე დარჩა. ჯერ კიდევ იმპერიალისტურმა და შემდეგ სამოქალაქო ომებმა დააბრკოლა მეცხვარეობის განვითარება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მეცხვარეობის ზრდაც თვალსაჩინო გახდა.

1926—27 წელს მეცხვარეობის საქმე იმდენად გაუმჯობესდა, რომ უკვე მიაღწია ომის წინადროინდელ დონეს, მაგრამ შემდეგი ორი წლის განმავლობაში, ე. ი. 1928 და 1929 წლებში ისევ შესამჩნევი გახდა მეცხვარეობის კრიზისი. ეს აიხსნება მრავალი მიზეზებით. ამ მხრივ აღსანიშნავია სტიქიური ხასიათის მიზეზები; ნაწილობრივ ეს აიხსნება იმ გარემოებითაც, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობაში ადგილი აქვს უდიდეს გარდატეხას.

მეცხვარეობა არის ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი დარგი და მაშინ, როდესაც ხდება მთელი სახალხო მეურნეობის გადახალისება და მისი გადაყვანა ახალ საფუძვლებზე, დაუშვებელია, რომ მეცხვარეობა ჩვენ დავსტოვოთ ისევ ძველ მდგომარეობაში. ჩვენთვის საჭიროა, რომ მეცხვარეობა გადავიყვანოთ უმაღლესი განვითარების ტეხნიკურ საფუძვლებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაცვლად მამა-პაპის დროინდელი წესებისა, ჩვენი მეცხვარეობის საქმე უნდა მოვაწყოთ ახალ სოციალისტურ წესებზე. ამ მხრივ ჩვენ უთუოდ წავაწყდებით დაბრკოლებებს, რომლებსაც ჩვენ დავძლევთ ისევე, როგორც დავძლიეთ დაბრკოლებები სოციალისტური მშენებლობის მთელ ფრონტზე.

ჩვენს ამოცანას შეადგენს სამრეწველო მეცხვარეობის განვითარება. ამისთვის კი საჭირო იქნება მთელი რიგი ისეთი საკითხების მოგვარება, როგორიცაა—საძოვრების საკითხი, მეცხვარეებისა და მწყემსების მდგომარეობის გაუმჯობესება, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მოწყობა და სხ.

დასასრულ ამხ. ფ. მახარაძე აღნიშნავს, რომ მიმდინარე თათბირმა უნდა გამოარკვიოს მეცხვარეობის განვითარების გზები და დასახოს ის ღონისძიებები, რომელთა ცხოვრებაში გატარებაც დაევალება შესაფერის ორგანოებს.

ესალმება რა თათბირის მუშაობას მთავრობის სახელით, ამხ. მახარაძე იმედს გამოსთქვამს, რომ თათბირი თავისი გადაწყვეტილებებით საფუძველს დაუდებს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დარგის—მეცხვარეობის აღორძინების საქმეს.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვის მოსმენის შემდეგ საქმიან პრეზიდიუმში თათბირმა ერთხმად აირჩია: ამხ. ფ. მახარაძე, ლ. ლოლოგერიძე, ს. ჯულელი, ვ. ქურდაძე, პროფ. კარპოვი, რასულ-ზადე, ჩინჩალი, და ფიროსმანიშვილი.

თათბირმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მეცხვარეობის საქმის მდგომარეობა და მისი განვითარების გზები: თანამოხსენებები—საძოვრების საკითხისა და მეცხვარეობის მასიური გაუმჯობესების შესახებ; 2) მეცხვარეობის დაბეგვრა და საგადასახადო საკითხები, 3) მეცხვარეობის პროდუქციის დამზადების და მეცხვარეთა მომარაგების საკითხები და 4) მეცხვარეობის კოლექტივიზაცია.

რეგლამენტის მიღების შემდეგ თათბირი გადავიდა მოხსენებების მოსმენაზე.

მეცხვარეობის მდგომარეობა და მისი განვითარების გზები

საქართველოში მეცხვარეობის საქმის მდგომარეობისა და მისი განვითარების გზების შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ზ. ელიავამ.

თავის მოხსენებაში ის შეეხო მესაქონლეობის მნიშვნელობას სახალხო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში და აღნიშნა, რომ პროდუქტიული მესაქონლეობის დარგში მეცხვარეობა ყველაზე უფრო ხელსაყრელი დარგია. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ მემინდვრეობაში ცნობილი 600 სხვადასხვა სახის ბალახიდან ცხვარი სჭამს 570 სხვადასხვა სახის ბალახს; დანარჩენი საქონელი კი გაცილებით ნაკლები რიცხვის ბალახის ჯიშებით იკვებება.

რაც შეეხება მეცხვარეობის პროდუქციას, ე. ი. მატყლს და ხორცს, მომხსენებელი განმარტავს, რომ საქართველოს მეცხვარეობის საერთო პროდუქცია საბჭოთა კავშირის მეცხვარეობის ბალანსში აღწევს 5 პროცენტს. ჩვენი მატყლი კარგი ხარისხისაა, ჩვენებური ცხვარი იძლევა საუკეთესო ღირსების ხორცს. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ მაღალხარისხოვანი მატყლის რაოდენობა თუშური მატყლიდან უდრის 50 პროცენტს, მაშინ, როდესაც ამ რაოდენობის მაღალხარისხოვან მატყლს არ იძლევა არც ერთი ჯიშის ცხვარი.

უმაღლესი საკავშირო ორგანოები უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ საქართველოში მეცხვარეობის საქმის გაფართოებას; მიუხედავად ამ მნიშვნელობისა, უკანასკნელ წლებში შესამჩნევი გახდა მეცხვარეობის შესუსტება. ასე, მაგალითად, 1923 წელს მთელ საქართველოში მოზრდილი ცხვრის რაოდენობა უდრიდა 620.770-ს. 1927 წელს კი საქართველოში იყო 1.676.409 სული ცხვარი. მიმდინარე წელს საქართველოში ცხვრების რიცხვმა იკლო დაახლოებით 20 პროცენტით.

საქართველოს კლიმატიურ და გეოგრაფიულ პირობებში, მომხსენებლის აზრით, ყველაზე უფრო შესაფერისად უნდა ჩაითვალოს თუშური ცხვრის ჯიში. სხვადასხვა ჯიშების უპირატესობათა გამოსარკვევად, მიწსახკომის ზოოტეხნიკურ სადგურს ჩაუტარებია რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცდა. ცდებმა გამოარკვიეს, რომ ყველა ჯიშის ცხვრებზე უფრო ამტანია თუშური ცხვარი. თუშურმა ცხვარმა უწყლოთ გასძლო 88 დღე, ხოლო სხვა ადგილობრივმა ჯიშებმა ეს ვერ აიტანეს. კვების მხრითაც გამოირკვა, რომ თუშური ცხვარი უფრო ადრე სუქდება და იძლევა ერთ და იგივე პირობებში მეტ მატყლს, ვიდრე სხვა ცხვარი. ასე, მაგალითად წლინახევრის თუშური ცხვრის ბატკანმა მიაღწია 55 კილოგრამის წონას და მოგვცა გაკრეჭაზე 13 გირ. მატყლი.

მეცხვარეობის განვითარების საქმე საქართველოში დააბრკოლა საძოვრების გადატვირთვამ. საზამთრო საძოვრები ჩვენში გადატვირთულია 20 პროცენტით, ხოლო საზაფხულო საძოვრები 23 პროცენტით.

მეცხვარეობის საქმის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები მომხსენებელმა ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:

1) უნდა მოხდეს ყველა საზამთრო და საზაფხულო საძოვრების გამგებლობის ცენტრალიზაცია და მოწესრიგდეს მეზობელი რესპუბლიკების საძოვრებით სარგებლობის საკითხი, 2) მტკიცედ უნდა განისაზღვროს მეცხვარეებისათვის გამოყოფილი საძოვრებით სარგებლობის საკითხი, ე. ი. თვითეულ მეცხვარეს—მომავალში კი მეცხვარეთა კოლექტივებს, უნდა მიეზომოთ საძოვრების განსაზღვრული ფართობი, 3) უნდა აიკრძალოს საძოვრების ფონდის შემცირება და 4) მიღებული უნდა იქნეს ზომები მეცხვარეობის საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების ქსელის გასაფართოებლად.

ამასთანავე მომხსენებელმა დასძინა, რომ უახლოეს დროში გადაწყვეტილია მოეწყოს მეცხვარეობის ორი ახალი საბჭოთა მეურნეობა ყარაიაში და შირაქში, ხოლო „უდაბნოს“ საბჭოთა მეურნეობა კი გაფართოებული იქნება. გარდა ამისა, მიღებული იქნება ღონისძიებები მეცხვარეთა კოლმეურნეობების მოსაყალიბებლად.

მეცხვარეობის დაბეგვრა და საგადასახადო საკითხები

მეცხვარეობის დაბეგვრისა და საგადასახადო საკითხების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ფინსახკომის წარმომადგენელი ამხ. გ. ლომთათიძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლისათვის მეცხვარეობის დასაბეგრათ შემოღებული ე. წ. საშემოსავლო ნორმა დაწესებული იყო 2 მან. 50 კაპ., ე. ი. თითო ცხვარზე შემოსავლის ნორმა განსაზღვრული იყო აღნიშნული თანხით. გარდა ამისა, უკვე მეორე წელიწადია, რაც ფინსახკომის ორგანოები ატარებენ მეცხვარეების ინდივიდუალურ დაბეგვრას. საშემოსავლო ნორმები ჩვეულებრივათ წესდება ყოველ 2—3 წელიწადში ერთხელ.

ინდივიდუალური დაბეგვრისას მეცხვარეებს უხდებოდათ საგრძნობი თანხების გადახდა; ამის გამო წელს ხელახლა დაისვა საკითხი საშემოსავლო ნორმების გადასინჯვის შესახებ; ეს ნორმა გამომუშავებული იქნა 1 მ. და 41 კაპ. რაოდენობით. მაგრამ ვინაიდან ნორმების გამორკვევისას ფასები მინიმალური რაოდენობით იყო ნაანგარიშევი, ამიტომ ეს ნორმა ფინსახკომის, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შორის მომხდარი შეთანხმებით განსაზღვრულ იქნა 1 მ. და 50 კ.—1 მ. 60 კაპ. რაოდენობით.

ამგვარად მეცხვარეობის დაბეგვრა თანხა შემცირებული იქნება 15 პროცენტზე მეტით.

მშრომელთა პასუხი ჩინელ გენერლებს

მოხალისენი შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში

ჩინელ გენერლების თავხედურ გამოსვლებზე საპასუხოდ ვეწერები შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში.

ალექსანდრე ცომაია.

—:—

ვარ მონაწილე იმპერიალისტური ომის. ვიყავი ტყვედ გერმანიაში ოთხი წელი. ომიდან დაბრუნებისას ვეწევი მეურნეობას. ვინაიდან ჩინელი მილიტარისტები არ სცხრებიან, მუშურ-გლეხური სამშობლოს დამცველთა რიგების გასაძლიერებლად ვეწერები მოხალისედ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში.

ვ. გუცხრიძე

—:—

სტუდენტების სამხედრო შეკრების დროს მე შევიძინე საკმაო ცოდნა სამხედრო დარგში. ვეწერები შორეულ აღმოსავლეთის არმიაში, რათა ჩემი ძალ ღონით დავეხმარო საბჭოთა მშრომელებს წითელი საზღვრების დაცვაში.

სტუდენტი ნ. ცხაკაია.

—:—

ვარ მოჯამაგირე, ვცხოვრობ ხევსურეთში. ჩვენამდის მოაღწია ცნობამ, რომ ჩინელი გენერლები და რუსი თეთრგვარდიელები თავს ესხმიან ჩვენ საზღვრებს და აწიოკებენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. ამიტომ ვეწერები მოხალისეთ წითელ ჯარში, რათა იარაღით ხელში გავსცე პასუხი ჩვენი ქვეყნის მტრებს

კლ. წიკლაური.

—:—

ვეწერები მოხალისეთ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში. ვარ კომკავშირის წევრი, ყოფილი მოჯამაგირე, ამჟამად ვმუშაობ ხონის აბრეშუმის ძაფ-საღებ ქარხანაში.

გრ. სულაბერიძე.

ჩვენ, საქართველოს ფინსახკომის და თბილისის ელექტრო-ანაგებათა სამმართველოს ა.ლ.კ.კ. უჯრედის წევრები ვეწერებით მოხალისეებათ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში და ვითხოვთ, რათა ვიქნეთ გაგზავნილი ხსენებულ არმიის რიგებში.

ვახტანგ ცირღილაძე, ვიქტორ რუხაძე.



—:—

ვეწერებით მოხალისეებათ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში და ვითხოვთ, რათა ვიქნეთ გაგზავნილი წითელ ჯარის რიგებში, რომ მივიღოთ მონაწილეობა წითელი საზღვრების დაცვაში.

ვ. მატუა, ხარიტონ ჩხენკელი, ალ. ალფაიძე, ვ. ჩოგოვაძე, მიხ. ფალავანდიშვილი, გ. გენძეხაძე, ს. გაჩეჩილაძე, ვ. განცაძე, მ. კვერღელიძე.

მოხალისეების მომზადება

იმ ახალგაზრდობის სამხედრო მომზადება, რომლებიც ეწერებიან მოხალისეებათ შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში, დავალებული აქვთ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ორგანიზაციებს. თავდაცვა-ავიაქიმი უკვე შეუდგა სამხედრო მეცადინეობას მოხალისეთა შორის. ყველა მოხალისენი განაწილებული არიან ავიაქიმის სამხედრო სეტყვათა წრეებში. მოხალისეთა ცალკე ქვედანაყოფები და ჯგუფები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ სტიქიურად, დაშლილია.

თბილისში ჯერ-ჯერობით აყვანილია აღრიცხვაზე 1.500-მდე მოხალისე. ყველა ესენი მეცადინეობენ ავიაქიმის სამხედრო წრეებში. მეცადინეობა სწარმოებს რეგულიარულად კვირაში ერთხელ. სამხედრო წრეებს მიეცათ პროგრამები, როგორც სახედრო, ისე პოლიტიკურ დარგში. მეცადინეობას აწარმოებენ თადარიგის მეთაურები და მეთაურები წითელი ჯარის საკადრო ნაწილებიდან. მხურვალე მონაწილეობას მოხალისეთა მომზადებაში ღებულობს ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლა, რომელმაც ამ მიზნით გამოჰყო მეთაურები და კურსანტები.

ქუთაისის ავიაქიმს აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს 98 მოხალისე, რომლებიც უკვე შეუდგნენ მეცადინეობას. მოხალისეთა მომზადება ქუთაისში წარმატებით მიმდინარეობს. მოხალისენი ცდილობენ მოკლე ხანში შეისწავლონ საკმაო სამხედრო ცოდნა, რომ შესძლონ ღირსეულად დაიცვან მტრებისაგან წითელი საზღვრები.

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ავიაქიმის ორგანიზაციაში შედის მრავალი განცხადებები მოხალისეებათ მიღების შესახებ.

ამერიკაში მცხოვრებ სომეხ--მუშათა დელეგაციის ჩამოსვლა

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკიდან გამოგზავნილი მუშათა დელეგაციის წევრები, ამერიკაში მომუშავე სომეხ მუშების წარმომადგენლები ამხ. მამრე თოროიანი და მელქონიან-კარაკაში.

გუშინ ამერიკელ სომეხ მუშათა ორივე წარმომადგენელი გაემგზავრა ერევანში, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულებზე დასასწრებათ.

ამერიკაში მომუშავე სომეხ მუშათა მდგომარეობის შესახებ ჩამოსულებმა აცხადეს შემდეგი:

— ამერიკაში სცხოვრობს ასი ათასზე მეტი სომეხი, ისინი უმთავრესად გადმოსახლებული არიან იქ თურქეთიდან. დაშნაკების პოლიტიკამ მშრომელი სომეხი მოსახლეობა იძულებული გახადა მიეტოვებია თურქეთი და გადახიზნულიყო ამერიკაში.

ამერიკაში განსაკუთრებით ძნელია სამუშაოს შოვნა უცხოეთიდან გადმოსახლებულთათვის; უმუშევართა კადრებს თითქმის მარტო ევროპიდან და აზიიდან გადმოსახლებულები შეადგენენ.

მარტო ფორდის საავტომობილო ქარხანაში, რომელიც ქალ. დეტროიტში იმყოფება, მუშაობს 4.000-ზე მეტი სომეხი მუშა. ამერიკაში მყოფი სომეხი მუშები განსაკუთრებული თანაგრძნობით უყურებენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ბრძოლას ახალი ცხოვრების დამყარებისათვის. ამ თანაგრძნობას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ამერიკაში მცხოვრებმა სომეხმა მოსახლეობამ იცის, თუ როგორ მუშაობს და სცხოვრობს საბჭოთა სომხეთის მშრომელი ხალხი.

ჩვენ, კერძოთ, დავალებული გვაქვს უფრო დაწვრილებით გავეცნოთ სომხეთში წარმოებულ ახალ აღმშენებლობას და ამის შესახებ ამომწურავი ცნობები გადავსცეთ, როგორც ამერიკელ, ისე ამერიკაში მცხოვრებ სომეხ მუშებს.

თბ. უბნის რკინის გზის მცველი რაზმი მანევრებზე

თბილისის უბნის რკინის გზის მცველი რაზმის გასაცნობად რკინის-გზის ლიანდაგის და ხიდების დაცვასთან ომის დროს, კვირას, 24 ნოემბერს სადგ. შულავერის (აშაგა-სერალ) რაიონში მოეწყო ამ რაზმის მანევრები.

„მოწინააღმდეგეს“ წინასწარ დაკავებული ჰქონდა რკინის-გზის ხიდი, სადგური აშაგასერალი და მისი მიდამოები.

„წითლების“ ამოცანას შეადგენდა „მოწინააღმდეგის“ განდევნა და ხიდის და სადგურის ხელში ჩაგდება. ტაქტიკური მეცადინეობა დაიწყო დილის 12 საათზე. „წითლებმა“ გადასწყვიტეს გადაელახათ მდ. ხრამი და ზურგიდან მოეკლოთ მოწინააღმდეგისათვის. ეს გეგმა განხორციელებული იქნა ზედმიწევნით. რაზმელებმა, როგორც „წითლების“ ისე „ლურჯების“ მხრივ, გამოიჩინეს საქმის კარგი ცოდნა და საუკეთესოდ შეასრულეს ხელმძღვანელების მიერ დავალებული ამოცანა, მიუხედავათ ამისა, რომ გეგმა ფრიად რთული იყო.

რაზმელები სანგარში

„წითლების“ მხრივ „ბრძოლაში“ მონაწილეობას ღებულობდა ჯავშნიანი მატარებელი. როდესაც ქვეითი ჯარი ზურგიდან აწარმოებდა მოქმედებას, მატარებელი შეიჭრა ხიდზე და აიძულა „მოწინააღმდეგე“ დაეხია სადგურისაკენ და დაეტოვებია სადგურის მიდამოები. დღის 3 საათისათვის ხიდი და სადგური აიღეს „წითლებმა“ და მთელი მიდამო გაანთავისუფლეს „ლურჯებისაგან“.

მეცადინეობის დამთავრებისას მოეწყო მიტინგი, რომელსაც რაზმელების გარდა დაესწრნენ რკინისგზელები და ადგილობრივი მოსახლე გლეხები.

მანევრებს უნდა დასწრებოდა ლენრაიონის ავიაქიმრაზმი, რომელშიაც შედიან თბილისელი რკინისგზელები. მაგრამ ავიაქიმის ლენრაიონის საბჭოს უთაურობით, მანევრებში არ იყო არც ერთი რკინისგზელი, გარდა 28 მოწაფისა. სამწუხაროა, რომ ავიაქიმის საბჭომ არ გამოიყენა ეს ფრიად მნიშვნელოვანი მანევრები, სადაც რკინისგზელები შეიძენდნენ დიდ ცოდნას.

1929 ნოემბერი IX
პრ. რევ. 13 წ. 30 დღე
26
სამშაბათი
დღეს
უნდა
გამოიწეროთ
„კომუნისტი“
დეკემბრის
თვისათვის
0—1

წერილები ადგილებიდან

სიძე-სიმამრთა კავშირი

ორჯონიკიძის ქუჩა № 94 სახლი ეკუთვნოდა ვინმე ლუკა აფრიდონიძეს. აფრიდონიძემ თავისი ქალიშვილი მიათხოვა ბიქტორ ფხაკაძეს, რომელსაც მზითევში გაატანა შვიდი ოთახი და თავისივე სახლში ჩაასახლა მეორე სიძე კილაძე. ფხაკაძემ თავის მხრივ სახლში ჩაასახლა თავისი ძმა ვალერიანი. ცოლის ნათლულ წულუკიძე და აფრიდონიძის ძმისწულები ნესტორი და კირილე აფრიდონიძეები. ამ უკანასკნელებმა აღნიშნულ სახლის ეზოში გაიჩინეს ნათლიად შენგელია. იქვე სცხოვრობენ ლუკა აფრიდონიძის ცოლის დეიდაშვილი, შალამბერიძე და მისი ცოლი რიფსიმე, იგივე აფრიდონიძის დისწულის ქმარი კალანდაძე და მისივე თანასოფლელები კახაძე, მოქაძე და რამიშვილი, ასე რომ აღნიშნულ სახლის ეზოში თავს იყრის ნათესავების ჯგუფი.

აფრიდონიძეს სახლი ჩამოართვეს და გადასცეს საბინაო ამხანაგობას. ამ დროს აფრიდონიძის სიძე ფხაკაძე სცხოვრობდა ერთ ოთახში, მაგრამ როდესაც სახლი გადავიდა საბინაო ამხანაგობაზე, თავისი ბინა დაწერინა თავის ცოლის ძმის სახელზე იმ მოსაზრებით, რომ როდესაც მობინადრე ქებურია განთავისუფლდება ბინას, თითონ გადასულიყო. ფხაკაძეს აფერისტობა ვერ გაუვიდა. საბინაო ამხანაგობამ არ მისცა ამის უფლება. მის შემდეგ ფხაკაძეს საშუალება წაერთვა, მეორე ბინის დაკავებისა, რადგან ბინის მხრივ უფრო მეტ გაჭირვებას განიცდიდა იმავე ეზოში მცხოვრები მუშა მ. კამკამიძე ამ წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად ფხაკაძემ შეადგინა განცხადება, რომელზეც ხელი მოაწერინა თავის ნაცნობ-ნათესავებს და გადასცა სასამართლოს ვითომ და კამკამიძე მეზობელ მობინადრეებს ძალზე აწუხებდეს. გარდა ამისა მობინადრე გიორგაძეს გადასვლისას. აფრიდონიძის სიძე კილაძემ, მას (გიორგაძეს) მისცა ოთახის საფასური ასორმოცდა ათი მანეთი. კამკამიძემ, როგორც აღნიშნულ სახლის რწმუნებულმა, ეს ამბავი აცნობა მე-11 და 12 საბინაო ამხანაგობებს, რომლებმაც ცნობა გადაგზავნეს აღმასკომის საბინაო სამმართველოში. მაგრამ ვინმე გაბუნიას წყალობით საქმე აქ მიიჩქმალა. ასეთი წინააღმდეგობის გაწევის გამო ფხაკაძემ და მისმა კამპანიამ მიზნათ დაისახა მუშა კამკამიძის ეზოდან გაძევება. საჩივარი აღძრეს პროკურატურაში. ასევე მოექცნენ მობინადრე გეურქოვას ქვრივს, რომელსაც ყოველდღე აყენებენ შეურაცყოფას.

მათ სურდათ გეურქოვას ქვრივის გაძევება, მაგრამ სასამართლომ მათი ძიება, ფაქტების უქონლობის გამო, უყურადღებოდ დასტოვა. მას შემდეგ არა ერთხელ აუწიოკებიათ გეურქოვას ქვრივი, რადგანაც ამ უკანასკნელმა საბინაო ამხანაგობას სწორე ცნობები მისცა ფხაკაძის მიერ ბინაში უკანონოთ ჩასახლების შესახებ.

ფხაკაძე რკინის გზის მცველ რაზმში მსახურობს და მას ცა ქუდათ აღარ მიაჩნია. აფრიდონიძე და ფხაკაძე ცდილობენ „თავიანთ“ სახლიდან გააძეონ სხვები. დროა ამ ნათესაურ ჯგუფს ბოლო მოეღოს.

სიძე-სიმამრთა და ბიძაშვილთა კავშირის დასაშლელად ყველა ისინი გადასახლებულნი უნდა იქნენ სახლიდან, როგორც სახლის პატრონები და მობინადრეების შემწუხებელნი.

მიუდგომელი.

შეფი არაფერს აკეთებს

სოფ. ჯალას შეფი არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს სოფელს. იმის მაგიერ, რომ შეფს რაიმე ახალი შემოეტანა სოფლისათვის, რაც ქონდა ისიც მოუსპა. სოფელში მუშაობდა ელექტრო მანქანა, რომელიც ამოძრავებდა ორ წისქვილს. რაღაც მიზეზის გამო მანქანა მოიშალა. შეფმა იკისრა მანქანის შეკეთება და ამ მიზნით მანქანის ნაწილები თბილისში წაიღო. გადის თვეები და არც მანქანის შეკეთებული ნაწილები დაუბრუნდა სოფელს და არც შეფი ამოსულა მას შემდეგ. წისქვილები შეჩერებულია, ამის გამო გლეხებს საფქვავის გადატანა უხდებათ ერთ სოფლიდან მეორე სოფელში რამოდენიმე ვერსის მანძილზე.

უკანასკნელად იმ სოფლის შეფობა აიღო ორთაჭალმისალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სამჭედლო-საამქრომ, მაგრამ აქ წინ გადაეღობა ძველი შეფი და ახალი შეფს არ მისცეს საშუალება გაეწია ხელმძღვანელობა სოფლისათვის. ამრიგად სოფელი ჯალა კვლავ ძველ შეფზე გადაირიცხა. შეფი თავის თავად არაფერს აკეთებს, არც სხვას აძლევს საშუალებას სოფელს უხელმძღვანელოს. საჭიროა ამ უთავბოლობას მოეღოს ბოლო.

მეჩონგურე ზოგია.

მუშათა უბნების კეთილმოწყობა

თბილისის საბჭოს კომუნალურ სექციის ბიურო დროგამოშვებით აწარმოებს სამუშაოების დათვალიერებას ქალაქის რაიონში; ამ დღეებშიც მოხდა სამუშაოთა დათვალიერება კომუნალურ სექციის ბიუროს წევრების და ქალაქის უფროსი ინჟინერი ქურდიანის მონაწილეობით.

დათვალიერებულ იქნა სამუშაოები ლენინის რაიონში. ბევრი ქუჩა-ქუჩის არ გავს. ბევრგან არაა წყალსადენი. არაა კანალიზაცია, არაა სათანადო განათება. ადგილობრივი მუშები მოითხოვენ კომუნალურ სექციისგან ქუჩების გასწორება-გაკეთებას. წყალს, განათებას და სხვა.

დათვალიერებულ იქნა თურიევის ქუჩის ბოლო, რომლის მოკირწყვლას მოითხოვენ აქ მცხოვრები მუშები. ინჟინერმა ქურდიანმა აღუთქვა ამის შესრულება ახლო მომავალში. აგრეთვე დათვალიერებულ იქნა მეორე ნაზარეთის ქუჩა, ეს ქუჩა—ოღრო-ჩოღრო, მთაგორიან ალაგს წარმოადგენს, ასე, რომ ამ ქუჩის გასწორება შეუძლებელია. საცაა დამთავრდება ყოფილ ეკლესიის ალაგას აგებული ახალი აბანო. ეს აბანო ერთი საყურადღებო საქმეა მუშათა რაიონში. საჭიროა აგრეთვე ვიზრუნოთ ამ რაიონში ბაზრის მოწყობაზე. აგრეთვე რკინის გზაზე გადასასვლელი ხიდი ვეღარ აკმაყოფილებს გამვლელებს მოთხოვნილებას.

კომუნალური სექცია ვალდებულია ყველა ამას ადევნოს თვალყური და დააყენოს საკითხი საცა საჭიროა. ამ დღეებში მოხდება სხვა მუშათა რაიონების დათვალიერებაც. სექციამ გადასწყვიტა გამართოს თავისი სხდომები მუშათა რაიონებში, მაგრამ ადგილობრივი კლუბის გამგეები არ უწევენ ამ გარემოებას ანგარიშს და ხშირად უარს ამბობენ დარბაზის დათმობაზე.

მუშათა უბნებში სექციის კრებების გამართვას დიდი მნიშვნელობა აქვს, უბნებში ამომრჩევლებს შეეძლება მიეცემათ დაესწრონ და გაეცნონ თავიანთი არჩეულების მუშაობას.

ძველი მუშა.

—:—

ტრამვაის მუშათა სახლში

ტრამვაის მუშათა სახლის მეორე კორპუსში, რომელიც აშენებული იყო უცოლშვილო მუშებისათვის, ცხოვრება შეუძლებელია. შენობაში მოთავსებულია სამოცი ოჯახი. არც ერთ ოჯახს სამზარეულო არ აქვს, რის გამო მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან. სამზარეულოთ ხმარობენ დერეფნებს და ამ დერეფნებში ჩამწკრივებულია ნავთის სამზარეულოები (კერასინკები), „პრიმუსები“, ნახშირის ღუმელები და სხვა, რაც დიდ ზიანს აყენებს სახლს. ხშირია შემთხვევა კერასინკების და პრიმუსების აფეთქებისა. ჯერჯერობით ცეცხლს დიდი ზარალი არ მოუტანია, მაგრამ თუ გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა, ტრამვაის მუშათა სახლი ცეცხლის მსხვერპლი გახდება.

საჭიროა მეორე კორპუსის მცხოვრებლების ნაწილი გადასახლებული იქნეს ახალ დამთავრებულ კორპუსში და მათი ბინები გადაკეთდეს სამზარეულოდ.

ტრამვაის მუშა ლეონიძე.

—:—

წერილებიდან

◆ გლეხთა კავშირის გამგე გ. ნაფეტვარიძე ბოროტად იყენებს თანამდებობას. მან 12 ნოემბერს, პროტექციით მიიღო არა კავშირის წევრი, ლიუბა ჯანელიძე, მაშინ როდესაც კავშირის წევრი უმუშევრები თვეობით და წლობით დაიარებიან შრომის ბირჟაში. (კოჯ-ური).

◆ სახკვებ. კავშირის სასადილოები ღვინოს იძენენ კერძო ვაჭრებიდან. არსებობს სახელმწიფო ღვინის საწყობები, საიდანაც უნდა მიჰქონდეთ ღვინო ყველა კოოპერატიულ დაწესებულებებს. მაგრამ კოლექტიური სასადილოები მაინც კერძო ვაჭრებთან იჭერენ კავშირს. ამაში დანაშაული მიუძღვის სასადილოს ადმინისტრაციებს და სახ. კვებ. კავშ. (კიტაელი). ცნობს. (ნაპერწკალი).

◆ რკ. გზ. სამმართველოს ადგილკომი მეტად უწესოდ ექცევა დაბალ მოსამსახურეებს. ეკონომიურ ნაწილში მსახურობს დარაჯი ქალი, რომელიც უბინაობის გამო უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. მან რამდენიმე განცხადება მისცა ადგილკომს, რომ უკანასკნელს გაეწია დახმარება ბინის შოვნაში, მაგრამ ადგილკომი მის განცხადებას წაკითხვის ღირსადაც არ სცნობს. (ნაპერწკალი).

◆ თბ. დეპოს მემანქანის თანაშემწეებმა ჩააბარეს გამოცდები მემანქანის ხარისხზე. არსებული წესებით ვისაც დიდი სტაჟი აქვს, მან უნდა იმუშაოს ადგილობრივ მანევრებზე—მემანქანედ, შემდეგ კი გადაიყვანენ მატარებელზე. ამ კანონს ემორჩილება დეპოს ყველა თანამშრომელი, მხოლოდ მათ შორის უპირატესობათ სარგებლობს სერგო ნარიმანიძე. იგი მუშაობს მემანქანედ სამგზავრო მატარებელზე. ზოგი მემანქანე კი მანევრებიდანაც მოხსნეს. (კ. უზა).

მუშები სახკინმრეწვის მუშაობის შესახებ

(მუშა კინო-მაყურებელთა საქალაქო კონფერენციაზე)

შაბათს საღამოს გაიხსნა მუშა კინო-მაყურებელთა საქალაქო კონფერენცია.

კონფერენციის გახსნისას, ამხ. ბედიამ აღნიშნა, რომ კინო წარმოადგენს აგიტაციისა და პროპაგანდის მძლავრ იარაღს. ჩვენი მიზანია ეს იარაღი კარგად გამოვიყენოთ. კინოს წინაშე უდიდესი ამოცანა ისმება დღეს: დარაზმოს მშრომელები სოციალისტური აღმშენებლობისათვის. ამ ამოცანას კინო ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს. ჩვენი კინოს სუსტი მხარეების გამოაშკარავებით, ჩვენ მას დახმარებას გაუწევთ მის წინაშე მდგომ ამოცანების გადაწყვეტისათვის.

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. ამირალოვის მოხსენება სახკინმრეწვის მუშაობისა და კინომრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საქ. სახელმწიფო კინო-მრეწველობის მუშაობა და კინო-საქმის ხუთწლიანი გეგმა

(ამხ. ამირალოვის მოხსენება)

ამხ. ამირალოვის მოხსენების ნაკლად ჩაითვლება ის, რომ მან ილაპარაკა უმთავრესად სახკინმრეწვის მიღწევებზე. მაგრამ არაფერი უთქვამს ნაკლოვანებებზე. მართალია, სახკინმრეწვს აქვს მიღწევები, მაგრამ ხომ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მას აქვს უამრავი შეცდომებიც. აუდიტორიას კი სწორედ ამ ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზების გაგება უნდოდა, რომ ამით გაადვილებულიყო ღონისძიებათა დასახვა მათ აღმოსაფხვრელად.

სახკინმრეწვის მუშაობა, სთქვა მომხსენებელმა,—განსაკუთრებით გაუმჯობესდა საკავშირო კინო-თათბირის შემდეგ, რადგან ამ თათბირის გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედო სახკინმრეწვის შემდგომ მუშაობას.

ისეთი სურათების გამოშვება, როგორიცაა „ელისო“, „საბა“, „18—28“, „ხოლტზე“, „ახალგაზრდობა იმარჯვებს“—სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება და შექმნილია ახალგაზრდა რეჟისორთა ძალებით, როცა ძველი რეჟისორები შევცვალეთ ახალი ძალებით, ბევრი შიშს გამოსთქვამდა, რომ ეს მეტად უარყოფით გავლენას მოახდენდა სახკინმრეწვის პროდუქციის ხარისხზე. ეს შიში არ გამართლდა. ახალგაზრდა რეჟისორების მიერ შექმნილი სურათები გამართლებულია, როგორც იდეოლოგიურად, ისე კომერციულად; ამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კინო-დადგმულობათა ქსელი გაფართოებულია 173-დან 237-მდე. ეს გაფართოება მოხდა საკლუბო, სასოფლო და მოძრავი კინოების ხარჯზე. (უმთავრესად კი ამ უკანასკნელების ხარჯზე). 20-დან 50 პროცენტამდე შემცირებულია სურათების გასაქირავებელი ფასები. თუ წინათ მუშათა კლუბებში გაშვებულ სურათების ორი მესამედი მოდიოდა საზღვარგარეთის სურათებზე, უკანასკნელ ხანებში საბჭოთა სურათი მეტს ადგილს იკავებს.

კინო-მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 60 ახალი სურათის გამოშვებას, თუ ამჟამად თითოეული სურათის გამოშვება ჩვენ საშუალოდ გვიჯდება 115.000 მანეთი, ხუთი წლის დამლევს თითოეული სურათი დაგვიჯდება 60.000 მანეთი. კინო-დადგმულობათა ქსელი გადიდებული იქნება 273 პროცენტით (განსაკუთრებით სოფლად). დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა სოციალურად მიუღებელი ელემენტები, რომლებიც მოკალათებული იყვნენ სახკინმრეწვში, მოხსნილია და თუ დარჩენილია თითო-ოროლა, ისინი თანდათანობით ექცევიან პროლეტარულ გავლენის ქვეშ და ამხ. ამირალოვის სიტყვით რომ ვსთქვათ, „ისინი გაპროლეტარებული არიან და კარგათ მუშაობენ“-ო.

რაც შეეხება სახკინმრეწვის აპარატის გამუშურების საკითხს, ამის შესახებ ამხ. ამირალოვს თავის მოხსენებაში არაფერი უთქვამს და ამიტომ დებულებამ თავადების „გაპროლეტარების“ შესახებ აუდიტორიაში უკმაყოფილება გამოიწვია. მთელი რიგი ორატორები აღნიშნავდნენ, რომ თავადების ეკონომიურად „გაპროლეტარება“ არ ნიშნავს მათი აზროვნების გასაბჭოებასო.

ამხ. ქუონზერის თანამოხსენება

ამხ. ამირალოვის მოხსენების შემდეგ, თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. ქუონზერი. მან აღნიშნა, რომ მუშათა კლუბების მიმართ სახკინმრეწვი დიდ უყურადღებობას იჩენს. კლუბებს იგი კომერციული თვალსაზრისით უდგება და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კარგი სურათები 2—3 თვის შემდეგ მიდის კლუბებში (მას შემდეგ, რაც სურათი შემოივლის თბილისის და პროვინციის ყველა კომერციულ კინოებს), ამით აიხსნება ნაწილობრივ, ის გარემოებაც, რომ კლუბები იძულებულნი არიან გაუშვან ხშირად იდეოლოგიურად მიუღებელი სურათები, (ამერიკული „ტრიუკები“). სურათების გასაქირავებელი ფასები კლუბების ბიუჯეტისათვის დიდია. საჭიროა კლუბებს მეტი შეღავათი მიეცეს. საზღვარგარეთული სურათები სახკინმრეწვმა კლუბებში უნდა გააქირაოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს სურათები რაიმე განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენენ. დღემდე კინოს ირგვლივ შექმნილი არაა საზოგადოებრიობა. ამაში ბრალი მიუძღვის როგორც სახკინმრეწვს, ისე პროფკავშირებს. ერთ დროს განზრახული იყო „საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოების“ ჩამოყალიბება, მაგრამ ეს განზრახვა დღემდე განხორციელებული არ არის. არ არის შექმნილი აგრეთვე საბავშვო ფილმები, რაც დიდ ნაკლად ჩაითვლება.

კამათი ამხ. ამირალოვის და ქუონზერის მოხსენებათა გამო

კამათმა, რომელიც კონფერენციის მეორე სხდომაზე გაიმართა, გამოააშკარავა ის უდიდესი ინტერესი, რომელსაც მუშები იჩენენ კინოსადმი. ორატორები ეხებოდნენ უმთავრესად იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ადგილი აქვს სახკინმრეწვის მუშაობაში, ამასთანავე აღნიშნავდნენ პროფსაბჭოს კულტგანყოფილების სისუსტესაც მთელ რიგ საკითხებში. კამათში მონაწილეობა მიიღეს სახკინმრეწვის მუშაკებმაც: ალხაზიშვილმა, შკლოვსკიმ, აბრამოვიჩმა, და სხ. იმის მაგიერ, რომ მათ ყურადღებით მოესმინათ მუშების საქმიანი მითითებანი, ისინი სცდილობდნენ უარეყოთ მუშების მიერ წამოყენებული დებულებანი, რამაც ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა აუდიტორიაზე.

კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ სახკინმრეწვმა და საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ უნდა მიიღონ ზომები „საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოების“ (ს. კ. მ. ს.) შესაქმნელად, რომ ამით შესაძლებელი გახდეს მასების კონტროლის დაწესება კინო-მრეწველობაზე. ამხ. ფომინი და ივანოვი მიუთითებდნენ სცენარის წინასწარ წაკითხვის საჭიროებაზე მუშათა აქტივში, რომ ამით აცილებული იქნეს „გაფლანგვა“-ს, „ორი მონადირე“-ს, „ამოკი“-ს და მსგავსი სურათების გადაღება. ყველა ორატორი აღნიშნავდა სახკინმრეწვის ახალი სურათ „ჩემი ბებია“-ს უვარგისობას (სურათი უჩვენეს კონფერენციის მონაწილეებს), ამხ. კრეიტინმა შეაფასა რა ეს სურათი, სთქვა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლოზუნგი ამ სურათით დაწვრილმანებული და თითქოს გამასხარავებული არის. მართლაც, სურათი „ჩემი ბებია“ ძალზე არა დამარწმუნებელია და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა ხელის ერთი ხოსმით შეიძლება. მთელი რიგი ორატორების მოითხოვდა, რომ ამ სურათის ჩვენება აკრძალული იქნეს, რადგან იგი „უვარგისი სურათის ნიმუშს წარმოადგენს“. ეხებოდნენ რა სასცენარო საქმეს და სამხატვრო საბჭოს მუშაობას, ორატორები აღნიშნავდნენ, რომ სამხატვრო საბჭოს წევრთა საგრძნობი ნაწილი არავითარ პრაქტიკულ მუშაობას არ აწარმოებს, სცენარების წერა მინდობილი აქვს 2—3 კაცს. ზოგჯერ ყიდულობენ გარედან შემოსულ სცენარსაც, მაგრამ შემდეგ სამხატვრო საბჭო თვალყურს არ ადევნებს იმას, თუ რა ბედი ეწია ამ სცენარს.

სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული აგრეთვე კინო-კრიტიკის საქმე. გაზეთებში რეცენზიები თითქმის არ იწერება. სახკინმრეწვმა კომერციულ კინოებში პირველ სეანსზე შესასვლელი ფასად დააწესა 30 კაპიკი, მაგრამ 5 საათზე (პირველი სეანსის დაწყებისას) მუშა დაღლილია, ის არ მოდის კინოში და ამრიგად შეღავათით სარგებლობენ უმთავრესად არა მუშები. უკეთესი იქნება, თუ სახკინმრეწვი წარმოებებში მეტი რაოდენობით დაარიგებს შეღავათიან ტალონებს.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ უნდა აუკრძალოს მუშათა კლუბებს „ტრიუკიანი“ სურათების, იდეოლოგიურად მიუღებელი, საზღვარგარეთელი სურათების ჩვენება, რადგან ბევრი კლუბები არამც თუ არ ერიდება ასეთი სურათების ჩვენებას, არამედ ეტანება, რადგან მეტი შემოსავალი აქვს.

ამხ. ამირალოვის და ქუონზერის საბოლოო სიტყვების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლუცია და არჩეული იქნა 17 კაცისაგან შემდგარი „საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოების“ საორგანიზაციო ბიურო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

შემოწირულებათა შეგროვების წესი

ამიერ-კავკ. ცაკის დადგენილებით, ყოველგვარი ნებაყოფლობითი შემოწირულების შეგროვება ამიერ-კავკასიაში ნებადართული უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკანური ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ.

ბამბის დამზადება

ამიერ - კავკასიის მებამბეობის კომიტეტის ცნობით, 20 ნოემბრისთვის საქართველოში დამზადებული იყო 2155 ტონა ნედლი ბამბა. აქედან გადამუშავებულია და მრეწველობას გადაეცა 338 ტონა. ბამბის გადამზადება წელს დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და გეგმა (3942 ტონა) მთლიანად იქნება შესრულებული.

ვაშლის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატმა 23 ნოემბრისთვის გორის ოლქში დაამზადა 562.000 ფუთი ვაშლი. გეგმით კი უნდა დამზადებულიყო 300.000 ფუთი. აქედან გაიგზავნა უცხოეთში 20 ვაგონი. ამჟამად ყოველდღე იგზავნება 5 ვაგონი.

ახალციხეში დამზადებულია 240.000 ფუთი, აქედან 10 ვაგონი გაიგზავნა უცხოეთში. გარდა ამისა აზერბეიჯანში დამზადებულია 240.000 ფუთი ვაშლი, აქედან 60.000 ფუთი შინაური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ვაშლი უმთავრესად იგზავნება გერმანიაში.

განათლების კომისარიატში

◆ **მებამბეობის ტეხნიკუმი.** განსახკომმა გადასწყვიტა გახსნას მებამბეობის ტეხნიკუმი.

◆ **დახმარება მოზარდთა თეატრს.** განათლების კომისარიატმა მოზარდ მაყურებელთა და მუშა-ახალგაზრდობის თეატრების დასახმარებლად გადასდო 65.000 მანეთი.

◆ **საბავშვო ბაღები.** სოცდაზღვევის მთავარ მმართველობას დაევალა ეხლავე შეუდგეს კოლექტიურ მეურნეობებთან საბავშვო ბაღების მოწყობას.

სახ. პოლიტ. ინსტიტუტში

◆ **სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის** 85 სტუდენტი ამჟამად კონტრაქტაციის წესით აყვანილი ჰყავს სხვადასხვა ორგანიზაციებს. კონტრაქტაცია გრძელდება.

◆ **უმუშევარ სტუდენტების სამუშაოზე** მოწყობის მიზნით პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან მოეწყო სპეციალური ბიურო.

სახალხო ჯანმრთელობა

◆ **ალბულაღის კოლმეურნეობასთან** თბ. ჯანმრთელობის განყოფილებამ გახსნა საბავშვო ბაღი 20 საწოლით.

◆ **სარძეო სამზარეულო.** თბ. ეწყობა სარძეო სამზარეულო, საიდანაც კონსულტაციებში გასატარებელ ბავშვებს რძე მიეცემა უფასოთ.

◆ **ავლაბარში გაიხსნა** ქალთა კონსულტაცია.

◆ **საბინაო ამხანაგობები** შეუდგენ საბავშვო ბაღების გახსნას. მე-39 საბინაო ამხ-ბამ უკვე მოაწყო საბავშვო ბაღი.

პროფსაბჭოში

◆ **ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტთან** არსებულ დაწინაურებულთა კურსებზე პროფსაბჭომ გაგზავნა 50 დაზგის მუშა.

◆ **გაწმენდილთა შესაცვლელად** გამოყოფილ მუშათა ბრიგადების წევრები უკეთესად მომზადების მიზნით სამუშაოდან თავისუფლდებიან 10 დღის განმავლობაში.

სხვადასხვა

◆ **დღეს საღ. 7 ს. სახ. უნ-ტის გეოლოგიური კაბინეტის** აუდიტორიაში შესდგება საქ. გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო სხდომა. მოხსენებას წაიკითხავს პროფ. ალ. ჯანელიძე, „სოფ. ძირის (ზემო-რაჭა) წრეების დათარიღება".

◆ **დღეს, 26 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე** რადიო-სტუდიის შენობაში შესდგება დაუსწრებელ რადიო-კომუნისტური უნივერსიტეტის გახსნა და გადაცემული იქნება პირველი შესავალი ლექცია ქართულ ენაზე.

—:—

„სოფლის კომუნისტი"

გამოვიდა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი", № 11 (53). **შინაარსი: ადგილობრივ ორგანიზაციებს და სოფლად მომუშავე ამხანაგებს. დ. დოლიძე**—კიდევ მეტი სიფხიზლე ორს ფრონტზე ბრძოლის დროს. **ვას. კანდელაკი**—სოფლის მეურნეობის მუშაკთა მომზადება—**აგრ. ბ. მესხი**—სამიწათმოქმედო ორგანოების რეორგანიზაციისათვის. **ვ. ქურდაძე**— სას-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციის პრაქტიკული საკითხები. აგრონომ-ზოოტეხნიკოსი **რ. ნიჟარაძე**—მესაქონლეობის განვითარება სოფლის მეურნეობის გარდაქმნასთან დაკავშირებით. **ბ. ბიბინეიშვილი**— მასიური წიგნის გავრცელების პრაქტიკა და ორგანიზაცია. **სტ. სტეფანოვი** —სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სწორი ხელმძღვანელობისათვის. **სოფლის საბჭოების ახალი ამოცანები: აბელ ენუქიძე**—სოფლის საბჭოების ამოცანები სოციალისტურ მშენებლობაში. **ს. თოდრია**—ახალი ხანა სოფლის ცხოვრებაში. **ს. ხოშტარია**—საბჭოების მუშაობის ზოგიერთი საკითხები. **პარტიული აღმშენებლობა: ა. რამიშვილი**— პარტიის გენერალური წმენდის წინასწარი შედეგები. **ს. ლომიძე**—პარტწმენდის ზოგიერთი გაკვეთილები. **ვ. ბ—ძე**—ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეობა—კოოპერაციაში. **ადგილობრივი ცხოვრება: ი-ელი**—პარტდირექტივების შესრულება სენაკის მაზრაში. **ა. გოლიაძე**— როგორ ტარდება სოციალისტური შეჯიბრება სოფლად. **ქ. მელიქაძე**—ხუთი კოლექტივის მიღწევები და ნაკლოვანებანი. **ბიბლიოგრაფია.**

—:—

საჭირო განმარტება

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 236 მოთავსებული იყო კორესპონდენცია ვაჭევის (ყოფ. შორაპნის მ.) სახალხო მამულის გამგის ამხ. ქ. საყვარელიძის შესახებ. კორესპონდენციის ავტორი აღნიშნავდა, რომ მამულის გამგემ ყურძნის დასამზადებლად თავისი ინიციატივით მოიწვია ყოფილი ვაჭრები და კულაკები. გარდა ამისა, კორესპონდენტი სწერდა, რომ ვაჭევის სახ. მამულმა მიითვისა სამომხმარებ. კოოპერატივის ფუნქციები და გლეხობას ყურძნის ფასში აწვდის თივასო.

ადგილობრივად ჩატარებულ კვლევა-ძიებიდან ირკვევა, რომ ვაჭევის სახალხო მამულმა მუშაკები ყურძნის დამზადებისათვის მოიწვია სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით. ამდენადვე უმართებულოა ბრალდება იმის შესახებ, რომ ვაჭევის სახალხო მამულმა გლეხებისათვის თივის დარიგებით დაარღვია ყურძნის დამზადების საერთო წესი.

ზესტაფონის რაიაღმასკომი.

საბიბლიოთეკო ლაშქრობა

ვეხმარები ბუკნარის და ფიჩხისჯვრის სამკითხველოებს

საბიბლიოთეკო ლაშქრობასთან დაკავშირებით ფიჩხისჯვრის და ბუკნარის სამკითხველოებს (გურია) ვსწირავ ოცდა ათი (30) მანეთის ლიტერატურას და ვიწვევ ამხ. ვარდენ კალანდაძეს, ელიზ. კალანდაძეს, მიხ. მეგრელიძეს, მ. ქერქაძეს, ბ. მეგრელიძეს, ნ. მელიმონაძეს, მოს. მეგრელიძეს აბ. ბუკიას და მირ. ბუკიას, პროფ. ვლ. ჟღენტს, ექ. ის. გაგუას, ვიკ. ნინიძეს და ეპ. ვასაძეს.

ვალ. თავართქილაძე.

რა ხდება ადგილებზე

სოციალისტური შეჯიბრება

ბორჯომი, 24 ნოემბერი. ბორჯომის გაზის ქარხანაში ეწყობა სოციალისტური შეჯიბრება ქარხნის მუშათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ეწყობა აგრეთვე ინდივიდუალური სოცშეჯიბრება ცალკე მუშებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილე ქარხნის მუშათა ჯგუფებისთვის დაწესებულია „გარდამავალი ჯილდოები". ბორჯომის გაზის ქარხანამ მოსთხოვა კისლოვოდსკის ასეთსავე ქარხანას, რომელთანაც იგი შეჯიბრებაშია, სასწრაფოდ გამოგზავნოს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორია მისი მიღწევები სოციალისტური შეჯიბრების პროგრამის მუხლების მიხედვით. (ადს)

ხილის გაგზავნა საზღვარგარეთ

ბორჯომი, 24 ნოემბ. „ზაკგოსტორგ"-ი შეუდგა ბორჯომიდან ხილის გზავნას საზღვარგარეთ. იგზავნება ვაშლი და მსხალი. ხილი იგზავნება საფრანგეთში, ინგლისში და გერმანიაში. (ადს)

ფილმი „პირველი სხივები"

ბორჯომი, 24 ნოემბერი. ბორჯომში ჩამოვიდა სომხეთის კინო-მრეწველობის მიერ გამოგზავნილი ჯგუფი, ახალი კინო-ფილმის „პირველი სხივები"-ს ზოგიერთი ეპიზოდის გადასაღებად. ამ ფილმის სცენარი დაწერილია შემდეგ თემაზე: პიონერ-მოძრაობა საბჭოთა კავშირში და ასეთივე მოძრაობის დაწყება საზღვარგარეთ.

ფილმის ნაწილი ამას წინად გადაიღეს ბათომში. გადამღები ჯგუფი ბორჯომიდან მიდის თბილისში, ხოლო შემდეგ კარაკლისში, სადაც დაამთავრებენ სურათის გადაღებას.

ღარიბთა კონფერენცია

გურჯაანი, 25 ნოემბერი. 24 ნოემბერს შესდგა გურჯაანის რაიონის ღარიბთა ჯგუფის პირველი კონფერენცია, რომელმაც განიხილა კახეთის ოლქში პურის დამზადებისა და საშემოდგომო თესვის კამპანიის შედეგები.

კონფერენციამ ერთხმად დაადგინა—სთხოვოს მთავრობას, რომ სასტიკად იქნან დასჯილნი ვარდისუბნის კოლექტივის წევრთა მკვლელები. კონფერენციას დაესწრო 52 დელეგატი, აქედან—15 ქალი და 7 სოფლის მოჯამაგირე. (**საკუთარი კორესპ.**)

სურსათის განაწილების ახალი წესი

24 ნოემბერს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში გაირჩა ახალი სასურსათო წიგნაკების შემოღების საკითხი.

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში საჭიროდ სცნობს მთლიან სასურსათო წიგნაკებზე გადასვლას ქალაქ თბილისში, ბათომში, ქუთაისში, სოხუმში, ჭიათურაში, ფოთში, ტყიბულში, ბორჯომში და რკინის გზის ხაზზე, მაგრამ, რადგან შეუძლებელია ახალი წიგნაკების სასწრაფოდ დამზადება იმ ფორმით, როგორც ამას საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის ინსტრუქცია მოითხოვს, ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატი მიზანშეწონილად სთვლის ჯერ-ჯერობით გამოიყენოს მუშკოოპის ახალი სასურსათო წიგნაკები იმ ვარაუდით, რომ ისინი შეცვლილი იქნას არა უგვიანეს 1930 წლის პირველი თებერვლისა.

გარდა პურისა, შაქრისა და ჩაისა წიგნაკებით გაიცემა შემდეგი საქონელი: კარაქი, ერბო, ზეთი, ბრინჯი, მაკარონი, კვერცხი, ძაფი, საპონი. მანუფაქტურის გაცემა არ იწარმოებს წიგნაკებით, არამედ დარჩება არსებული წესი, ე. ი. ფართალი გაიცემა მიღებისდაგვარად.

მომხმარებელთა რაციონალური დაკმაყოფილების მიზნით, სატრანსპორტო და სამხედრო მომხმარებელ საზოგადოებათა წევრები მიმაგრებული იქნებიან მუშკოოპის წერტებზე და, პირიქით, მუშკოოპის წევრები მიემაგრებიან სატრანსპორტო და სამხედრო მომხმარებელი საზოგადოების წერტებს.

დამატებითი საბავშვო სასურსათო წიგნაკები გაიცემა ბავშვებზე **თორმეტი წლის ასაკამდე.** საბავშვო წიგნაკები შემოღებული იქნება ორი კატეგორიის: კოოპერაციის წევრ ბავშთათვის და არა წევრ ბავშთათვის.

საქონლის გაცემის ნორმებს ყოველ ცალკე შემთხვევაში შეიმუშავებენ სავაჭრო ორგანიზაციები.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება სურსათის მიწოდება დანარჩენ ქალაქებში და სეზონის მუშების და სოფლის მოსახლეობისათვის ახლო მომავალში ცალკე იქნება განხილული.

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წინადადების დასამუშავებლად საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ გამოჰყო სპეციალური კომისია.

„ბინათკავშირში"

საბინაო საამშენებლო ამხ-ების გაერთიანება

დღემდე თბილისში არსებობდა მრავალი წვრილი საბინაო-საამშენებლო ამხანაგობები. ეს ამხანაგობები მუშაობდნენ არა შეთანხმებულად და უგეგმოთ, რაც ასუსტებდა საერთო საბინაო მშენებლობის ტემპს და ამასთანავე იწვევდა ზედმეტ ხარჯებს.

„ბინათ-კავშირმა" გადასწყვიტა აღნიშნულ დეფექტების, თავიდან აცილებისა და ზედნადები ხარჯების შემცირების მიზნით, მოახდინოს არსებულ საბინაო-საამშენებლო ამხანაგობების გაერთიანება.

ქალაქი დაყოფილი იქნება სამ მთავარ რაიონად; სულ მოეწყობა საბინაო მშენებლობის 3 ამხანაგობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მშენებლობის საქმის რაციონალიზაციას და გეგმიან მუშაობის წარმოებას.

ბრძოლა წერა-კით. უცოდინარობასთან მდგმურებს შორის

„ბინათ-კავშირმა" საბინაო ამხანაგობებთან გახსნა 38 ლიკპუნქტი, რომელშიაც მეცადინეობს 1.500 კაცი. გარდა ამისა მოეწყო 5 საბავშვო ბაღი, 3 ჭრა-კერვის სკოლა და 12 კულტკუთხე.

პურის ტომრების შეგროვება

„ბინათ-კავშირმა" 21—25 ნოემბრამდე საბინაო ამხანაგობების სახლებში მცხოვრებთა შორის ჩაატარებს პურის ტომრების შეგროვების კამპანიას. შეგროვილი ტომრები გადაიგზავნება პურის დამამზადებელ რაიონებში.

ხელოვნება

თბილისის მუშათა თეატრში

თბილისის მუშათა თეატრში ამ დღეებში მიდის მესამე პრემიერა—ი. ოლეშას „გრძნობათა შეთქმულება".

პიესის ძირითადი თემაა ინტელიგენციის ორი თაობის თვალსაზრისის შეჯახება საბჭოთა აღმშენებლობის ფონზე. ი. ოლეშას პიესა საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია, როგორც ენის, ისე სცენიური ხერხების თავისებურების მხრივ.

პიესას დგამს ა. ლ. **გრიპიჩი,** მხატ. გ. ლ. **მილერი,** მუსიკა **ს. ფანიევის.**

პიესაში თამაშობენ: ბორინი, ვიგოდსკაია, ლიუბავინა, ლიუბოში, მურატოვა, ორიოლი, ოტრადინსკი, ოსიპოვი, პაშკოვსკი, მარცევიჩი, შარლახოვი და სხვ.

„გრძნობათა შეთქმულება" პირველად დაიდგა შარშან მოსკოვში ვახტანგოვის სახელობის თეატრში და ამჟამად მზადდება ლენინგრადის დიდ დრამატიულ თეატრში.

—:—

პირველ ნოემბრიდან თბილისის მუშათა თეატრში მუშაობა დაიწყო პრაქტიკულმა სახელოსნომ, რომელიც მიზნად ისახავს თეატრის მსახიობთა შემადგენლობის გადამზადებას და ახალგაზრდა აქტიორების ტეხნიკურ კვალიფიკაციის და კულტურულ-საზოგადოებრივი დონის ამაღლებას. სწავლების მეთოდი მთლიანად დაკავშირებულია წარმოებასთან.

ამჟამად მეცადინეობა სწარმოებს ფიზკულტურაში (მასწ. ნაცვალოვი), რიტმიკაში (პავლოვა), აქტიორის თამაშის ბიომექანიკისა და ტეხნიკაში (გრიპიჩი), მეტყველების ტეხნიკაში (ლიუბავინა) და გრიმის გაკეთება-ხმარებაში (ლიუბოში): მეცადინეობა სწარმოებს აგრეთვე ხელოვნების სოციალოგიის, წარმოდგენის ანალიზის და სხვ. საკითხებზე.

სახელოსნოს ხელმძღვანელია რეჟ. გრიპიჩი, სახელოსნოში მუშაობს 45 მსახიობი.

—:—

ქრონიკა

◆ **„ღვარძლი".** დღეს რუსთაველ. თეატრში წარმოდგენილი იქნება „ღვარძლი".

◆ **ოპერის თეატრში.** დღეს წარმოდგენილი იქნება „გედების ტბა".

◆ **მწვერვალები".** მუშ. თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „მწვერვალები".

◆ **სახ. კვების კავშირის საქ. კომიტეტმა** კავშირის წევრთაგან ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი, რომლის ხელმძღვანელადაც მოწვეულია ლოტბარი ალ. მაისურაძე, გუნდი მეცადინეობს კავშირის კლუბში (პლეხ. პრ. № 5).

კინო

საქ. სახკინმრეწვში

● **სოც. შეჯიბრების შედეგები.** პირველი გარდამავალი ჯილდო პირველ ივლისიდან 15 ოქტომბრამდე მიიღო კინო-ლაბორატორიამ, წითელ დაფაზე აღნიშნულია ფოტო-ლაბორატორიის მუშაკები და განათების ცეხის დამკვრელი ბრიგადა. 1-ლ ივლისისათვის გამოშვებული იყო 3532 ფოტო, 15 ოქტომბრისათვის კი—6333. კინო-ლაბორატორიამ 1-ლ ივლისისათვის დაამზადა 7.000 მეტრი, 15 ოქტომბრისათვის 18.000 მეტრი.

● **ახალი შტატი.** სახკინმრეწვის შტატი 1929-30 საოპერაციო წლისათვის დამტკიცებულია 650 კაცის რაოდენობით.

● **კრედიტი კაპიტალურ მშენებლობისათვის.** საკავშ. მთავრობამ საქ. სახკინმრეწვს მისცა კაპიტალურ მშენებლობისათვის 1929 — 30 წლის განმავლობაში 1.200.000 მანეთი. კინო-ქალაქის მშენებლობისათვის გადადებულია 100.00 მანეთი.

● **საწარმოო გეგმის დამტკიცება.** სახკინმრეწვის მიერ 1929-30 წლის განმავლობაში დამზადებული იქნება 18 სრულმეტრაჟიანი მხატვრული სურათი, 18 კულტურფილმი და 30 ქრონიკალური სურათი.

● **რეჟ. ლომიძის მოწვევა.** სახკინმრეწვმა მოიწვია რეჟ. ლომიძე, რომელმაც დაამთავრა კინემატოგრაფიის სახელმწიფო ტეხნიკუმი. აღნიშნული ტეხნიკუმიდან სახკინმრეწვში სტაჟიორებად მუშაობენ აგრეთვე ოპერატორი კაზანსკი და ორი მსახიობი ქალი—კოცინი და ეფიმოვა.

● **სახკინმრეწვის სტიპენდიატები.** მოსკოვის და ლენინგრადის ფოტო-კინო ტეხნიკუმებში სახკინმრეწვის მიერ მივლინებულია 10 სტიპენდიანტი. აქედან 4 სააქტიორო ჯგუფში, 3 საოპერატორო, 2 სარეჟისორო ჯგუფში და ერთი ლაბორანტი.

● **სასცენარო კურსები.** სახკინმრეწვთან ვ. შკლოვსკის ხელმძღვანელობით ეწყობა სასცენარო კურსები, რომელზედაც იმეცადინებენ პროლეტარულ და მემარცხენე მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

● **კულტურფილმების დემონსტრაცია** თბილისში იწარმოებს ერთ-ერთ დიდ კინო-თეატრში თვეში შვიდი დღის განმავლობაში. ბათომში კულტურფილმების დემონსტრაციისათვის გამოყენებული იქნება კინო „პალასი".

● **კინო-თეატრები პროვინციაში.** სახკინმრეწვმა იჯარით აიღო ცხინვალის, ქუთაისის („რადიუმი"), ბათომის, სოხუმის, ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს კინო-თეატრები, კინო-თეატრების მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმაში შეტანილია დიდი კინო-თეატრების აგება გურჯაანში და ზესტაფონში.

● **ახალი სურათები.** უახლოეს ხანში გამოშვებული იქნება შემდეგი ახალი სურათები: „ჩემი ბებია"—რეჟ. კ. მიქაბერიძე, მთავარ როლებში ლ. ჩერნოვა, ალ. თაყაიშვილი და ოვანოვი; „შეხვედრა"—რეჟ. გ. გომართელი, მთავარ როლებში მახმუროვა და დ. ყიფიანი.

სასამართლო

კულაკის დახვრეტა

როგორც ვსწერდით ს. ქოსალარის (აღბულაღის რაიონი) მცხოვრებმა კულაკებმა ყურბან ახმედ-ოღლიმ, ბაირამ ახმედ ოღლიმ და აღმედ ბაირამ ოღლიმ, რომელთაც აქტიური პარტმუშაკის მხეცურად მოკვლისათვის მისჯილი ჰქონდათ დახვრეტა, შეწყნარება სთხოვეს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ორ მსჯავრდადებულს ბაირამ ახმედ ოღლის და ახმედ ბაირამ ოღლის უმაღლესი სასჯელი შეუცვალა ათ-ათი წლის პატიმრობით.

ყურბან ახმედ-ოღლის, რომელიც მკვლელობის მეთაური იყო, ცაკმა უცვლელად დატოვა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

ყაჩაღის დახვრეტა

საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესიამ ა. წ. 16 ნოემბერს ქ. თელავში გაუსწორებელ ყაჩაღს ლადო მიხეილის ძე აზარიაშვილს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა.

საქართველოს ცაკმა უშედეგოდ დასტოვა მსჯავრდადებულის შუამდგომლობა შეწყნარების შესახებ.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

გერ.

შემთხვევები

ხულიგნები

ქუჩაში დებოშის მოხდენისათვის დააპატიმრეს: დავით ხაჩატუროვი (მცხოვ. ვარდისუბნის ქ. № 28), ფოკა გიორგისძე მუყაჩაშვილი, სერგო ეფრემისძე ტანჩიძე და ილია ბაგრატისძე თუთბერიძე.

მოკვლის განზრახვა

ზაქარია სოლომონისძე საგარეიშვილმა მოკვლის მიზნით რევოლვერი ესროლა სერგო გრიგოლისძე ოლაგოვს, რომელიც უვნებლად გადარჩა. ტყვია მოხვდა გამვლელს— ოგანეზ თათოზისძე არუთინოვს, რომელიც მსუბუქად დაიჭრა.

დაჯახება

ტრამვაის ვაგონი საბჭოთა ქუჩაზე დაეჯახა ტიგრან გრიგოლისძე ხაჩატუროვს, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა. ხაჩატუროვი მძიმედ დაშავდა.

თავის დაჭრა

არუსიაკ ავეტისის ასულმა კაზაროვამ თვით მკვლელობის მიზნით რევოლვერით დაიჭრა თავი,— ევდოკია შეუჩუკოვამ თავის ბინაზე (ბროსეს ქ. № 9) განიზრახა თოკით თავის ჩამოხრჩობა, მაგრამ გადაარჩინეს.

გვამის პოვნა

მტკვრის პირას იპოვნეს დამღრჩვალი ზავშის გვამი.

ვინაობა გამოურკვეველია.

შეპყრობა

დაპატიმრებულია ივანე ალექსისძე როგანოვი, ეენია ხუციშვილი (მცხ. მაზუთის ქ. № 12), ვალარაგ ნიკოლოზისძე გევორქოვი და სოსო ალექსისძე ბადუაშვილი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

გაქურდეს მიქია გოჩოტაშვილის ბინა (შ. ჩიტაძის ქ. № 1),—წაიღეს 1500 მანეთის საოჯახო ნივთები; —თამარა სერგოს ასულ გოზალოვას ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 300 მანეთის ძვირფასი ნივთები.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 26 ნოემბერი

დღეს თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ პროგრამას: დილით: ახალი ამბები, კონცერტი.

საღამოს: პიონერის და მოწაფის საათი, ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; სოფლისათვის—ლიტერატურულ-მუსიკალური საათი თემაზე: „ახალი ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში"; გაზეთი „პროლეტარი" რადიოთი, სომხურ ენაზე; დაუსწრებელი კომუნისტური რადიო-უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა: საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის, საქ. ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის ცენტრ. კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის, მ.-გ. ქალთა განყოფილების, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის და სხვათა წარმომადგენლების სიტყვები, დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტის პირველი ლექცია: „პოლიტიკური ეკონომია", ქართულ ენაზე, რადიოს მეგობართა საზოგადოების საათი—(ტეხნიკური კონსულტაცია); დროის შემოწმება და გეო-ფიზიკური ობსერვატორიის ცნობები, კონცერტის ტრანსლიაცია ლენინგრადიდან; სტუდიის კონცერტი და უკანასკნელი ამბები,

რკინისგზებზე.

ხუთწლიანი გეგმა შესრულებული იქნება ოთხ წელში

გასული სამეურნეო წლის საანგარიშო ცნობები ცხადჰყოფენ, რომ ა.-კ. რკინისგზების მუშაობა საგრძნობლად იზრდება.

საანგარიშო პერიოდში გადაყვანილი იყო 11.600.000 მგზავრი. წლიური გეგმა შესრულებულია 29 პროც. გადაჭარბებით.

ასეთივე სურათს ვხედავთ დანარჩენ დარგებშიაც. მაგალითად, ხუთწლიანი გეგმით 1928—29 წელს გათვალისწინებული იყო 6.166.000 ტონა ტვირთის გადაზიდვა. სინამდვილეში კი გადაზიდულ იქნა 7.660.420 ტონა ტვირთი.

გაიზარდა მატარებლების გარბენაც. ხუთწლიანი გეგმით ფიქრობდნენ, რომ პირველ წელს მატარებლების გარბენა გზაზე გამოიხატებოდა 13.405.000 კილომეტრში. რეალურად კი იგი გამოიხატა— 14.070.829 კილომეტრში.

ჭადრაკი

მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრება

მეოთხე ტური

მეოთხე ტური მეტად საინტერესო გამოდგა. აქ აღარ ჰქონდა ადგილი უხეშ შეცდომებს. ყველაზე ადრე თავდება **იცკოვიჩის** და **კოლინსკის** პარტია. იცკოვიჩი, რომელსაც ჯერჯერობით არც ერთი პარტია არ აქვს წაგებული, ამ პარტიას მეტად სუსტად თამაშობდა. მდგომარეობა მან შემდეგშიაც ვერ გამოასწორა და პარტია წააგო. ამ პარტიას მოჰყვა **დჟაგეტიანის** და **ფალავანდიშვილის** პარტიის დასრულება. ფალავანდიშვილმა კარგათ გამოიყენა დებიუტში მიღებული ფიგურათა უკეთესი განწყობა და პარტია თავის სასარგებლოდ გადასწყვიტა. **ლევიტასმა** დებიუტშივე მიიღო უკეთესი მდგომარეობა **არუთინოვთან,** თანდათანობით შეავიწროვა ის, მოიგო პაიკები და მალე პარტიაც. **ასოვსკიმ** შავებით **შიშოვის** წინააღმდეგ აირჩია ბუდაპეშტის გამბიტი, რომელიც შავებს თეთრების სწორი თამაშის დროს მეტად შევიწროვებულ მდგომარეობას აყენებს, ასეც მოხდა, შიშოვმა დებიუტშივე მიღებული საშუალება კარგად გამოიყენა, თანდათანობით შეუვიწროვა ასოვსკის მდგომარეობა და პარტია მოიგო. **სიჭინავას** და **ახნაზაროვას** პარტია გადადებულია საყაიმო მდგომარეობაში. **პოგოსოვის** და **წერეთლის** პარტია გადადებულია გამოურკვეველ მდგომარეობაში.

შ. გოგლიძე.

ფეხბურთი

ბათომი - თბილისი

ბათომის და თბილისის ფეხბურთელების ყოველწლიური ტრადიციული მატჩი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს თბილისში. წელს ეს შეჯიბრებები გაიმართა 23 და 24 ნოემბერს. ბათომი ამ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო პროფკავშირების ნაკრები გუნდით, რომელშიაც შედიოდნენ საუკეთესო მოთამაშეები მელითონეთა, რკინის გზელთა, გემო-კვების მუშაკთა და სხვა კავშირების გუნდებიდან.

პირველ დღეს ბათომლებს შეჯიბრება ჰქონდათ ტრანსპორტელთა გუნდთან. არ შეიძლება ითქვას, რომ თამაში მაინდამაინც საინტერესო ყოფილიყოს. ბათომლებმა, რომლებსაც არ ახასიათებთ მოფიქრებული კომბინაციებით თამაში, თამაშის დასაწყისში ერთგვარი უპირატესობა მოიპოვეს თავისი ტემპით, მაგრამ ჩქარა იძულებული შეიქნენ თავდასხმიდან თავდაცვაზე გადასულიყვნენ, რადგან ტრანსპორტელების მოწინავეები თანდათან უფრო ხშირად უახლოვდებოდნენ მათ ჭიშკარს. თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 1.0 ტრანსპორტელების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ტრანსპორტელების უპირატესობა აშკარა შეიქნა. თამაში თითქმის სულ ბათომის კარებთან სწარმოებდა. 15 წუთით ადრე ტაიმის დამთავრებამდე ტრანსპორტელებმა გაიტანეს მეორე ბურთი. ბათომლებმა იგი არ სცნეს კანონიერად და თვითნებურად მიატოვეს მოედანი (ფიზკულტურის საბჭო, ალბად, სათანადოდ გამოეხმაურება ბათომის გუნდის ამ უტაქტო გამოსვლას). ამრიგად, შეჯიბრება დაუმთავრებელი დარჩა.

მეორე დღეს ბათომის წინააღმდეგ გამოვიდა პროფკავშირთა ნაკრები გუნდი **სოლონინის, მატიენკოს, ნიკოლაიშვილის, სიხარულიძის, იმნაძის, რამიშვილის, კლოტცის, ასლამაზოვის, დიკოვის, მაღალაშვილის და ხომოვის** შემადგენლობით. თამაში პირველ ტაიმში ცოტათ თუ ბევრად თანაბრად მიმდინარეობდა და ტაიმიც თანაბარი შედეგით დამთავრდა (1:1).

მეორე ტაიმში ბათომლებმა იწყეს უხეში თამაში, რასაც მეტად სამწუხარო შედეგი მოჰყვა: სერიოზულად დაშავდა თბილისელების მეკარე სოლონინი, რომელიც დ. ცომაიამ შესცვალა, უხეშმა და თავდაუზოგავმა თამაშმა სრულებით დაუკარგა მატჩს ამხანაგური შეჯიბრების ხასიათი. შემდეგში გუნდებმა გაიტანეს კიდევ ორ-ორი ბურთი და მატჩი დამთავრდა 3:3.

ნარევი

ვულკანის ამოხეთქვა

ვულკან სანტა-მარიას (გვატემალა, ცენტრ. ამერიკა) ამოხეთქვა გრძელდება და საშიშ ხასიათს იღებს. უზარმაზარი სივრცე დაფარულია ფერფლით, რომლის სისქე ზოგან 2 მეტრამდე აღწევს. ორ მდინარეის წყლის ტემპერატურამ დუღილის წერტილს მიაღწია.

ქათმის გასაპუტავი მანქანა

ლონდონში გამოიგონეს ქათმის გასაპუტავი მანქანა. ამ მანქანით ერთ კაცს დღეში შეუძლია 100 ქათმის გაპუტვა.

კიბოს მკურნალობა ნავთით

ახალ ზელანდიაში აღნიშნულია შემთხვევა კიბოს სიმსივნის წარმატებით მკურნალობისა ნავთით. ქ. ფრინკტონის ერთი მცხოვრები, რომელიც ორი წლის წინათ გახდა ავად, სახლში მკურნალობდა ნავთით და სრულიად გაჯანსაღდა. ეს ფაქტი დაადასტურა ახალ ზელანდიის ჯანმრთელობის სამინისტრომ.

ყველაზე დიდი აეროპლანები შეერთ. შტატებში

ყველაზე დიდი აეროპლანები შეერთ. შტატებში არის ვოინგის სისტემის ბიპლანები, რომლებიც დაფრინავენ ჩიკაგო—სან-ფრანცისკოს ხაზზე. ეს აეროპლანები სამ მოტორიანია, სრული დატვირთვით იწონიან 500 ფუთს.

მატარებლის სარეკორდო გარბენა

არგენტინის ერთ-ერთ რკინის გზაზე სპეციალურმა ელექტრო-მატარებელმა, რომელიც 159 მეტრიულ ტონას იწონიდა, გაუჩერებლად გაიარა 775 მილი, რასაც მოანდომა 20 საათი და 37 წუთი, ე. ი. საშუალო სისწრაფე საათში უდრიდა 37 ნახ. მილს (ინგლისური მილი—1,61 კილომეტრს).

ელექტრო-მავალი, რომელმაც ეს რეკორდი დაამყარა, აგებულია ინგლისში. მისი საშუალო სისწრაფე საათში უდრის 47 მილს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დელეგატ ქალთა მეცადინეობა გაიმართება:

სამშაბათს, 20 ნოემბერს, საღ. 6 საათზე პირველი საჩვენებელი სკოლის შენობაში (რუსთაველის პროსპ. და ყოფ. გიმნაზიის ქუჩის კუთხე)— 1-ლი და მე-2 ჯგ. ქართულ ენაზე, 1-ლი და მე-2 ჯგ. რუსულ ენაზე.

ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, საღ. 6 საათზე იქვე —მე-3 და მე-4 ჯგ. ქართულ ენაზე, მე-3 ჯგ. რუსულ ენაზე და 1-ლი ჯგ. სომხურ ენაზე.

ოთხშაბათსვე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში— მე-4 ჯგ. რუსულ ენაზე და სახკვების ადგილკომში —მე-5 ჯგ. რუსულ ენაზე.

წინადადება ეძლევა ქალთა ორგანიზატორებს აცნობონ ყველა დელეგატ ქალებს და მათთან ერთად გამოცხადდნენ სადელეგატო კრებებზე.

ქალთა ორგანიზატორები პასუხისმგებელნი არიან მეცადინეობაზე დელეგატ ქალების გამოცხადებისათვის.

—:—

ს. ს. პ. ი. ა. ლ. კ. კ. უჯრედი № 1 აცხადებს მექანიკურ განყოფილების 1 და 2 კურსის სტუდენტთა საყურადღებოდ, რომ უჯრედის წევრები და კანდიდატები ვალდებული არიან გატარდენ ხელახალ აღრიცხვაზე ა. წ. 3 დეკემბრამდე.

—:—

თბ. სახ. უნივერს. ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი დღეს, 26 ნოემბერს, საღამოს სრულ 4 საათზე იწვევს სოც. ეკ. ფაკ-ის 1 და 2 კურსთან არსებულ კ.კ. უჯრედის კრებას. დასწრება წევრ-კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივ. ა. ლ. კ. კავშირის მეორე უჯრედის კრება შესდგება დღეს, 26 ნოემბერს საღამოს სრულ 7 საათზე.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

საქ. კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის სამდივნოს დადგენილების თანახმად ქვემოთ ჩამოთვლილი პასუხისმგებელი ამხანაგები 1929—30 სამოსწ. წელში მიმაგრებული არიან ლენრაიკომზე მიმდინარე პოლიტიკ და საგნობრივ წრეების ხელმძღვანელობა, რისთვისაც მათ ევალებათ გამოცხადდ ლენრაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო გა ყოფილებაში 26 ნოემბრამდე: ვარძელი, ა ნაშვილი (ცაკა), ციხელაშვილი (ცაკა), გ კინი (ს. მ. უმაღლესი საბჭო), გულიანი (ს. მ. უ. ს.), ვარდანიანი (ამიერ-კავკასიის მუშ. გლეხ. ინსპექცია) ანთიძე (პროფსაბჭო), არუთინოვი (ცაკა), სტეფანოვი (ცაკა), ტაბლაძე, მესხი, (ფინსახკომი).

—:—

საქ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 27 ნოემბერს დილის 11 საათზე მუშათა სასახლეში— სხდომების ახალ დარბაზში იხსნება პიონერ-მუშაკთა მე-5 რესპუბლიკანური თათბირი. დღის წესრიგი: 1. პიონერ- წინამძღოლთა დათვალიერება, 2 საზოგადოება „ბავშვთა მეგობრის"-ს რეორგანიზაციის შესახებ. 3. მოხსენებები ადგილებიდან: ა) პიონერ-შეკრებათა შედეგების შესახებ, ბ) საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შესახებ, გ) სოციალისტური შეჯიბრება, დ) საბანაკო მუშაობის შედეგები.

თათბირზე მოწვეულნი არიან საქართველოს კომპარტიის (ბ) აგიტპროპგანყოფილების და მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების, განათლების სახალხო კომისარიატის, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის, ცაკთან არსებული ბავშვთა კომისიის, საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების, საქ. რადიო მეგობართა საზოგადოების, „წითელ ჯვრის „საზოგადოების და ულმერთოთა კავშირის ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელნი.

—:—

სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს აგრფაკის № 6 უჯრედის წევრ-კანდიდატებს—დღეს, 26 ნოემბერს საღამოს სრულ 7 საათზე გამოცხადდნენ აგრფაკ

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა პელაგია, რძალი ელიჩკა და ძმა გრიშა სარჯველაძეები, დები: ელენა თურნავასი, ანეტა იმნაძისა და ფედოსი ფირცხალაიშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ-მეგობრებს, რომ კვირას 1 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე ლანჩხუთში ჭყრის და გომბალაურის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მენშევიკ ჯალათების მიერ 1919 წ. 28 ნოემბერს, დახვრეტილ დაუვიწყარ რევოლუციონერ

ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. (გ)

დამწუხრებული მამა ერმილე კუნჭულია ცოლით და შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ვაჟიშვილი

ბიქტორ ერმილეს-ძე კუნჭულია

დაკრძალვა სოფელ ჩიბათში, სამშაბათს, 26 ნოემბერს. 4334

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ოლღა შვილები: ბესარიონი, ვახტანგი, ნეონილა და ვალენტინა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი საყვარელი და დაუვიწყარი

გახუ ჯარუას-ძე ხვიჩიას

გარდაცვალებას დასაფლავება ოთხშაბათს, 27 ნოემბერს დაბა ხობში, ზუგდიდის მაზრა. 4440

ქსენია ხვიჩია, ნინო და ვლადიმერი ხოფერიები მწუხარებით იუწყებიან პირველის დაუვიწყარ მაზლის და უკანასკნელთა ბიძის

გახუ ხვიჩიას

გარდაცვალებას. დაკრძალვს დ. ხობში, ოთხშაბათს, 27 ნოემბერს. 4440

დამწუხრებული მეუღლე სალომე, შვილები: გუჯუ და აკაკი ადამიები, რძალი ვერა შვილით, და შვილით ბუჯღუ, ჭუჭუ, თამარა, ცაბუკ, ქმარ-შვილებით, უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

მიხეილ ჩახის-ძე ადამიას

გარდაცვალებას. 4453

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი

სამშაბათი, 26 ნოემბერი, 1-ლი აბონემ. მე-3 წარმ. **გედების ტბა**
ოთხშაბათი, 27 ნოემბერი, მე-4 აბონემენტის მე 3 წარმ. მ. პ. მაქსაკოვას და (უკანასკნელად) ნ. კ. პეჩკოვსკის მონაწილეობით **კარმენ**
ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, მე-5 აბონემ. მე-3 წარმოდგენა **ცისანა**

ყველა სააბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასასყიდათ. გამოსყიდული ტალონებით ბილეთები გაიცემა რიგს გარეშე დღის 2 საათამდე. აბონემენტების მე 5 მორიგი შეტანი მიიღება ყოველდღე სალაროს № 3-ში 10-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

ნ. 3411

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929-1930 წ.
ნ. 3402

სამშაბათს, 26 ნოემბერს,
სერია ბ 1-ლი აბონემენტის მე-2 წარმოდგენა
პ. იალცევი **ღვარძლი**
დრ. 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის.
დადგმა—ალ. ახმეტელის და ქ. პატარიძის
მხატვარი—ნ. პელიონკინი
მუს. ნაწ. გამგე—გრ. კილაძე
დასაწყისი სრულ 8 საათზე
თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.
დარჩენილი ბილეთები კავშირის წევრთათვის 40 პროც. დაკლებით, სტუდენტებისათვის – 50 კაპ.

მალე
არაჩვეულებრივი ფილმი
მაქსიმ გორკის
მხატვრული ნაწარმოების მიხედვით
კაენი და არტემი
ნ. 3412

აპოლო ლია დე პუტი და ვერნერ კრაუსი
ახალ სურათში
ეჭვიანობა

სოლეი მხატვრული ფილმი
მოსამართლე **რეიტანესკუ**
ზოია ვალევსკაიას მონაწილეობ.

მინიონი მე-2 კვირა
სიცოცხლის ფასად
(ინჟენერ სტრონგის პროექტი)

პალასი საბჭოთა კინემატოგრაფიის
შედევრი
იმპერიის ნამსხვრევი

არფასტო მხატვრული ფილმი
მთის ბალადა

დარბაზი **პატი ზღვაში**
ლავროვების გასტროლები

მალე: „კაენი და არტემი" და „ლუ-ლუ". 0—23

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ.
ტელეფონი 8—94.

სამშაბათს 26, ოთხშაბათს 27 და ხუთშაბათს 28 ნოემბერს
სადებიუტო წარმოდგენები 3 განყოფილებად
განახლებული პროგრამა
პირველად თბილისში. უცხოელი არტისტის
ვ. რაჩინის პირველი დებიუტი.
დუო ბეზქოროვაინიების პირველი დებიუტი.
საჰაერო ევოლიუცია. პროგრამაში საცირკე ჟანრის კიდევ 12 ნომერი
ნ. 3408 3—1
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.
დირექცია.

გამოვიდა და იყიდება
სახელგამის
მიერ გამოცემული
წიგნები კოლექტიური მეურნეობის
საკითხებზე

1.	ქ. ორაგველიძე—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია	გვ. 96	—45 კ.
2.	ვლ. ცაგარელი კონტრაქტაციის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში	გვ. 64	30 „
3.	„ —როგორ ვუხელმძღვანელოთ კოლმეურნეობას	გვ. 58	—30 „
4.	„ — კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი.	გვ. 80	—35 „
5.	ი. იაკოვლევი —კოლექტიური მეურნეობის ძირითადი საკითხები	გვ. 32	—20 „
6.	ლ. გავრილენკო და ნ. სკვორცოვი—როგორ უნდა მოეწყოს კოლექტიური მეურნეობა	გვ. 64	—20 „
7.	მ. ავალიშვილი—მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე და საქართველოს ს.ს.რ. სოფლის მეურნეობის გზები..	გვ. 56	—40 „
8.	„ იგივე რუსულად		—40 „
9.	ი. ლომაური—მწკრივად მთესველი მანქანა	გვ. 26	—20 „
10.	კოლმეურნეობათა კულტ-ყოფა-ცხოვრების მომწყობი კომისიები	გვ. 18	—08 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

11. ქ. შულაევი—ტრაქტორთა კოლონები და მათი მუშაობა
12. ქ. დუდ..ნი—მე-16 პარტკონფერენცია ტრაქტორთა კოლონებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შესახებ.
13. „ ტრაქტორთა კოლონების ორგანიზაცია
14. ა. მარტევიჩი—სასოფლთაშორისო სამანქანო სატრაქტორო სადგურები.

დაკვეთებით მიმართეთ სახელგამის მაღაზიებს თბილისში და პროვინციაში

მათემატიკის მასწავლებელი ივ. მაჩაიძე
ამზადებს გერმანულში, რუსულსა და მათემატიკაში (არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ. მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.), ვასწორებ სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის პრ. № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5.
9—12 საათ. 4—6 საათ.
8—7 4213

დაიკარგა

შაქრო იაკობის-ძე ქარაული 15 წლის, საშუალო ტანის, წითელი თმა, თვალები წაბლისფერი. მნახველს ვთხოვთ – გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ქ. დუშეთი სოფ. ზემიაში იაკობ ქარაული. 4451

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— მუშკოოპის წიგნაკი № 455813 თომა დაუშვილის სახელზე.	4443
— პასპორტი არმენაკ არტემის-ძე ედიგაროვის სახელზე.	4428
— კავშირის წიგნაკი № 34495 ბენიამინ ასკარიანის სახელზე.	4429
— უვადო პასპორტი გრიგოლ არტემის-ძე ტამაზოვის სახელზე.	4430
— სამხედრო აღრიცხვის მოწმობა გრიგოლ ალექსის-ძე ბილანიშვილის სახელზე.	4432
— კავშირის წიგნაკი მარია სპირიდონის ასული მიმინაშვილის სახ.	4433
— დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 171 სიმონ როსტიაშვილის სახ.	4436
— სოც. უზრუნველყ. კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა სოფიო თაქთაქიშვილის სახელზე.	უფ.
— პირადობის მოწმობა გერასიმე (იგივე გიორგი) ვარდენის-ძე ფანჩულიძეს სახელზე.	4437
— საწევრო წიგნაკი ბორის ღოღობერიძეს სახელზე.	4438
— სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 2922 კონსტანტინე არსენის ძე კოლმახელიძეს სახელზე.	4434
— რკინის გზის კავშირის წიგნაკი № 25543 და პირადობის მოწმობა № 73 შალვა სიმონიშვილის სახელზე.	4419
— პირადობის მოწმობა და სამხედრო წიგნაკი პეტრე სავინის სახ.	4442
— პურის წიგნაკი № 2825 პასიკო ჯანჯღავას სახელზე.	4444
— პირადობის მოწმობა № 40 იოსებ ზაქარიას-ძე თანდილაშვილის სახელზე.	4445
— ქორწინების მოწმობა, გაცემული თბილ. მმაჩის მიერ ლაზარე და ბარბალე ყაზაიშვილის სახელზე.	4446
— საანგარიშო წიგნაკი № 12286 გრიგოლ გიორგის-ძე ცნობილაძეს სახელზე.	ნ. 3410
— კოოპერატივის წიგნაკი № 1940/7483 შუხა ფილხაზის-ძე პაპიაშვილის სახელზე.	ნ. 3410
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი ხავა არონის ასული შამელაშვილის სახელზე.	ნ. 3410
— პურის წიგნაკი (2 სულის) გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ, ანა ოჩიგავას სახელზე.	ნ. 3410
— კომკავშირის ბილეთი № 91526 ოლია ანდრიას ასული კულუას სახელზე.	4449
— პურის ფქვილის წიგნაკი „ზაკტპოს" მიერ გაცემული № 102 არტემ ჯიბუტის სახელზე.	415
— სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 1096 პეტრე ოსლომას-ძე სორდიას სახელზე.	445
— პასპორტი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ავალიშვილის სახელზე.	4450
— ხულოს მაზრაღმასკომის მიერ მოცემული მოწმობა ხუთი წლის საზოგადოებრივ მუშაობის შესახებ, სამხედრო წიგნაკი, წვევამდის განვლილი შესრულების წიგნაკი, წითელი ჯვრის წიგნაკი და ურთიერთ დამხმარე სალაროს წიგნაკი ლეონიდ გოგიბერიძეს სახელზე.	4448

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის
აპარატის წმენდა დაიწყება ა. წ. ნოემბრის 27-დან, საღამოს 7 საათზე
გლეხთა სასახლის დარბაზში. აპარატის წმენდის დამხმარე კომისია სთხოვს იმ პირთ, ვისაც მიწსახკომის თანამშრომლებზე რაიმე მასალები მოეპოვება, მოაწოდონ მას (კომისიას)
შემდეგი მისამართით: ლუნაჩარსკის ქუჩა № 2. მიწსახკომი, ოთახი № 14.
დილის 9 – 4 საათამდე და საღამოს 6 – 8 საათამდე.
მიწსახკომის აპარატის წმენდის დამხმარე კომისია.

გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ბ. ტლაშაძე
ამით აცხადებს, რომ ის 29 ნოემბრის დღის 12 საათზე ადგილობრივ სოფ.. ნადარბაზევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბერო როსტომის-ძე საკაშვილის მოძრავ ქონებას: ერთი ულაყ ცხენს, ერთი კვიცს ფაშატი), შეფასებულს 150 მანეთად, სამ ხარს 250 მანეთი, ერთ ძროხას და ერთი მურა დეკეულს, ღირებულს 150 მან., ერთი კვებულას 10 მან. უღელი კამეჩს 300 მან., ერთი ხარს 70 მან. სულ შეფასებულს 930 მან. ნატალია გლახოს ასული კალხიტაშვილის ვალის დასაფარავად. 4417

გამოვიდა ჟურნალი **„სოფლის კომუნისტი"** № 11 (53)

შინაარსი: ადგილობრივ ორგანიზაციებს და სოფლად მომუშავე ამხანაგებს. დ. დოლიძე—კიდევ მეტი სიფხიზლე ორს ფრონტზე ბრძოლისდროს. ვ. კანდელაკი—სოფლის მეურნეობის მუშაკთა მომზადება.- აგრ. ბ. მესხი- სამიწათმოქმედო ორგანოების რეორგანიზაციისათვის. ვ. ქურდაძე - სას.-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციის პრაქტიკული საკითხები. აგრონომ ზოოტექნიკოსი რ. ნიჟარაძე—მესაქონლეობის განვითარება სოფლის მეურნეობის გარდაქმნასთან დაკავშირებით. ბ. ბიბინეიშვილი- მასიური წიგნის გავრცელების პრაქტიკა და ორგანიზაცია. სტ. სტეფანოვი— სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სწორი ხელმძღვანელობისათვის.

სოფლის საბჭოების ახალი ამოცანები:

აბელ ენუქიძე–სოფლის საბჭოების ამოცანები სოციალისტურ მშენებლობაში. ს. თოდრია ახალი ხანა სოფლის ცხოვრებაში. ს. ხოშტარია—საბჭოების მუშაობის ზოგიერთი საკითხები.

პარტიული აღმშენებლობა.

ა. რამიშვილი - პარტიის გენერალური წმენდის წინასწარი შედეგები. ს. ლომიძე - პარტწმენდის ზოგიერთი გაკვეთილები. ვ. ბ-ძე—ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეობა კოოპერაციაში.

ადგილობრივი ცხოვრება.

ი-ელი - პარტდირექტივების შესრულება სენაკის მაზრაში. ა. გოლიაძე—როგორ ტარდება სოციალისტური შეჯიბრება სოფლად. ქ. მელიქაძე—ხუთი კოლექტივის მიღწევები და ნაკლოვანებანი. ბიბლიოგრაფია.

დაიწყო ხელისმოწერა 1930 წლისათვის.

იკითხეთ, გამოიწერეთ, გაავრცელეთ „სოფლის კომუნისტი".

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10 - სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—3

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02. 25—13

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და [illegible] მკურნალობა. ელექტ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25 14

პ. ტყეშელაშვილი სიფილ. ვენერიული და კანის სნეულებანი. ბელგიის ქ. № 1, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს, დილით 8—9, საღამოთი 6—8. 25—7

ი. გ. ხარებავა-ბაქრაძე კბილის ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები. სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117. 25—7

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914" შეშხაპენება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალები 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 9 ნახ. 11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამი ნოვის) № 22. 25—2

ს. ანდრეევა შინაგან ავადმყ. სპეც. სახსრების და ჯირკვლების დაავადება (ტუბერკულიოზი), საღ. 6—7 ს. ელბაქიძის დაღმართი 29, (ცირკის პირდაპირ) ტელ. 11—78.

მ. ორლოვსკაია თვალის ოპერაციები და სათვალეების შერჩევა. ღებულობს დილის 9-დან 12 საათამდე და საღამოს 5-დან 7 საათამდე ამოს (ყოფ. ქსენიას) ქუჩა, № 9. 25—5

ი. გაგიჩვაძე ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი. ქალის გონორეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე. პლეხანოვის პრ. 65. 25—4

ი. ი. ჭეიშვილი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი იღებს: დილ. 8—9 საათ., საღ. 6—8 საათ., ნაშუად. 4—5 ს. მხოლოდ ქალებს. მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 25—4

გ. ე. ფხალაძე სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება დილით 7—8 საათ. საღ. 6—8, 5—6 ქალები. მარტის ქ. № 6 (ყ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აქეთან. 25—4

კ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ. კუთხე) მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—3

ქუთაისი თ. ვ. აკოფაშვილი შინაგანი სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ., № 7 (მე-3 საბჭოთა აფთიაქის გვერდზე).

ალ. მაღალაშვილი ბავშვების ექიმი, საღამოს 5—7 საათამდის, ყორღანოვის ქუჩა № 12. 25—1

ა. დ. კეკელია სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებ. [illegible] № 115. [illegible] 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. 12-67.

ა. ვადაჭკორია ქალთა ავადმყოფობანი დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 25—1

მალაევი თვალის ექიმი ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ ელისაბედის) 47. ტელ. 5—48

ი. ვ. ხანდამოვი სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დილით 8 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ი. დ. თოფურიძე იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. სიფილისი, კანის და ვენერიული (სუსუნიტით გამოწვეული გართულებები). დილის 7 საათიდან 8 საათამდე. დილით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდის, მამაკაცები 5—8 საათამდის.

ნ. გ. ვეჯეჭკორი შინაგანი სნეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6 საათამდე პეროვსკის ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.

ტირაჟი—43.445

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904